



ისტორიული გეგვიდროება

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, მაისი-ივნისი, 2010 წ. ფასი 3 ლარი



№5
(7)

გიორგი გეგვიდროის ნახატი

4 დიმიტრი თავდადებული

სწავლა-
განათლება
კვლე
საქართველოში
9

ამიერკავ-
კასიის
14 რღვევა

შეხარდათა
17 ქართველი
მეთაურები

გამარჯვა-
20 ბული
რინდების
65-ე მაისი

ქართვე-
ლების
განსაკუთ-
რებული
ანგარიში
22 ქერჩის
პლაცდარმზე

ეთერ
ჭელიძე:
„მინდოდა
მეთქვა
27 და ვერ
გითხარი“

მევენახეობა
და ღვინის
დაყენება
32 კვლე
საქართველოში

შორეთი —
მინის
ტყვეობიდან
გათავისუ-
ფლებული
36 ტაქარი

39 ელიზბარ
ჯაველიძე:
სულიერების
ნარწყედა

ეგრისის „ნათლისგვიბელი“,
VIII-IX სს., დჰანისის რაიონი



საკრიევი

■ ფიდა გეგა	დიმიტრი თავდადებულნი	4
■ ნიკოფსიდიან დარუბანდაძე	ხრობები საქართველოს შესახებ	6
■ ცოდნის სათავეებთან	სწავლა-განათლება ქველ საქართველოში	9
■ დიპლომატიის ისტორიიდან	ამიერკავკასიის რღვევა	14
■ ჩვენი ისტორია	შვხარდენტო ქართველი მეთაურები	17
■ ჩვენი ისტორია	გამარჯვებული რაინდების 65-ე მუისი	20
■ სავრთო გამარჯვებუთმის	ქართველების განსაკუთრებული ანგარიში	22
■ ცრუ კეთილდღეობის გზით	გლობალიზაცია — განვითარებადი ქვეყნების დაკავალების ინსტრუმენტი	25
■ თბილისის მომდერალი	ეთერ ჭელიძე: „მინდოდა მეთქვა და ვერ გითხარი“	27
■ ოჯახური ტრადიცია	ორი ნიკოლოზი, ორი ალაქსი და ოთხივე ანდრიაკე	29
■ მაზო, უბილიზით ნაზარდო	მევენახეობა და ღვინის დაყენება ქველ საქართველოში	32
■ ქვათა ღაღადი	შორათი — მინის ტყვეობიდან გათავისუფლებული ტაქარი	36
	ტფილისის სანედრო ტაქარი	38
■ გულისთქვა	ელიზბარ ჯაველიძე: სულიერების ნარწყვება (ნიგნიდან „ავევე, ჩემო მეგულო!“)	39
■ განსჯისთვის	„მეუვიდა დღის ადვინტისტების“ ტრიუმფალური მსვლელობა საქართველოში	42
■ მამულიზმილი	ტიმოთა გაგაშვილი (1703-1764)	46
■ უცხო თგალით	გიულდენსტადტის მოგზაურობა საქართველოში	48

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული ჰირი „ისტორიული მემკვიდრეობა“
მთავარი რედაქტორი თემურ ძორიძე
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5 ტელ.: 38-41-97

დიმიტრი თავდადებული

ულუ დავითის გარდაცვალების (1270 წ.) შემდეგ აბალა ყაენმა აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ დიმიტრი დავითის ძე დაამტკიცა, რომელიც მაშინ 11-12 წლის ბავშვი იყო, მზრუნველად კი სადუნ მანკაბერდელი დაუნიშნა. დიმიტრიმ სადუნს 1272 წელს ურდოშივე ათაბაგობა უბოძა (რასაკვირველია, მონღოლების კარნახით). სადუნი მხარგრძელების ყოფილი ყმა (აზნაური) იყო, მაგრამ ყაენის პირადი ყურადღების წყალობით დიდ შეძლებასა და გავლენას მიაღწია. მონღოლები სწორედ ასეთ აღზევებულ მედროვეებს ეყრდნობოდნენ დაპყრობილ ქვეყნებში, რომლებსაც ადგილობრივ ხელისუფალთა თვალ-ყურის სადევნებლადაც მარჯვედ იყენებდნენ.

მონღოლთა მფარველობით გათამამებულ სადუნს საქართველოს გამგებლობა მთლიანად ხელში ჩაუვარდა: ჭაბუკი მეფე „ხელთა შინა სადუნისთანა იყო, რამეთუ ფრიად განადიდდა სადუნი ყაენმა“.

სადუნა თავისი გავლენა და დიდმოხალაობა დროის შესაფარისად გამოიყენა. მეფის უნებლიე დასტურით თუ მოჩვენებითი ერთგულებით მრავალი მინა-წყალი და ქალაქი დასტყუა. ქონების გასაღიდავლად მისთვის ყოველგვარი საშუალება მისაღები იყო.

ასე გახდა ეს მედროვე მთელს სამეფოში ყველაზე დიდი „მთავარი“, რომელმაც თავის პატრონს, მხარგრძელს ბევრად გადააჭარბა. მას ჰქონდა ათაბაგობაც და ამირსპასალარობაც.

აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური საზღვარი დიმიტრი II-ის დროს ძველებურად დარუბანდამდე კი არ აღწევდა, არამედ შემახიის თემამდე, მდ. თეთრი წყლის (მონღ. ჩალანუსუნის) სანაპირომდე მიდიოდა. დიმიტრის არ ემორჩილებოდა სამცხეც, რომელიც ყაენის კუთვნილებად ითვლებოდა. სამხრეთის საზღვარი კი უცვლელად რჩებოდა: საქართველოს კუთვნილებას ძველებურადვე შეადგენდა ანისი და კარი.


დიმიტრიმ სამეფო საქმეებში

ვერც სრულწლოვანების შემდგომ მიაღწია დამოუკიდებლობას, რადგან კვლავინდებურად „ხელთა შინა სადუნისათა იყო“. რასაკვირველია, მეფე და ქვეყნის მონინავე ძალები იძულებით ითმენდნენ სადუნის გარდაცვალების (1281 წ.) შემდეგ, ამ სახლის შესუსტების მიზნით, მეფემ სადუნის შვილს ხუტლუ ბუღას არ დაუმტკიცა მამის თანამდებობა (ათაბაგობა) და მხოლოდ ამირსპასალარობა დაუტოვა. ათაბაგობა დიმიტრიმ სადუნის მონინააღმდეგე ტარსაიჭ ორბელს გადასცა. მაგრამ

მეფის სისუსტე იმავი გამოჩნდა, რომ მან ვერ შეაქლო ამ უსომოდ განდიდავული მანკაბერდელი მთავრის კლიჩაების სათანადოდ შექცესა და ამ ნაბიჯს თავის გადაწყობა: ხუტლუ ბუღამ შეაქლო, დიმიტრი დაეღუპა და ამ გზით დაეპყრნებინა ათაბაგობა.

დიმიტრის ხშირად უხდებოდა სიბაზე დგომა და მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობა. დიდი ხნით საქართველოს გარეთ ყოფნის გამო, ის სამეფო საქმეებს ჩამოცილებული იყო. ამგვარად, მონღოლური სამხედრო ბეგრის დამლუბველობა პოლიტიკურ ცხოვრებას კვლავ ძირს უთხრიდა.

ლაშქრობები ისევ ხშირი და ხანგრძლივი იყო, მაგრამ ახლა უმეტე-



სად მარცხით მთავრდებოდა. ეგვიპტის სულთნის ნინააღმდეგ ჯერ კიდევ 1259 წელს დაწყებული ომი ახლაც გრძელდებოდა. 1277 წლის 16 აპრილს ეგვიპტის ომში მონღოლები დამარცხდნენ, დაიღუპა ბევრი ქართველი. ასევე დიდი დამარცხებით დამთავრდა ეგვიპტესთან 1280 წლის ომი, რომელშიც, სხვების გარდა, 30000 ქართველი, სომეხი და ბერძენი მონაწილეობდა და „უმრავლესნი ქართველნი მოისრნეს“. 1281 წელს ეგვიპტეში მეფე დიმიტრი პირადად მონაწილეობდა 5000 ქართველით. ქ. ამასიასთან ბრძოლაში მონღოლები დამარცხდნენ, უმრავლესობა ქართველებისა აქ დაიღუპა, ხოლო დიმიტრი სიკვდილს ძლივს გადაურჩა.

ილხანთა და ოქროს ურდოს შორის ატეხილი ომები ახლაც დიდი სიმძაფრით გრძელდებოდა. 1289 წელს მეფე დიმიტრი იბრძვის თათართა ლაშქართან ერთად ჩრდილოეთის ურდოს ნინააღმდეგ დარუბანდის ციხე ანიყასთან.

საქართველოს მდგომარეობას ართულებდა საილხანოში ამტყდარი შინაომები. გაუთავებელი ბრძოლები მიმდინარეობდა უფლისწულებს შორის, ნოინებს შორის, აჯანყებები მატულობდა. მონღოლთა შინაპოლიტიკურ ამბებში საქართველო უნებურად იყო ჩათრეული. ქართულ ლაშქარს მონაწილეობა უნდა მიეღო თავისი მბრძანებელი ყაენის ან რომელიმე ტახტის პრეტენდენტის მხარეზე.



დამარცხების მთელი სისასტიკე საქართველოს ისევე ატყდებოდა თავს, როგორც სხვა დამარცხებულ მონაწილეებს.

სწორად ასეთი განსახდელი მოვლინა საქართველოს, როდესაც დიმიტრი II ერთ-ერთი შინაური არაულოპისას დამარცხებულს მხარეზე აღმოჩნდა. საქართველოს არ ასდებოდა მონღოლ შურისმაძიებელთა უღმრთო სისჯავი, რომ მეფეს პირადი თავგანწირვით არ ეხსნა ქვეყანა.

აბალა ყაენის გარდაცვალების (1282 წ. აპრილი) შემდეგ იმავე წლის 6 მაისს ტახტი მისმა ძმამ აჰმადმა დაიკავა, რომელსაც მალე აუჯანყდნენ და ყაენად აბალას შვილი არლუნი გამოაცხადეს. აჰმადსა და არლუნს შორის ატეხილ ბრძოლებში დიმიტრი ქართული ლაშქრითურთ აჰმადის მხარეზე იბრძოდა. ბოლოს დიმიტრიმ არლუნის მხარეზე ბრძოლა ამჯობინა. გამარჯვებულმა არლუნმა დიმიტრი მეფეს დაუმტკიცა „ყოველი სამეფო მისი და სახლი ავგა ათაბაგისა“. არლუნის პირველი ემირი ბულა, რომელიც საყაენოს ფაქტიური გამგებელი იყო, დიმიტრისთან კეთილ განწყობილებაში იმყოფებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მას არლუნის წინააღმდეგ შეთქმულება შეუტყვეს და 1289 წლის 17 იანვარს სიკვდილით დასაჯეს, დიმიტრის ბედიც გადაწყდა: მონღოლური წესის თანახმად, სიკვდილით ისჯებოდა არა მხოლოდ პირადად ბრალდებული, არამედ მისი ოჯახის ყველა წევრი, ნათესავი და ახლობელ-მეგობარი. და აი, დიმიტრიც ურდოში დაიბარეს. დიმიტრიმ გაითვალისწინა ყველა ის შედეგი, რაც მის წაუსვლელობას მოჰყვებოდა და წასვლა დააპირა. წინასწარ მოიწვია დიდი დარბაზი, რათა ეცნობებინა ურდოში წასვლის გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა. წყაროს დაუცავს მეფის სიტყვა, რომელიც მას დარბაზში წარმოუქვამს:

თუ მთიულთში დავიშალავი, თავს კი გადავირჩინე, მაგრამ მეშინე მტარი უღანაულო ხალხზე იყრის ჯავრსო, თუ ნავადი, ვიხი მოგვლავნე, საეპიაროდ „ვმონებ რომე ქვეყანა უწინააღმდეგარსო“.

დარბაზის წევრებს მეფისათვის აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში) გადასვლა და იქ თავის შეფარება ურჩევიათ, მაგრამ მეფე მტკიცე გადაწყვეტილებიდან ვერ გადაუყვანიათ. მეფე გამგზავრებულა ურდოში მთავრებისა და კათალიკოს აბრამის თანხლებით, თან შვილი — პატარა დავითიც წაუყვანია და მრავალი საჩუქარიც წაუღია, რათა ყაენი თავის ერთგულებაში დაერწმუნებინა. ყაენის რეზიდენციას მიახლოებიან თუ არა, დიმიტრი დაუპატიმრებიათ და ქონება ჩამოურთმევიათ. ურდოში მიყვანის შემდეგ კი მას მთელი პირადი ქონება თვითონვე აანერინეს და თბილისში საგანგებოდ გამოგზავნილი მოხელის მეშვეობით ყველაფერი წაართვეს. ამგვარი წინასწარი კონფისკაცია, მონღოლური წესით, დამნაშავეს სიკვდილით დასჯას მოასწავებდა და ასეც მოხდა. დიმიტრის გასამართლების შემდეგ თავი მოჰკვეთეს მოვაკანში მდ. მტკვრის პირას, 1289 წლის 12 მარტს, შაბათ დღეს, დილის 10 საათზე. ასეთი თავგანწირვის გამო ხალხმა მას „თავადებული“ უწოდა.

როგორც ქართული წყარო მოგვითხრობს, არლუნ ყაენს დიმიტრის სიკვდილი მთლად გადაწყვეტილი არ ჰქონია, რადგან საქართველოში საეპიარო საეფო კანდიდატი არ ეგულაგოდა. მეშინე სუტლუ ბუღას, საღუნის შვილს, რომელიც, როგორც ვთქვით, მეფეზე ნაწყენი იყო, ყაენი დაუიშავია: „ნუ იურავი მამას“, მე მოგიყვანე გასაეფოებლად

აფხაზეთა მეფის დავითის შვილს — ვახტანგს, ამით კილავას ორივე საეფო „ბრძანებასა შენსა მორჩილავდესო“.

ამის შემდეგ ყაენი უყოყმანოდ დამდგარა დიმიტრის დასჯის გადაწყვეტილებაზე. ასე ადვილად შეეძლო მონღოლებით განდიდებულ მთავარს შური ეძია არასასურველ „პატრონზე“, თუნდაც ეს პატრონი „ღვთისაგან მირონცხებული“ ყოფილიყო.

ურდოში დიმიტრის დასჯის შემდეგ ხუტლუ ბულამ დავალება შეასრულა: მან გასამეფებლად დასავლეთ საქართველოდან გადმოიყვანა ნარინ დავითის შვილი ვახტანგი. დიდებულებმა ვახტანგის ერთგულებაზე ფიცი დადეს. მათ ვახტანგის გამეფება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საშუალებად მიუჩნევიათ. ვახტანგი დასამტკიცებლად ურდოში გაამგზავრეს. ყაენმა მას „ყოველი საქართველო“ დაუმტკიცა (ე.ი. ამიერი და იმიერი ერთად), ხოლო თავისი და ოლჯათ ცოლად გამოატანა. საქართველოს საზღვრები ამ დროსაც იგივე რჩებოდა, როგორც დიმიტრის დროს, თუმცა თანამედროვეთა შეგნებაში საქართველოს საზღვრები ისევე ძველი, ისევე „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ წარმოიდგინებოდა.

ვახტანგის მეშვეობით ხუტლუ ბულამ მამის თანამედრობა — ათაბაგობა ადვილად დაიბრუნა. ამრიგად, ის ვახტანგის კარზე სადღნივით ორი თანამედრობის მქონე და მონღოლებისაგან ნდობამოპოვებული ძველებურადვე „სამეფოს გამგებელი“ გახდა. ვახტანგს დიდხანს არ უმეფია, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა 1292 წელს. დასავლეთ საქართველოში ნარინ დავითის (VI) გარდაცვალების (1292 წ.) შემდეგ გამეფდა მისი უფროსი შვილი კონსტანტინე. მას მომდევნო ძმა მიქაელი აუჯანყდა, რომელიც რაჭისა და არგვეთის თემებს დაეპატრონა. ამიერიდან დასავლეთ საქართველოში ძმებს შორის არეულობა დაიწყო და „იშლებოდა სამეფო“. ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ ახალმა ყაენმა ქელათუმ აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ დავით დიმიტრის ძე (დავით VIII) დაამტკიცა.

თამარ იმპერატრიცის



ცნობები საქართველოს შესახებ

ეგვიპტელი ავტორის შიჰაბ ად-დინ ბუ-ლ-აბას აჰმად იბნ ალი ალ-კალკაშანდის (1353-1418 წწ.) ლიტერატურული თხზულება „სუბჰ ალ-აშა ფი სინაათ ალ-ინშა“ გვანვდის საინტერესო ცნობებს საქართველოს შესახებ. თხზულებაში დამონშებულ დიპლომატიური მიმონერის მასალებს, რომელთაც ავტორი გვაცნობს საარქივო დოკუმენტებთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და ეგვიპტის ურთიერთობის შესწავლისათვის. მასში დაცულია ფორმულები, რომლითაც ეგვიპტის სულთნები მიმართავდნენ ქართველ მმართველებს. არანაკლებ საინტერესოა ეს თხზულება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე პოლიტიკური, კულტურის ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის თვალსაზრისითაც.

ოქაანიდან გამომდინარე ზღვები, როგორებიც არ უერთდებიან ოქაანს

ნიტიშის ზღვა (შავი ზღვის ერთ-ერთი სახელწოდება). ის ჩვენს დროში ცნობილია ყირიმის ზღვის სახელით, რადგან მის ნაპირზე ყირიმის ქვეყანა მდებარეობს. ცნობილია, აგრეთვე, **არმანის ზღვად**, რადგან მის ერთ-ერთ ნაპირზე მდებარეობს ნაწილი არმენიის ქვეყნისა. ხშირად იხსენიებენ **შავ ზღვა-დაც**. იგი უერთდება **რუმის ზღვას** (ხმელთაშუა ზღვა) ჩრდილოეთის მხრიდან. მასში შედის მეორე ზღვა, **მანიტიში** (აზოვის ზღვა). პირველ სახელწოდებას თავში **მა** ემატება. იგი ჩვენთვის ცნობილია **აზაკის ზღვად**, რადგან მის აღმოსავლეთ ნაპირზე აზაკის ქვეყანა მდებარეობს. მას სხვა ზღვა არ უკავშირდება, ამის გამო ზოგიერთი უწოდებს ამ ზღვას **მანიტიშის ტბას**. ის უერთდება ნიტიშის ზღვას, ნიტიშის ზღვა კი რუმის ზღვას. ეს აჩქარებს გემების სვლას ყირიმიდან რუმის ზღვისაკენ და ანელებს სვლას რუმის ზღვიდან ყირიმის მიმართულებით, რადგან ხვდება წყლის სანინა-აღმდეგო დინებას. ნიტიშის ზღვა იწყება კონსტანტინოპოლის ყურით და ესაზღვრება რუმის ზღვას, რომელიც უკვე მოვიხსენიეთ რუმის ზღვის აღწერის დროს. ის იმდენად ვიწრო ყურეა, რომ ადამიანი მეორეს მოპირდაპირე მხრიდან დაინახავს. იბნ საიდი გადმოგვცემს, რომ ამ ყურის სიგრძე დაახლოებით 50 მილია. „თაკვიმ ალ-ბულდან“-ის მიხედვით, მისი სიგრძე 70 მილია და

უერთდება რუმის ზღვას ჩრდილოეთის მხრიდან. მიემართება რუმის ზღვიდან ჩრდილოეთით რუმის ქვეყნის სანაპიროსკენ, აღმოსავლეთით ჯარუნის კოშკისაკენ. ეს არის დანგრეული ციხე, რომელიც მდებარეობს ამ ყურის ნაპირზე, კონსტანტინოპოლის პირდაპირ. ის მიემართება ჯარუნიდან ჩრდილოეთით ერთ მილზე მარცხნივ, აღმოსავლეთით ქალაქ ქარბისაკენ, რომელიც კონსტანტინოპოლის ყურეში მდებარეობს, მოხსენიებული ჯარუნის მახლობლად. შემდეგ მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთით ქალაქ ქათარუსაკენ. ქათარუ კონსტანტინოპოლიდან ბოლო ქალაქია, რომელიც ამ სანაპიროზე მდებარეობს. შემდეგ ქალაქ ქინულისაკენ, რომელიც მდებარეობს კონსტანტინოპოლის ყურეზე. დასავლეთის მხრიდან არის ზღვაში შესასვლელი. ამ შესასვლელთან რუმის სანაპიროდან არის ვიწრო პორტი (სინუბი). შემდეგ არის ქალაქი სამსუნი. ეს ქალაქი მდებარეობს რუმის სანაპიროზე. აღმოსავლეთით ქალაქი ტრაბიზუნია, მისგან აღმოსავლეთით, ერთი მილის მანძილზე, სამი დღის სავალზე მდებარეობს ქალაქი სუხუმი, ტრაბიზუნიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით. სუხუმსა და ქურჯთა ქვეყანას შორის ერთი დღის სავალია. ამბობენ, ის **ქურჯთა** (ქართველთა) ქვეყნის ნაწილიაო. მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით არის ქალაქი **აბხასი** (აქანაკოფიის ციხე-ქალაქი იგულისხმება, VIII ს. ბოლოს აფხაზეთის დედაქალაქი გახდა), რომელიც ზღვის

სანაპიროსთან, სუხუმთან ახლოს მთაზე მდებარეობს. შემდეგ ზღვა ვიწროვდება დასავლეთით, უახლოვდება მეორე ნაპირს და მათ შორის წყალი ისე მიედინება, როგორც ყურეში. ის არის მანიტიშის ზღვის შესართავი ნიტიშის ზღვასთან. ამ ყურის ნაპირზე მდებარეობს ქალაქი ტამანი.

თაფლისა (თბილისი)

„ლუბაბ“-ის (განწმენდილი) მიხედვით, მდებარეობს შვიდი იკლიმიდან (კლიმატიდან) მეხუთეში. „კანუნ“-ში (მასუდის ტაბულები ასტრონომიისა და ვარსკვლავების შესახებ) წარმოდგენილია ქურჯისთანის დედაქალაქად. „ლუბაბ“-ში გადმოცემულია, რომ იგი უკანსკნელი ქალაქია აზერბაიჯანიდან. იბნ ჰაუკალის (არაბი ისტორიკოსი X ს.) ცნობით, ეს ქალაქი გარშემოტყმულია ორი გაღვანიტით და აქვს სამი კარი. ქალაქში არის აბანოები, მსგავსი ტაბარიის აბანოებისა, რომლის წყალი ამოდის ცხლად ცეცხლის ყარეში. თბილისი ძალიან ნაყოფიერია. იბნ საიდი (არაბი ავტორი) მოგვითხრობს, რომ იგი დაიპყრეს მუსლიმებმა და ცხოვრობდნენ იქ კარგა ხნის განმავლობაში. შემდეგ ეს ქალაქი უკან დაიბრუნეს ქურჯებმა, რომლებიც ქრისტიანები არიან. ამჟამად ის ქურჯების ხელშია და მათი მეფე განაგებს.

ფორმა, როგორც მოტანილი „თარიფ“-ში (ალ-ომარის ნაშრომი) ქურჯთა მეფის ლაჰაბის შესახებ:

„უმაღლესობისა, მეფური უდიდებულესობისა, სახელოვანისა, რაინდისა, მამაციისა, ლომისა, გულადისა, მუდმივად თავდამსხმელისა, ლომგულისა, ტახტის მფლობელისა და გვირგვინოსანისა, მის სარწმუნოებაში განსწავლულისა, სამართლიანისა თავის ქვეშევრდომთა მიმართ, რჩეულისა ილრიკის მეფეთა შორის, ქართველთა სულთნისა, ზღვათა და სრუტეთა



სამფლობელოების განძისა, რაინდ-თა სამწყსოს დამცველისა, მისი წინაპრების ტახტ-გვირგვინთა მემკვიდრისა, რუმის და ირანის ქვეყნების მფერველისა, იონელთა (ბერძენთა) ამოღებული მახვილისა, ასურელ მეფეთა ესენციისა, ტახტ-გვირგვინთა მემკვიდრეთა შორის რჩეულისა, ქრისტიანობის განმადიდებლისა, ისას (იესუს) მიმდევართა შემწისა, მესიის გამიერების ცხებულისა, თავის განზრახვით წმინდა სახლის (იერუსალიმის) განმადიდებლისა, ნათლისღებულთა საყრდენისა, პაპის შემწისა, — რომის პაპისა, მუსლიმთა მოყვარულისა, დაახლოვებულ მეგობართაგან უწმინდესისა, მეფეთა და სულთანთა ერთგული მეგობრისა“.

ფორმა, რომელიც მოხსენიებულია „თასკიფ“-ში ქურჯთა მეფის ლაპაბის შესახებ:

„მეფური უდიდებულესობისა, სახელოვანისა, ქებულისა, დიდგვაროვანისა, მამაცისა, დიდსულოვანისა, წმინდანისა, სულიერისა, მავანისა, ქრისტიან ხალხთა ძლიერებისა, განძისა, ჯვრის საზოგადოებისა, ქრისტიანული რელიგიის სიამაყისა, მეფისა მთიანეთისა, ქურჯთა და ჯურჯანთა (ქართლებთა), მეგობრისა მეფეებისა და სულთნისა“.

ფორმა, რომელიც ვნახე ერთ-ერთ დოკუმენტში ქართველთა მეფის ლაპაბის შესახებ:

„მეფური უდიდებულესობისა, მის სარწმუნოებაში განსწავლულისა, სამართლიანისა თავის სამეფოში, გვირგვინოსნისა, ალაჰის მავანისა, ქრისტიან მეფეთა მეთაურისა, ქრისტიანული რელიგიის უდიდესი დამცველისა, ქურჯთა... სამეფოს ხელმძღვანელისა, გულწრფელი მეგობრისა მეფეებისა და სულთნებისა“.

იზგიბის მეფეებთან მიმოწერის შესახებ, მათში მრცველთა და იგივედრებული ბამოთქა, ურჯუნო მეფეებისადმი

იცოდე, რომ ურწმუნო მეფეები, რომელთანაც მიმოწერას ანარმოებენ, ამ სამეფოებიდან ყველა ქრის-

ტიანია. ესენია: ბიზანტიელები, ფრანგები, ქართველები, ეთიოპიელები და სხვა. რაც შეეხება ებრაელებს, მათ ერთ დროს ცნობილი და განთქმული სამეფო არ დარჩათ, ისინი მუსლიმთა ხელქვეით მყოფნი (ზიმიები) არიან. ალაჰმა თქვა, მაღალიმც არს, დაეცემა მათზე დამცირება, სადაც არ უენდა იყვნენ, ან თოკით ალაჰისაგან, ანდა თოკით ხალხისაგან. „თაყრიფ“-ის მიხედვით; ყველა წერილი მიმართული ურწმუნო მეფეებისადმი არ შეიცავს პატივისცემის მიმართვას სტრიქონის დასაწყისიდანვე, არამედ ბისმილას შემდეგ იწერება წერილი ქათიბის ხელით.

„კეთილშობილი“ ნიშნის მხრიდან, რომლის ფორმა ასეთია: „უდიდებულესი სულთნის მეფე ან — ნასირისაგან — მაგალითად, მეცნიერისა, სამართლიანისა, მებრძოლისა, დამცველისა, შემწისა, ძღვევამოსილისა, გამარჯვებულისა, მეფეთა მეფისა, ამ ქვეყნისა და რელიგიის მავანისა, ისლამისა და მუსლიმთა სულთნისა, მეფისა არაბთა, სპრსელთა და თურქთა, ალაჰის აჩრდილისა დედამიწაზე, მოქმედებაში და ვალდებულებაში მტკიცისა, ისქანდერის დროისა, კათედრის, ტახტისა, გვირგვინის მფლობელისა, მბოძებლისა, ქვეყნისა და ქალაქებისა, მჩაგვრელთა შემვიწროებლისა და ურწმუნოთა გამანადგურებლისა, წმინდა ადგილებისა და ნიშების მფარველისა, რელიგიურ წარმონათქვამთა შემგროვებლისა, სამართლიანობისა და სიკეთის დროშის გამავრცელებლისა, ჩვენი დროის მეფეთა მეთაურისა, სრულყოფილი იმამისა, მართლმორწმუნეთა ემირისა, მამა მავანისა, ძე სულთნისა ნამებული მეფისა, მავანისა, ხანგრძელს ყოფს ალაჰი მის სულთანს, მფლობელს ძღვევამოსილი ლაშქრისა, ჯარისა და ქვეშევრდომებისა“.

განმარტა რა ეს მუჰიბიმ თქვა „თასკიფ“-ში: მონოგრამა იქნება ორი შეერთების შემდეგ, წერილის დასაწყისში ადგილის გამოტოვებით, კარგი მინდვრებით ორივე მხრიდან: მარჯვნიდან და მარცხნიდან გამოტოვებული ადგილის შემდეგ თანაბრად იქნება ოთხი თითის ზომაზე ან უფრო მეტზე, ყველა მხრიდან, განიერ ქალაღზე, ჩვეულებრივ ფორმატზე ნაკლები, ხაზები ერთმანეთთან ახლოს. მათ შო-

რის იქნება გამოტოვებული ადგილი, ზომით ცერისოდენა, ან უფრო მეტი მარცხნივ და როდესაც დამთავრდება წოდებები, დაიტოვება სუფთა ადგილი, შემდეგ დაინერება ბისმილა, „კეთილშობილი“ და ბოლოს ფორმა მიმოწერისა იმასთან, ვისაც სწერენ.

ალფსაგლეთის ქაყნების ურჯუნო მეფეებისადმი იზგიბის სულთნების მიმოწერის შესახებ:

ყველა იმ ქრისტიან სამეფოთაგან, რომელთანაც მიმოწერაში იმყოფებიან ეგვიპტის სულთნები, არის ორი სამეფო. პირველია ქართველთა, რომლის მცხოვრებნი მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან. „თარიფ“-ის მიედვით, მუსლიმები მას უწოდებენ „ქურდ“-ს და ქრისტიანები — „ქურჯ“-ს. ნათქვამია აგრეთვე, რომ ის მდებარეობს რუმისა და არმენიის ქვეყნებს შორის. ქართველთა ქვეყანა დიდია. ის დიდებულნი სამეფოა და თითქოს გამოყოფილია ამ ორი ქვეყნიდან. მასში ხელისუფლება მტკიცეა და მისი ძალაუფლება მყარია. მისი დედაქალაქია თბილისი.

ხელისუფლება ჰულაგუელთა სახლის ხელთაა (ირანის სამეფოში) და ის განაგებს მას. იარლიყები აღწევენ იმ შემთხვევაში, თუ არ არის გადასული ზღვარს მისი დინება და არ დაძრწიან საცხოვრებელთა შორის ომის გასაჩაღებლად მისი მხედრები. სულთანს მასში ჰყავს მხოლოდ 10000 მხედარი საზღვრების დასაცავად და ბრძანებების აღსასრულებლად. მათი საცხოვრებელი ვრცელი ხეობებია. მცხოვრებნი მომთაბარენი არიან, გადადიან ერთი ადგილიდან მეორეზე. უკანასკნელი, ვისაც ჰქონდა კარგი სახელი ამ მიწაზე და აქ დაილუპა, იყო შეიხი მაჰმუდ იბნ ჯუბანი. ის იყო მამაცი, მწარე ხასიათის ადამიანი. როდესაც შეემთხვა მას ინციდენტი მამასთან, დაცვისათვის მიმართა უზბეკ ყაენს, მაგრამ დიდხანს ვერ იცოცხლა და ვერ შეიმსუბუქა მწარე ხვედრი, მოვიდა მისი აღსასრული და ვერ შესძლო მისი უკუქცევა.

ქართველთა ლაშქარი მტკიცედ იცავს სარწმუნოებას და შესდგება გულადი და მამაცი ხალხისაგან. ჰულაგუელთა ლაშქრისათვის ის



არის საიმედო ძალა და დასაყრდენი. (ჰულაგუელთა ლაშქარი) ენდობა ქართველებს და ჯუბანის შვილებსა და შვილიშვილებს, ნიშნად მათდამი ჯუბანის მიერ აღმოჩენილი სიკეთისა და მადლობისა მფარველობისათვის, რომელსაც ჰულაგუელები პოულობდნენ მასთან. ის (ჯუბანი) იყო გულწრფელი მეგობარი მათი მეფის ბარტილმასი (უთუოდ გიორგი ბრწყინვალეს ეპითეტი უნდა იყოს). ჯუბანმა დანერგა მასთან კეთილი საქმე და სთხოვა, თვალყური ედევნებინა დეპოზიტისათვის. ის იყო უსაყვარლესი მის საუკეთესო მეგობართა შორის და ყველაზე გულწრფელი მეგობართაგან. მეფე იხმობდა ჯუბანს მნიშვნელოვანი საქმეების გადასაწყვეტად და დახმარებისათვის მიმართავდა გაჭირვების დროს.

ბარტილმა თვლიდა მას თავისი ლაშქრის საყრდენად და მისი უბედურების უკუმქცეველად. ამას დაურთო (ავტორმა), რომ ზემოხსენებული ბარტილმა ახლაც ცოცხალია და კარგად არისო. ის ერთ-ერთი ყველაზე დიდებულია ქრისტიან მეფეთა შორის და ყველაზე მტკიცეა ნათლისღებულთაგან. იგი ჩაება მიმონერაში (ეგვიპტის) სულთნის კართან (იერუსალიმის) ჯვრის მონასტრის შესახებ და სთხოვდა, გაეთავისუფლებინათ იგი დამპყრობელთაგან. გამოვიდა ბრძანებები მათთვის მისი დაბრუნების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ჯვრის მონასტერი უკვე მიტაცებული იყო და გადაქცეული იყო მეჩეთად (იერუსალიმის კედლებს გარეთ).

მონასტრის ქრისტიანებისათვის დაბრუნებამ დაამნუხრა სწავლულთა და კეთილმსახურთა ჯგუფი, თუმცა ეს მოფიქრებულად არ იყო გაკეთებული. ამბობენ, ქართველთა მეფე მოუწოდებდა ჯუბანს სამფლობელოების დაპყრობისაკენ და ამისათვის აურაცხელ სიმდიდრეს ჰპირდებოდა. ნათქვამია: მოხსენიებულ იქნა წესი მიმონერისა (ეგვიპტის სულთანსა და ქართველთა მეფეს შორის): „ალაჰიმც მაღალი ხანგრძლივი ჰყოფს ბრწყინვალეობას უდიდებულესი მეფისას, სახელოვანისა, რაინდისა, მამაცისა, ლომისა, გულადისა, მუდმივად თავდამსხმელისა, ლომგულისა, ტახტის მფლობელისა, გვირგვი-

ნოსნისა, მის სარწმუნოებაში განსწავლულისა, სამართლიანისა თავის ქვეშევრდომთა შორის, რჩეულისა ილრიკიის მეფეთა შორის, ქართველთა სულთნისა, ზღვათა და სრუტეთა სამფლობელოების განძისა, რაინდთა სამწყსოს დამცველისა, მისი წინაპრების ტახტ-გვირგვინთა მემკვიდრისა, რუმისა და ირანის ქვეყნების მფარველისა, იონელთა (ბერძენთა) ამოღებული მახვილისა, ასურელ მეფეთა ესენციისა, ტახტ-გვირგვინთა მემკვიდრეთა შორის რჩეულისა, ქრისტიანობის განმადიდებლისა, ისას (იესუს) მიმდევართა შემწისა, მესიის გმირების ცხებულისა, ნათლისღებულთა საყრდენისა, პაპის შემწისა, — რომის პაპისა, მუსლიმთა მოყვარულისა, დაახლოვებულ მეგობართაგან უწმინდესისა, მეფეთა და სულთანთა მეგობრისა“.

ეს არის კეთილი სურვილი მოყვანილი „თასკიფ“-ში: „დაცულ იქნეს მისი სამეფო სიყვარულით მისდამი და არა ლაშქრით, მისი ერთგულებით პირობისადმი და არა ჯარით, მტრული მიდრეკილვით კეთილმსახურებისადმი და არა იმით, რაც მიეწერება მას ჩვენი შორსმჭვრეტელური განხილვით (რომელიც მოითხოვს მის მხარდაჭერას) და არა იმით, რაც გაკვესავს ცეცხლს მისი კვესიდან“. ზოგჯერ იხმარება „ერთგული მუსლიმი“, ნაცვლად „მუსლიმისა“. რაც შეეხება „თასკიფ“-ს, მოხსენიებულია, რომ ქართველებს ჰყავდათ ორი მეფე. პირველი მათგანი თბილისის მმართველი იყო, რომლის მოხსენიება წინ უძღვოდა და მისი სახელი იყო დავითი, მეორე — სოხუმისა და აბხაზის განმგებელი. ეს ორი ქალაქ არის ყირიმის სამხრეთით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული საუბარში ჩრდილოეთის მხარეს მდებარე სამეფოებსა და გზებზე. მის მფლობელს ეწოდება დადიანი, ნათქვამია: წესი მიმონერისა თითოეულ მათგანთან ნახევარ თაბახზეა: „ალაჰიმც მაღალი ხანგრძლივი ჰყოფს ბრწყინვალეობას მის მეფური უდიდებულესობისა, სახელოვანისა, ქებულისა, მამაცისა, ლომისა, გმირისა, ნაკურთხისა, სულიერისა, მავანისა, ქრისტიან ხალხთა ძლიერებისა, განძისა ჯვრის საზოგადოებისა, სიამაყისა ქრისტიანული რელიგიისა, მეფისა მთიანეთისა, ქარ-

თველთა და ჯურჯანთა, მეგობრისა მეფეებისა და სულთნებისა და ეწოდებოდა ყოველ მათგანს „ქართველთა მეფე“. შემდეგ ნათქვამია: მოიხსენია განსვენებულმა ყადმა შიჰაბ ად-დინ იბნ ფადლ ალ-ლაჰმა აღნიშნულ მიმონერაში სხვადასხვა ცვლილებების შესახებ, მაგრამ მათი მოხსენიება არ არის საჭირო, რადგან, რაც მოვიყვანე, ის დარჩა ამ სახით უკანასკნელ დრომდე. ვამბობ (ალ-ლაკლაშანდი): ეს იმიტომ, რომ

უპატივისცემული შიჰაბ ად-დინ იბნ ფადლ ალ-ლაჰის დროს ის (ქართველთა მეფე) სარგებლობდა პატივისცემით და თათრების მისდამი კეთილგანწყობილებისა და ჯუბანთან ახლო ურთიერთობის წყალობით, როგორც წინ იყო მითითებული. ამიტომ მასთან მიმონერაში ხეარობდნენ უფრო მაღალ და საპატიო უპირობებს, ვიდრე, როდესაც ირანში თათართა საეფო მოისპო და მათი კლიჩაჰა გაქრა, მიმონერის ხარისხი ეგვიპტის სულთანისა ქართველ მეფეებთან აღკვეთისაკენ შედარებით დაედაბლა.


საუბარში გზებსა და სამეფოებზე ქალაქ თბილისზე ნათქვამია, რომ ის არანის სარტყელიდანაა, რომ დაიპყრეს მუსლიმებმა, მაგრამ შემდეგ სძლიეს ქართველებმა და კვლავ დაეუფლენ. თბილისის განმგებელს უწოდებენ თბილისზე ძალაუფლების მიმთვისებელს ისე, როგორც არმენიის განმგებელს სისასას უწოდებდნენ სისაზე ძალაუფლების მიმთვისებელს და კვიპროსის განმგებელს უწოდებენ კვიპროსზე ძალაუფლების მიმთვისებელს.

კრებული „არმაღანი“



სწავლა-განათლება ქველ საქართველოში

იმ ფაქტორთა შორის, რომელნიც ხელს უწყობდნენ ქართული კულტურის ზრდა-განვითარებას, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სწავლა-განათლების საქმესაც. ფეოდალური სწავლა-განათლების სისტემა მოიცავდა საერო და სასულიერო სწავლა-აღზრდის სფეროს. აღნიშნულ ხანაშიც სწავლა-განათლების საქმე ეკლესიას ეპყრა და ქრისტიანული იდეოლოგიის შემზღვეველ გავლენას განიცდიდა. სწავლება ძირითადად ეკლესია-მონასტრებთან წარმოებდა და მას, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული საქმიანობა ჰქონდა მიზნად, კერძოდ, მნიგნობარი ბერ-მონაზვნის, ეკლესიის მსახურის აღზრდა, ე.ი. ისევე, როგორც ეს ხდებოდა იმდროინდელ ქრისტიანულ სამყაროში საერთოდ. თუმცა, აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ დროს საერო განათლების ძლიერი ნაკადი, მისი ხალხური საწყისი შეუჩერებელი უტყვევდა შუასაუკუნეობრივ სქოლასტიკას და აზრის თავისუფლებისათვის იბრძოდა. სწავლა-აღზრდის იმდროინდელი სისტემა ფეოდალური სახელმწიფოსა და გაბატონებული კლასის ინტერესებს ემსახურებოდა.



ოშკი

XI-XII სს-ისა და XIII ს. დასაწყისის საქართველოში კულტურის საერთო დონის განვითარებას სწავლა-განათლების საქმის აღმავლობაც კვალდაკვალ მიჰყვებოდა. კერძოდ, შესამჩნევად დაწინაურებულა ამ პერიოდში სასკოლო განათლება. სკოლები არსებობდა ეკლესია-მონასტრებთან, საეპისკოპოსო კათედრებთან და, აგრეთვე, ცალკეც, როგორც დამოუკიდებელი დაწესებულება.

გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფის ცნობით, გიორგის მშობლებმა, როცა მათი ქალიშვილი თეკლე (გიორგი მთაწმინდელის და) შვიდი წლის შეიქნა, ტაძრისის დედათა მონასტერში (სამცხეს) მიიყვანეს და მის წინამძღვარს ჩააბარეს, რომელმაც „შეთვისა იგი“ და „კეთილად აღზარდა“. როცა გიორგი შვიდი წლისა გახდა, მშობლებმა ისიც ტაძრისში მიიყვანეს. აქ გიორგი იზრდებოდა „მონასტერსა მას შინა, და ისწავლიდა წერილთა საღმრთოთა დედაკაცისა მისგან, ან უკვე გაზრდილი და განსწავლული „დისა მისისაგან“. დაწყებითი განათლების მისაღებად გიორგიმ ტაძრისში სამი წელი დაჰყო. ათი წლის რომ შეიქნა, ბიძებმა ახლა უკვე ხახულს წაიყვანეს, ლავრისა „მოდღუარს“ და „ეგრეთვე დიდსა ბასილის, ბაგრატის ძესა“ წარუდგინეს, რის შემდეგაც ჩააბარეს „მოდღურება-

თა შინა“ განთქმულ ილარიონ თუალელს, რომელიც იმ დროს ხახულში დამკვიდრებულიყო და მან გიორგის „წურთა იწყო“.

ზემოთ მოტანილი ცნობები აშკარად ცხადყოფენ, რომ ხახული არა მარტო საკულტო-სამონასტრო, არამედ სასწავლო-სასკოლო ცენტრსაც წარმოადგენდა, სადაც საკმაოდ კარგად მომზადებული „მოდღუარნი“ (მასწავლებლები) ეწეოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას. საფიქრებელია, რომ ასეთივე სასწავლო დაწესებულების მისია უნდა ჰქონოდა დაკისრებული იმხანად ბევრ სხვა საკულტო-სამონასტრო ცენტრსაც საქართველოში.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ადრეული ხანის დიდ მონასტრებთან (ოშკის, ოპიზის, შატბერდის, ბერთას, ხანძთას, ოთხთა ეკლესია) ხშირად გვხვდება ფართო მოცულობის მქონე შენობები. აკად. ექვთიმე თაყაიშვილის დაკვირვებით, ეს შენობები მონასტრებთან არსებული სემინარიებისათვის იყო განკუთვნილი, სადაც მომავალ ეკლესიის მსახურთ ამზადებდნენ. მაგალითად, ოშკის მონასტრის კომპლექსში ძირითადი ტაძრის ჩრდილოეთით მდგარი ასეთი შენობა ოთხკუთხა დარბაზია, რომელიც ერთი შეხედვით ქართველი გლეხის დარბაზს მოგვაგონებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ შენობის დარ-

ბაზს ბოძები არ აქვს. თვით დარბაზი საკმაოდ ნათელი ყოფილა. ასეთივე თაღოვანი ოთხი ფანჯრით იყო განათებული ოთხთა ეკლესიის სემინარია და სხვ. სემინარიების შენობები აღნიშნულ მონასტრებთან ცალკე დგას.

თუ რა საგნები ისწავლებოდა ზემოაღნიშნულ სკოლებში, ამის შესახებ ცნობები შემონახული აქვს გიორგი მცირეს „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“. როდესაც ბიოგრაფი გიორგი მთაწმინდელის ხახულის მონასტერთან არსებულ სკოლაში სწავლაზე მოგვითხრობს, ამის მიხედვით ირკვევა, რომ ხახულში გიორგისათვის უსწავლებიათ თეოლოგია — „ესრეთ ყოველნივე საღმრთონი წერილნი ძუელსა და ახლისა შჯულისანი, რომელნი ოდენ ჩუენსა ენასა პოვნა, ყოველნივე კეთილად გულად იხუნა“. გარდა ამისა, გიორგისათვის გალობა, ჰიმნოგრაფია უსწავლებიათ. ბიოგრაფის სიტყვით, „უნყეს სწავლათაცა საეკლესიოთა და სამღვდლოთა, რომელთა შინა უმეტეს ყოველთა ჰასაკის-სწორთა მისთასა წარემატა. და საგალობელნი იგი სანეწმინდონი და შეწყობილებანი იგი გალობათანი ყოველნივე მეყსა შინა ზეპირით დაისწავნა“. რაც შეეხება „სწავლათა საეკლესიოთა და სამღვდლოთა“, ამაში გიორგი მცირეს ნაგულისხმევი აქვს ლი-



ტურგია. გიორგი მთაწმინდელის სწავლაზე საუბრისას ბიოგრაფი ცდილობს, წარმოაჩინოს მისი მისწრაფება „საეკლესიო სწავლას“ და თეოლოგიისადმი.

ხახულში გიორგი ათი წლისა მიიყვანეს. აქედან გამომდინარე, ზემოდასახელებული საგნები (რომლებთან ერთად, რა თქმა უნდა, ქართული მწიგნობრობაც უნდა ვიგულისხმობთ) მას 10-დან და 12-13 წლამდე შეასწავლეს. „თუ ამ ფაქტს განვაზოგადებთ, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თეოლოგიის, ჰიმნოგრაფიის, ლიტურგიკისა და ქართული მწიგნობრობის შესწავლა ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში საშუალო ასაკის მოსწავლეთა მიერ ხდებოდა“.

ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლები ერთ-ერთი ოფიციალური სახის სკოლები იყო XI-XII საუკუნეების საქართველოში. ამავე დროისათვის გავრცელებული ყოფილა, აგრეთვე, კერძო სახის საშინაო სწავლება. საშინაო სწავლების ტრადიცია ძველთაგანვე არსებობდა საქართველოში და იგი უმთავრესად სამეფო კარისა და დიდგვარიანი ოჯახის შვილების აღზრდასთან დაკავშირებით გვხვდება.

XII საუკუნეში თამარ მეფის აღზრდას მეთვალყურეობდა მისი მამიდა რუსუდანი. რუსუდანისავე სახლში იზრდებოდა დავით სოსლანი, შემდგომში თამარის ქმარი, რომელიც რუსუდანს „მოიყვანა საზღვლად სახლსა შინა მისსა“.

XI-XII სს-ისა და XIII ს. დასაწყისის საქართველოში სასკოლო განათლების დანიშნულებას ხელი შეუწყობს იმ გარემოებამაც, რომ ამ პერიოდში ქართველებმა კარგად გაიცნეს ბიზანტიური სკოლა. მრავალი ქართველი, განსაკუთრებით დიდგვარიან ფეოდალთა ოჯახების წარმომადგენელი, დროებით ან სამუდამოდ სახლდება ბიზანტიაში და იქაურ სკოლებში იძენს ბერძნულ სწავლა-განათლებას. მაგალითად, XI საუკუნის დამდეგს, ბაგრატ IV-ის გამეფების პირველსავე წელს, „წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს: ვაჩე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა“. ტაოელი აზნაურის, ვაჩე კარიჭის ძის ოჯახმა, ბიზანტიის სკოლებში აღზრდილმა, მოგვცა ისეთი შესანიშნავი მოღვაწე, როგორიცაა



ხახულის მონასტარი

ეფრემ მცირე. ცნობილია, აგრეთვე, რომ გიორგი მთაწმინდელმა საქართველოდან ნაიყვანა ბიზანტიაში 80 ყმანვილი. მართალია, როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, გიორგი მთაწმინდელს „განზრახვა ჰქონდა, ისინი ივერიის მონასტრის სამსახურისათვის აღეზარდა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, მათგან არა ერთმა და ორმა მიიღო შესაფერისი განათლება მაშინდელი ბიზანტიის სკოლებშიც“. სომეხი ისტორიკოსის — ვარდან დიდის ცნობით, დავით აღმაშენებელმა საბერძნეთში გაგზავნა 40 ახალგაზრდა იქაურ სკოლებში სწავლის მისაღებად და მთარგმნელობით ხელოვნებაში გასაწვრთნელად.

ისეთ სკოლებს, როგორსაც ადგილი ჰქონდა ბიზანტიაში, საფიქრებელია, რომ თვით ქართველებიც მოაწყობდნენ საქართველოში და, რა თქმა უნდა, ეცდებოდნენ, რომ ქართული სკოლებიც თავისი სასწავლო-პედაგოგიური და სამეცნიერო მიღწევებით იმ დონეზე ყოფილიყო, რა დონეზეც იყო სკოლა მაშინდელ მონიანე ქვეყანაში — ბიზანტიაში.

დღეისათვის ქართულ მეცნიერებაში საცილობელი აღარაა, რომ XII საუკუნის საქართველოში არსებობდა უმაღლესი სკოლები, აკადემიები. ერთ-ერთ ასეთ უმაღლეს სკოლას წარმოადგენდა გელათის აკადემია.

გელათი დავით აღმაშენებლისავე ხანაში თვალსაჩინო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად იყო მიჩნეული. მონასტრის დამაარსებელმა

დროულად დაიჭირა სათანადო თადარიგი და განსწავლული პირები მიიწვია იქ, საქართველოსა თუ უცხოეთში მოღვაწე გამოჩენილ ქართველ მწიგნობრებს თავი მოუყარა და შემოქმედებითი მუშაობისათვის უაღრესად ხელსაყრელი პირობები შეუქმნა. მათ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, დავითმა „მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თვსთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთათ, სადათცა ესმა ვიეთმე სინმიდე, სიყუთე, სისრულე, სულეერთა და ხორციელთა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანნა და დაამკვიდრნა მას შინა“. „მამული ლიპარიტეტი“ შესწირა და მონასტერში დამკვიდრებულთ „უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა“.

მემატეიანის თხრობიდან ნათლად ჩანს, რომ დავითს გელათის მონასტრის დაარსებისას ფართო მიზანი ჰქონდა დასახული. ის საფუძველს უყრიდა და ქმნიდა არა მხოლოდ საკულტო დაწესებულებას, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო შემოქმედების დიდ ცენტრს.

ცნობილია, რომ დავით აღმაშენებლის ხანამდეც მონასტრები ფეოდალური საქართველოს კულტურულ განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობის როლს ასრულებდნენ. მონასტრები საშუალო საუკუნეების საზოგადოების სწავლების ცენტრებს წარმოადგენდ-



ნენ, არაერთი მონასტერი იყო ამ დროს საქართველოში და მის გარეთ (პალესტინაში, სირიაში, ბიზანტიაში, ბულგარეთსა და სხვაგან), სადაც დიდი წარმატებით იყო გაშლილი შემოქმედებითი მუშაობა შუასაუკუნეობრივ საქრისტიანო მეცნიერებაში. ენა, ლიტერატურა, ისტორია, პოეზია, ფილოსოფია, ფილოლოგია და ცოდნის სხვა დარგები ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ცხოველი ინტერესის საგანს წარმოადგენდა. ქართველი ფეოდალური საზოგადოება დიდ ყურადღებას იჩენდა ქართული ქრისტიანული მეცნიერების წარმატებისადმი და ესა თუ ის სასულიერო მოღვაწე-მეცნიერი ყოველთვის დიდი სახელითა და პატივისცემით სარგებლობდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან საერო ხელისუფალნი, ბუნებრივია, ცდილობდნენ ქრისტიანული სწავლების ეს ავტორიტეტული წარმომადგენლები თავიანთ თანაშემწეებად ჰყოლოდათ ქვეყნის მართვა-გამგეობაში. სავსებით გასაგებია, რომ დავით აღმაშენებელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ცხოვრების ამ მხარეს. მაგრამ ის, რაც დავითმა გელათის აშენებით დააპირა, არსებითად განსხვავდებოდა აქამდე არსებული პრაქტიკისაგან. დავითი შეეცადა, ყოველივე ამის „ორგანიზებას ქვეყნის ცენტრალისტურად გაერთიანების სამსახურად. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ახალგაზრდა მეფეს, ის ამ დროს 30 წელს

ძლივს იყო მიღწეული, ეს დიდი საქმე განუზრახეს მისმა უერთგულესმა მრჩეველ-თანაშემწეებმა საერო თუ საეკლესიო პოლიტიკის საქმეებში, — გიორგი მწიგნობართუხუცესმა და სხვა მონაზვნებმა. და მონიფულ საქმეს თავი მოება. გონებრივ მუშაკთა საუკეთესო ძალები შემოკრიბეს ყველა იმ ადგილებიდან, სადაც კი ქართველები მოღვაწეობდნენ. დაარსდა აკადემია — გონებრივი ცენტრი ქართული ქრისტიანული მეცნიერებისა. გასაგებია, თუ რაოდენ არსებითი და მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ეს ავტორიტეტი იმ დიდი საქმის შესრულებისათვის (ქვეყნის ცენტრალისტურად გაერთიანება და თურქთა განდევნა), რომელიც დავითმა წამოიწყო“. მრავალგან დაქსაქსული კულტურული კერების ნაცვლად ერთი კერა შეიქმნა, საუკეთესო ძალები შემოკრებილ იქნა და პირდაპირ ჩადგა გაერთიანებული ქვეყნის კულტურის სამსახურში.

დავითის ისტორიკოსი გელათის აკადემიის უსახებ წარს, რომ იგი არის „ყოველი ადომოსავალინა გიორგი იარუსალიმად, სანსალოდ ყოველინა კათილინად, მოქალაქად სნავლულებინად, სხუად ათინად, ფრიად უაღრას

მისსა სავტომოთა უინა ნესთა, ღიაკონად ყოველინა სავკლასიონსა უუნიეკაბისად“. ეს სნობა გვაკლავს იმის სრულ საფუძვალს, რომ გელათი მივიჩნიოთ როგორც სავრო-ფილოსოფიური მესნიეკაბის (ათინი), ისე სანსალიარო-სავკლასიონ განათლების (იარუსალიმი) თვალსაჩინო სანტრად. ისტორიკოსი გელათს ათინეზა მალაჲს კი აყინებს. „ის გელათს ყოველინა ადომოსავლეთისა გიორგი იარუსალიმად სანსავს იარუსალიმი არა გარტო ყოველინა ადომოსავლინა, არაგედ ყოველინა დანსავლეთისა თუ ჰვაყინის ყველა მხარეთა სიბრძნის წყარო იყო.

ასე რომ ჩვენი ისტორიკოსი ამბობს, რომ გელათი ყოველ აღმოსავლეთში (მთელ აღმოსავლეთში) იერუსალიმობას გასწევს, ათინობას გასწევს. ასე რომ, გელათის დანიშნულება და როლი საქართველოში როდი ამოიწურება, ის მთელ აღმოსავლეთს მიჰყვანს ქრისტიანულ სწავლას, ქრისტიანულ მეცნიერებას. ასეთი ფართო მიზნების სამსახურში ეხატებოდათ, ჩანს, დავითსა და მის თანაშემწეებს გელათი მისი აკადემიით. მეცნიერების სწავლების ცენტრი სჭირდებოდა ახალ ქრისტიანულ ქართულ პოლიტიკურ ერთეულს, რომელიც ახლო აღმოსავლეთში ბიზანტიის მონაცვლეობას ლამობდა“.

ისტორიულ წყაროებში (მაგალითად, შემოქმედის გულანის მინაწერში) დაცული ცნობების მიხედვით, დავითი 1106 წელს შეუდგა გელათის ანსამბლის მშენებლობას. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს გელათის მონასტრის მშენებლობის დანყების შესახებ ამბავი 1103-1110 წლებს შუა აქვს მოთხრობილი. გელათის მონასტრის მშენებლობა კარგა ხანს გაგრძელებულა. დავითს მისი დამთავრება ვეღარ მო-



იყალთოს აკადემია


უსწრია. თავის ანდერძში ის გულსტიკვილით აღნიშნავს, რომ დაუმთავრებელი დარჩა ნამონყებულის მშენებლობა. მონასტრის მშენებლობის დასრულება დავითმა თავის ვაჟს — დემეტრე I-ს (1125-1156) დაავალა და უანდერძა: „ხოლო დამრჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძვალე შვილთა ჩემთა უსრულად და წარმყუა მისთვისცა ტიკვილი სამარადისო. ან შვილმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულჰყოს ყოვლითურთ საუკუნოდ ჩემთვის და მისთვის და მომავალთა ჩემთათვის“. საფიქრებელია, 1125 წლისათვის, როდესაც დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა, მონასტრის მშენებლობის დასრულებას ბევრი აღარაფერი აკლდა. ყოველ შემთხვევაში, დავითის მემკვიდრე, რომელიც თავის თხოვლებას 1123-1126 წლებში წერდა, გელათის ტაძარს დამთავრებულად ასახელებს და მას ხოტბასაც კი ასხამს. ყოველივე ეს შესაძლებელს ხდის, რომ მშენებლობის დასასრული დაახლოებით 1126 წლით დათარიღდეს. აქედან გამომდინარე, საგულისხმოა, რომ მნიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა გელათში ადრევე, დავითის სიცოცხლეშივე, გაჩაღდა. სწავლულმა და განათლებულმა მეფემ აღარ დაუცადა მონასტრის მშენებლობის დასრულებას და ქართველ მნიგნობრებს ადრევე მოუყარა თავი.

გელათის აკადემია თავის კედლებში აერთიანებდა ქართული კულტურის ყველაზე უფრო გამოჩენილ და პროგრესულ წარმომადგენლებს. XII საუკუნეში იგი გადაიქცა ქართული რენესანსის ერთ-ერთ მძლავრ კერად. ამით აიხსნება ის დიდი ავტორიტეტი, რომლითაც ის სარგებლობდა. ცნობილი ქართველი მეხოტბე პოეტი იოანე შავთელი გელათს რომსა და ელადას ადარებს:

„ახალო რომო, შენთვის თქვეს, რომო უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა:

ვნატრი ელადასა, თვით მას გელათსა, სად რომ დაჰკრძალვენ წმიდათ სხეულთა“.

გელათის აკადემიაში დავით აღმაშენებელმა მოიწვია ქართული კულტურის წარმომადგენლები, რომელნიც იმ დროს ათონის, პეტრიწონის, აგრეთვე, კონსტანტინოპოლისა და ბიზანტიის სხვა აკადე-



ბრაში

მიებში მოღვაწეობდნენ. მოწვეულთა შორის იყვნენ: იოანე პეტრიწი, თეოფილე ხუცეს-მონაზონი, იოანე ტარიჭისძე და სხვები, რომელთაც გელათში მეტად ნაყოფიერი სამეცნიერო-ფილოსოფიური მოღვაწეობა გაშალეს.

ქართულ წყაროებში შემონახული ცნობების მიხედვით, ირკვევა, რომ გელათის აკადემიას საგანგებო თანამდებობის პირი ხელმძღვანელობდა, რომელიც „მოდლუართ-მოდლუარის“ ტიტულს ატარებდა. იგი მეცნიერი ბერია. უფლებით და ავტორიტეტით მოძღვართ-მოდლვარი მალა დგას კორპორაციის ყველა ადმინისტრაციულ და საეკლესიო ხელისუფლებაზე, მათ შორის მონასტრის წინამძღვარზე“. მოძღვართმოდვარს მთელს საქართველოში უდიდესი პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული, უაღრესად განათლებული პირი იყო. იგი ამკარად გელათში ზის და არის იქ არსებული აკადემიის უფროსი, ანუ, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, „რექტორი“. გელათის მოძღვართმოდვარი, როგორც აკადემიის რექტორი, დიდ-მოხელე სასულიერო პირთა (ჭყონდიდელი, „კათალიკოზნი ქართლისა და აფხაზეთისა“ და სხვ.) შორის ყველგან პირველი იხსენიება. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, მას მათზე მეტი უფლება და პატივი აქვს მინიჭებული. მაგალითად, დიდ დარბაზზე დასასწრებლად მოძღვართმოდვარს საგანგებოდ ეგზავნება ერთი ჯორი და სამი ცხენი (ორი ცხენი მონაფეებისათვის), დარბაზში პირველად

ის შედის, შემდეგ კი კათალიკოსი. მეფეც ყველაზე მეტი პატივისცემით მას ესალმება („მეფე ნობთა პირსა მოეგებოს და მიესალმოს“), ვიდრე კათალიკოსებს და ჭყონდიდელს.

აქვე ის ფაქტიც უნდა აღინიშნოს, რომ „მოდლუართ-მოდლუარი“ სრულიადაც არ გულისხმობდა „მოდღვრების“ მოძღვარს. „ამ ცნებაში მოძღვარი“ ნაგულისხმევია აღმატებით ხარისხში, ე.ი. „მოძღვარი“, რომელიც ყველაზე წარჩინებულია, ჩვეულებრივ მოძღვარზე მეტად ნასწავლია („მოძღვარი“ ძველად მასწავლებელს ნიშნავდა)... „მოდღვარი“ ძველ მონასტრებში მეცნიერ ბერს ენობდებოდა, რომელსაც მოწაფეები ჰყავდა და მათ მეცნიერებას, მწერლობას და რაიმე ხელოვნებას ასწავლიდა. გელათის მოძღვართმოდვარიც ასეთივე მასწავლებელი იყო, მაგრამ ჩვეულებრივ მოძღვრებთან შედარებით მას უფრო მეტი ცოდნა ჰქონდა და სკოლის უფროსიც იყო“.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ტერმინი „მოდლუართ-მოდლუარი“, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ძალზე ენათესავება ბიზანტიური უმაღლესი სკოლის მეთაურის („დიდასკალოს ტონ დიდასკალონ“) სახელწოდებას.

ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ წყაროებში XII საუკუნის საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის არსებობის შესახებ ერთადერთი პირდაპირი და უტყუარი ცნობა მხოლოდ გელათის აკადემიას ეხება.

არსებობს გვიანდელი ხანის ცნო-



ბები იმის შესახებ, რომ XII საუკუნის საქართველოში, გარდა გელათისა, უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა იყალთოში აკადემიის სახით, რომელსაც არსენ იყალთოელი ხელმძღვანელობდა. იყალთოში ქართული უმაღლესი სკოლის არსებობის ფაქტზე მიუთითებენ დავით რექტორი და თეიმურაზ ბაგრატიონი. იყალთოში აკადემიის არსებობის შესახებ მტკიცე ხალხური გადმოცემაც არსებობს. იმ ფაქტს, რომ XII საუკუნეში იყალთოში არსებობდა უმაღლესი სამეცნიერო დანესებულების შენობა, ადასტურებს ის ნაგებობა, რომელიც ნანგრევების სახით დღემდე დაცულია სოფელ იყალთოში. ყველა ამ ზემოაღნიშნული მონაცემის გათვალისწინების საფუძველზე ქართულ მეცნიერებაში უკვე საეჭვო აღაარა, რომ იყალთოს ღვთაების მონასტრის გალავნის შიგნით, სამხრეთ ნაწილში დაცული გრძელი ორსართულიანი სამოქალაქო ნაგებობა, რომელსაც აღმოსავლეთიდან სანახელი ეკვრის, არის ქართული საერო ხუროთმოძღვრების ღირსშესანიშნავი ძეგლი — XII საუკუნის ქართული აკადემიის შენობა.

გადმოცემით, უმაღლესი სკოლა უნდა არსებულიყო გრემშიც, მაგრამ ამის შესახებ რაიმე ძველი სარწმუნო წერილობითი წყარო ან დოკუმენტური მონიშნება არ მოგვეპოვება.

ისმის კითხვა: რა საგნები ისწავლებოდა ქართულ უმაღლეს სკოლებში?

მკვლევართა აზრით, გელათისა და იყალთოს აკადემიებში, ძირითადად, სწავლების ისეთივე სისტემა უნდა ყოფილიყო შემოღებული, როგორც საერთოდ იმდროინდელ ქრისტიანულ აღმოსავლეთში. კერძოდ, ბიზანტიაში უმაღლესი სკოლის სასწავლო გეგმაში შვიდი დისციპლინა იყო საყოველთაოდ სავალდებულო. ეს სამეცნიერო დისციპლინებია ე.წ. trivium — quadrivium-ის (სამი + ოთხი) ციკლი: გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია. „ამ შვიდი დისციპლინის სწავლება სავალდებულო იყო ყველგან, მაგრამ ამა თუ იმ სასწავლებელში, ადგილობრივი საჭიროებისა და მიხედვით, შეიძლებოდა დამატებითი საგანი ყოფილიყო გეგმაში შეტანილი. ჩვენ ვიცნობთ ბიზანტიის

უმაღლესი სკოლების ისეთ გეგმას, სადაც, იმ შვიდი დისციპლინის გარდა, იყო მედიცინა; ზოგან შეტანილი იყო (მაგალითად, ბეირუთში) სამართლის მეცნიერება, სხვაგან კი დევსხვა“. რაც შეეხება საქართველოს უმაღლეს სკოლებს, ქართულ წყაროებში დაცული ცნობების საფუძველზე მკვლევარნი გამოთქვამენ ვარაუდს, რომ აქ, კერძოდ, გელათში, სავალდებულო უნდა ყოფილიყო ზემოხსენებული შვიდი დისციპლინა. ასეთი ვარაუდის გამოთქმისას მკვლევართ მხედველობაში აქვთ იოანე პეტრინის ორიგინალური ფილოსოფიური ნაწარმოები „განმარტება პროკლე დიადონოსის და პლატონური ფილოსოფიისათვის“, რომლის ბოლოსიტყვაობაშიც იგი დანვრილებით მსჯელობს ზემოაღნიშნულ შვიდ სამეცნიერო დისციპლინაზე, თუ რომელი მათგანი რისთვის არის საჭირო, რომელი მათგანი რა დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას ქმნის.

პეტრინი ჯერ trivium-ში შემავალ დისციპლინებზე — გეომეტრიაზე (ქვეყნის სამზომლო), არითმეტიკაზე (რიცხუნი) და მუსიკაზე (სამუსოი) მსჯელობს, რომლებიც საღვთისმეტყველო განათლების პირველ ციკლად აქვს წარმოდგენილი. ცოტა უფრო ქვემოთ იოანე პეტრინი მეორე ციკლის (quadrivium) თითოეული სამეცნიერო დისციპლინის (ღრამატიკოსობა, რიტორობა, ფილოსოფოსობა, ვარსკვლავთმრიცხველობა) განმარტება იძლევა.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რაში დასჭირდა იოანე პეტრინს, ეხსენებინა ეს შვიდი დისციპლინა (ქვეყნის სამზომლო, რიცხუნი, სამუსოი, ღრამატიკოსობა, რიტორობა, ფილოსოფოსობა, ვარსკვლავთმრიცხველობა)? სავსებით ნათელია, რომ მან საქრისტიანო დებულებების განსამარტავად მოიშველია სწორედ ის დისციპლინები, რომლებიც ისწავლებოდა გელათის აკადემიაში, ე.ი. იქ, სადაც სხვებთან ერთად მანგანის აკადემიაში აღზრდილი იოანე პეტრინი თვითონაც მოღვაწეობდა. „სხვა გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს ფილოსოფიური ტრაქტატის დასკვნით ნაწილში მსჯელობას შვიდი დისციპლინის შესახებ: ეს ის ტრივიუმ-კვადრივიუმია, რომელიც წარმოადგენდა უმაღლესი

განათლების საფუძველს ყველგან მაშინდელ მსოფლიოში, მათ შორის გელათშიც“.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი trivium quadrivium-ის საგნებისა, გელათის აკადემიაში, როგორც ჩანს, შედიოდა ისწავლებოდა. აქვდა აკრძალა აზრით, XIII საუკუნის დასაწყისში თარგმნილი საედიციონო ხასიათის „წიგნი სააქიმოი“ სასწავლო დანიშნულების სახელმძღვანელო ნაშრომი უნდა ყოფილიყო, როგორც ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ, გელათში, შედიოდა სხვის სწავლებასთან დაკავშირებით იხმარებოდა.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ერთი მეტად საგულისხმო ფაქტი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, როგორც კი დაამთავრებს თხრობას გელათის მონასტრისა და აკადემიის აშენების შესახებ, იქვე უმაღლ დასძენს: „აღაშენა ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა და შუნიერსა, რომელსა შინ შეკრიბნა ძმანი თვითოსახითა სენითა განცდილნი“, ესე იგი: დააარსა საავადმყოფო სხვადასხვა სენთა სამკურნალოდო. და აი, ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, ეს ქსენონი („საავადმყოფო“) დაარსებულ იქნა გელათში, როგორც კლინიკა (ანუ პოლიკლინიკა: შდრ. „თვითოსახითა სენითა“, ე.ი. სხვადასხვა დაავადებათა), რომელიც ემსახურებოდა გელათის აკადემიის სამეცნიერო კათედრას.

XII საუკუნის ქართულ უმაღლეს სკოლებში სწავლა-განათლების საქმე იმ დროისათვის მაღალი აკადემიური დონით ხასიათდებოდა. ეს სკოლები თავის მეცნიერულსა და პრაქტიკულ საქმიანობას აწარმოებდნენ იმდროინდელი პროგრესული იდეების საფუძველზე.

მოამზადა
თეიმურ იმერლიძევილი

ამიერკავკასიის რღვევა

წმინდა დიპლომატიური კამპანიის ამოცანა საკმაოდ ნათლად იკვეთებოდა. შეიძლება გვქონოდა იმედი, რომ ჩვენ მიმართ წამოყენებულ მოთხოვნებს გერმანიის დახმარებით რამდენადმე მაინც შევარბილებინებდით. მაგრამ არავითარი იმედი არ იყო იმისა, რომ ამიერკავკასიას ომს გამოვარიდებდით, ნეიტრალური ქვეყნის მდგომარეობაში ჩავაყენებდით და მის მონყობასა და დამშვიდებაზე ზრუნვას დავინყებდით. მისი რკინიგზები სჭირდებოდა მეომარ მხარეებს: დამოუკიდებლად გამოცხადებული, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაზე დამოკიდებული ამიერკავკასიის სისუსტის გამო ეს ლიანდაგების ქსელი მონოდედებული იყო, გაედლიერებინა ის („დიდთაგანი“), ვინც პირველი დაადებდა მას ტორს.

ყველა უპირატესობა იმ კოალიციის მხარეზე იყო, რომელსაც გერმანია ხელმძღვანელობდა, რადგან თურქეთი ბათუმისა და ყარსის ხელში ჩაგდებათ (1918 წ. აპრილში) უკვე ჩაეჭიდა ერთ ბოლოში იმ სალიანდაგო გზას, რომელიც ომის თურქულ თეატრს სპარსულთან აერთებდა. ისიც ყველასათვის ცნობილია, რომ იგივე გზა მიდიოდა ბაქოს ნავთობამდე და თურქესტანის ბამბამდე.

სხვა პირობებში საქმე მომთავრდებოდა რკინიგზებით სარგებლობის სპეციალური კონვენციით; ამიერკავკასიის მთავრობა — აუცილებლობის გამო — სწორედ ამ გზას ადგა. მაგრამ

უგადურება ის იყო, რომ ამიერკავკასიის საზღვრებში თურქების შემოჭრა სწრაფად და ფატალურად იწვევდა მრავალგვარ და საუიშგართულებას. საჩინიგზო ხაზი სპარსეთისაკენ გადიოდა სომხურ პროვინსიებზე: თურქებს აქას ახდუნებდა სომხების მოსპობის იმ პოლიტიკის გამოყენება, რომელსაც ისინი მიმართავდნენ თურქეთში ომის დროს; ამით ამოქავედებოდა თათარი და

სომეხი მოსახლეობის ურთიერთმოსაკალი მტრობა, რომლის ჯერ კიდევ რუსეთის მეფობის დროს ამოქავედდა;

მეორე მხრივ, ათუხთუხდა ყველა, ვინც კი ისტორიული ტრადიციით, ან რელიგიური და რასობრივი ერთობის გრძნობით, ანდა ისე, „რაიმე გზად მონეული საჭიროებით“, თავს თურქეთის ბუნებრივ კლიენტად მიიჩნევდა ან ახლა ეძიებდა მის კლიენტობას. ყველაფერ ამას აძლიერებდა, აფუცხუნებდა თურქეთის უძლეველობის ილუზია, რომელსაც მისივე მრავალრიცხოვანი ამკარა თუ ფარული აგენტები ოსტატურად აზვიადებდნენ. აკი, გამოგზავნა კიდევ თურქეთმა „ისლამის ლაშქარი“ ამიერკავკასიაში...

აი, ამიტომ გამოიწვია თურქეთის ჯარების (ინგლისის ჯარების წინააღმდეგო, როგორც წერდა ვეჰიბ-ფაშა) ალექსანდროპოლ-ჯულფის მიმართულებით გატარების თავისთავად მარტივმა საკითხმა განსაკუთრებული შეხლა-შემოხლა ამიერკავკასიისა და თურქეთის დელეგაციებს შორის.

ალექსანდროპოლი დაკავებული ჰქონდათ თურქეთის ჯარებს, სომხურ ნაწილებს მისი დაცვის ძალა არ აღმოაჩნდათ. სომხები, ისევე როგორც სხვა დელეგატები, აღიარებდნენ თურქული სარდლობისათვის რკინიგზის დათმობის გარდუვალობას. მაგრამ სასურველი იყო, რა თქმა უნდა, ამ ფრიად საჩრთირო საკითხის თაობაზე გარკვე-



ზურაბ ავალიშვილი

ული გარანტიები და წინასწარი ურთიერთშეთანხმება. თურქები კი, სამხედრო გარემოებების მომიზეზებით, შეუძლებლად თვლიდნენ დაყოვნებას და ჯიქურ გვიტევდნენ.

მრავალი ტანჯვა მიაყენეს ადგილობრივ სომხურ მოსახლეობს და მრავალი უსიამოვნება — ამიერკავკასიის დელეგაციას. საქმეს რამდენადმე ეშველებოდა მხოლოდ ოთხთა კავშირის სახელმწიფოებთან გერმანელების დახმარებით ჩვენი ურთიერთდამოკიდებულებების მთელი საერთო საკითხების გადანყვეტა. პროტესტები და „სუვერენიტეტის გათელვის“ მომიზეზება კი, რომელიც გაცხადებული იყო ა. ჩხენკელის მიმონერაში ამ საქმის გამო, აუცილებელი, მაგრამ უნაყოფოც იყო.

ასეთი გართულებები კონფერენციაზე ქმნიდა უკიდურესად მძიმე მდგომარეობას. ამასთან, ხელმძღვანელებსაც აკლდათ სიდინჯე და თავშეკავება.

არ იყო არც პროპორციის გრძნობა, არც მშვიდი გარჩევა მისალწე-



სა და ფანტასტიკურს შორის, პირველხარისხოვანსა და მეორეხარისხოვან მოვლენებს შორის, ხანგრძლივსა და წარმავალს შორის.

კონფერენციის ხალხმრავალ და ნერვიულ კულისებში მოულოდნელად გამოჩნდებოდნენ და ისევ ქრებოდნენ ხან თბილისიდან ჩამოსული მოღვაწე-გასტროლიორები, პარტიის, ერის ან ჯგუფების წარმომადგენლები, ხან ცალკეული მოხალისე პოლიტიკოსები, ზოგჯერ ნამდვილი ავანტიურისტები. არ გვაკლდნენ უსაქმურობით გაბეზრებული ადგილობრივი ბათუმელი მოღვაწენი, ჩვენი ტყვე ოფიცრები; პოლიტიკური შუამავლები სხვადასხვა მუსულმანური პროვინციებიდან, მთელი კავკასიიდან, რომელთაგან ბევრის სახეებს ახალი ფესკები „ოთომანურ“ იერს ანიჭებდა; კავკასიელი თურქებიც საკმაოდ იყვნენ — ყველაფერი ეს გუგუნებდა, ნაყარი ფუტკარივით ირეოდა ჩვენს გარშემო.

აი, რამდენიმე ამონაწერი იმდროინდელი უბის წიგნაკიდან.

1918 წ. მაისი

ბათუმში მუდამ სათუარის შეგრძნებაა. მისი სწოილი ნაღაქები ზრდის გაბგუს, ჩაისა და ყვავა ყადაღაბულ სუბტროპიკულ მხანარას. ამ ნაღაქების გამო იზვიათია ნათალი ჰორიზონტი, იზვიათად ჩანს მთების მოსაზულობა და ბუნება მუდამ მზადაა წვიმისათვის.

„ბულვარი“, რა თქმა უნდა, კობტაა და სამხრეთის ზღვა, ცხადია, ლამაზი უნდა იყოს. მაგრამ თვით ბათუმში ცოტაა საინტერესო, ვინაიდან ცოტაა დამახასიათებელი. ქუჩებს არა უშავს, სასიამოვნოა. მგონია, ერთადერთი კუთხე, რომელიც არა ჰგავს სხვებს, ეს ე.წ. ბერძნული ქუჩაა.

მე ვთქვი: სასიამოვნოა-მეთქი, მაგრამ მალე შეილანძღება. ჩემი მხედველობის არეში (სასტუმროს ფანჯრებიდან) ერთი კვირაა, რაც ქუჩაში გამოჩნდა მკვდარი კატა. რა იქნება აქ ერთი-ორი წლის შემდეგ? მაგრამ დარჩებიან კი აქ თურქები?



თბილისი. 1919 წ. საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავის ზაიფი. ტრიბუნაზე დგანან: ნ. ჟორდანიას, ს. მღვივანის, ნ. ნარათელის, პ. კახიანი, ბ. ლორთქიფანიძის, ე. თაყაიშვილის, და უცხოელი სტუმრები

ყველგან ვარსკვლავიანი ნახევარმთვარეა წითელ ფონზე. ფესკებმაც იმრავლა. მაგრამ ნანილობრივ ეს პოლიტიკური მასკარადია, ნანილობრივ კი ეს ყველაფერი მოსულია, დროებითია. ნავსადგურთან ცოტა გემებია; სამაგიეროდ აფუსფუსდა იქ, თავის იალქნიან ნავებთან, ანატოლიელი ზღვისპირელი ხალხი. და ოდინდელი ლევანტიელთა ბრბოც იქვეა.

ჩვენი დელეგაციის ფორმირების პირობები ისეთია, რომ შეუძლებელია აიცილო წარმოუდგენელი უცნაურობა, დამთხვეულობა. რატომღაც უნებურად გაგონდება რუსული კერძი „სალიანკა“ და სხვა მისთანები.

...რა ქარბია, რომ ბევრს არ ანის და ვერ გრძნობს მიღებული დარტყმების სიმძიმეს. ფიქრები და გრძნობები ყოველდღიურობას ექვემდებარება. ადამიანების ტრიალებან, როგორც ხელი ფოთლები შემოდგომის ქარის შემოგარკაზაზე.

ისმის დანჯღრული საქარვის ქლავიუების შეუწყობელი გრუნენი; გაუპროსავი საზიდრის აუტანელი ჭრიალი.

სამი თურქი დიდებულის — ჯემალ-ფაშას, ხალილისა და ვეჰიბის ვიზიტი. მათ მოისურვეს გასცნობოდნენ ჩვენს დელეგატებს. დასხდნენ სამივენი დივანზე და მკვიდრად დაიკავეს იგი. მოგვართვეს ყავა. აქეთა მხარეს, პატარა სასტუმრო ოთახში, მთლად არქიპელაგად განლაგდა ამიერკავკასიის დელეგაცია. მე მიწვეული ვიყავი „თანამშრომლად“. ჯერ თავისუფალი საუბარი; შემდეგ ჩვენი სტუმრები გვთხოვდნენ, ყოველმა ეროვნულმა სექციამ გულწრფელად გამოთქვას თავისი აზრი.

ჩვენკელი ყოველთვის აღფრთოვანებულია, როცა შემთხვევა ეძლევა, გააზას „საერთაშორისო“ საუბარი. აქ მის წინაშე ოთომანის პორტას სამი ბურჯი აღმართულა. სამი კავკასიური ერის ქადაგთა პირისპირ დამდგარან ისინი. ციფრმა „სამმა“ მისტიკურად იმოქმედა ჩვენკელზე, და მან, როდესაც წინ ედგა სამი მუსულმანი და ორიც თა-



ვისივე დელეგაციაში ჰყავდა, და-
ინყო იმით, რომ „თუმცა როგორც
სოციალისტი, დიდ მნიშვნელობას
არ ვანიჭებ რელიგიურ დოგმატებს,
მაგრამ როგორც ღმერთთა სამსა-
ხოვანი, მაგრამ ერთია, ისევე ამი-
ერკავკასია, თუმცა შეიცავს სამ
ერს, მაგრამ“ და ა.შ. როგორია
ღვთისმეტყველური დვრიტისა და
ატავიზმის ძალა?

შემდეგ ნიკოლაძემ უბრალოდ,
მოკლედ, დასაბუთებულად ილაპა-
რაკა თვით თურქეთისათვის ამიერ-
კავკასიის დამოუკიდებლობის სარ-
გებლობაზე, მნიშვნელოვანია, და-
სასწყისშივე არ წავართვათ ამიერ-
კავკასიას ის ელემენტები, რომლე-
ბიც მის სასიცოცხლო აუცილებლო-
ბას წარმოადგენსო და ა.შ. ხატისოვ-
მა თემად აირჩია სომხეთის საკითხი,
ჯემალ-ფაშას მოაგონა მისი სარდ-
ლობა პალესტინაში და ქრისტიანე-
ბისადმი კეთილი დამოკიდებულება,
სომეხი მეგობრები (ზოჰრაბი და
სხვ.), თურქეთის რევოლუციაში მი-
სი თანამებრძოლები.

**იტყობა, ხატისოვი ჯემალ-
ფაშას ნატკენ აღვილს
შეხსო, მან სერიოზული სხვა
მიიღო და უჩრია ავ
საქითხზე არ ელაპარაკათ —
ყველაფერ იმის შედეგ, რას
მონღარ (თვით თურქების
ღრმა ჩნებით, 1914-15 წწ.
ოვენი სომხებმა ზურგში
მხვნილი ჩასხეს მათ).**
**მასამ სიტყვა მამად-ჰასან
გაჯინსკიმ წარმოთქვა: იგი
კათილგანყოფილი
ლაპარაკობდა; იმადი
გვაქვსო, მოხარული ვართო
— კათილგონიერად აუარა
გვაქვსო თაოლოგიას,
მწვავე ეროვნულ
საქითხებს.**

საერთო, ცოცხალი საუბრის შემ-
დეგ ჩვენი სტუმრები გაემგზავრნენ.

ვინც ბათუმში იყო 1918 წელს, რუ-
სეთი მეტად შორეულ ქვეყნად ეჩვე-
ნებოდა. საბჭოთა ხელისუფლება არ
ვრცელდებოდა ამიერკავკასიაზე.
დამოუკიდებლობა გამოცხადებული

იყო. ჩრდილო კავკასიაში ცვალებ-
დი, გაურკვეველი მდგომარეობაა;
ბუნებრივი საზღვრის — კავკასიო-
ნის ქედის — წყალობით თითქოს გა-
მოცალკეებული ვიყავით იმისაგან,
რაც რუსეთში ბობოქრობდა; ბაქოში
(რომლის წინაც ამიერკავკასიის სამ-
ხედრო ზღუდე აღმართულიყო) და
კასპიისპირა სხვა პუნქტებში არსე-
ბობდნენ სხვადასხვა, რთული და უგ-
რძესი სახელწოდებით საბჭოთა
ჯგუფები. მაგრამ ზოგადად რომ
ვთქვათ, თვალუწვდენელი, მოუნეს-
რიგებელი სივრცეები ჯერჯერობით
ყოფდნენ ამიერკავკასიას საბჭოთა
რუსეთის ნამდვილი ცენტრებისაგან,
თუმცა მისი ავანპოსტები ახლომან-
ლო იყო გაბნეული.

**ევროპულმა ომმა ზენიტს მიაღ-
წია. გერმანია ძლიერ იყო დაინტე-
რესებული, რომ აღმოსავლეთში
თუნდაც დროებითი წონასწორობა
დამყარებულიყო. ამას ემსახურე-
ბოდა ბრესტ-ლიტოვსკის, ბუქა-
რესტის ხელშეკრულებები და მთე-
ლი „განაპირა ქვეყნების პოლიტი-
კა“ ბალტიკიდან შავ ზღვამდე;
სწორედ ამისათვის ახლა ძალზე
ცდილობდა გერმანია, როგორმე
მოერიგებინა თურქეთისა და ამი-
ერკავკასიის ინტერესები.**

გასარკვევი იყო, აგრეთვე, ამიერ-
კავკასიისა და საბჭოთა რუსეთის
ურთიერთობა. ეს აუცილებელი
იყო, საერთოდ, მყარი წესრიგის-
ვისაც, რომელიც ბათუმის კონფე-
რენციის შედეგად უნდა დამყარე-
ბულიყო ამიერკავკასიაში, კერძოდ
კი, ბაქოსა და ბაქოს ნავთობის სა-
კითხის მშვიდობიანი გზით გადა-
საწყვეტადაც (საკითხი, რომელიც
ყოველთვის მწვავე იყო რუსეთი-
სათვის, ახლა კი, სხვადასხვა მისწ-
რაფებათა გამო, მწვავე გახდა გერ-
მანიისათვისაც და თურქეთ-აზერ-
ბაიჯანისთვისაც).

გერმანიის მთავრობამაც მაისის
შუა რიცხვებში, ე.ი. ბათუმის კონ-
ფერენციის გამალებული მუშაობის
დროს, მოსკოვს შესთავაზა თავისი
შუამდგომლობა სწორედ ამიერკავ-
კასიისა და საბჭოების მორიგების
მიზნით. გრაფ მირბახის მიერ გადა-
ცემულ ამ წინადადებას სახალხო
კომისარიატმა უპასუხა განცხადე-
ბით, რომ აუცილებელია ბათუმის
კონფერენციაში რუსეთის წარმო-
მადგენლის მონაწილეობა, და იმავე-
დროულად მიუთითა „ეგრეთწოდე-
ბული ამიერკავკასიის მთავრობის“

თვითმარქვიობის შესახებ, იმ მთავ-
რობისა, რომლის წინააღმდეგაც
გამოდიან ყველა მასობრივ სახალ-
ხო მიტინგზე და ა.შ.

**ჩვენ არ გავგჭირვებია ამიერკავ-
კასიის მთავრობის უფლებამოსი-
ლების ასეთი შეფასების უარყოფა
(19 მაისი) და თვით კომისრებიც,
როგორც ჩანდა, არ ანიჭებდნენ ამ
შეფასებას რაიმე მნიშვნელობას,
რადგან საბჭოთა მთავრობამ დაუ-
ყოვნებლივ მიიღო გერმანიის შუ-
ამდგომლობა რუსეთის მიერ ამი-
ერკავკასიის ცნობის საკითხზე.**

**ფონლოსოვაჟა ეს რომ
გვახსნო (21 მაისს), ისიც
დაუმატა, ვაპირებ,
მოსკოვში მივბრუნდები
შევატყობინო
ამიერკავკასიის მიმართ
ბოლშევიკების მუქარის
შესახებ სოხუმისა და გაქოს
მხრიდან (ასეთი მუქარა
იყო), და გერმანია,
საერთოდ, დაგაჯიტიებით
უჩრევს რუსეთის
მთავრობას, ნუ შეუტავს
ამიერკავკასიასო.**

1918 წელს ასეთი შეტყვის დრო
ჯერ კიდევ არ მომნიშვნელებულიყო.
მაგრამ არც ბათუმის კონფერენცი-
აში მონაწილეობის მიღების შესაძ-
ლებლობა მიეცა საბჭოთა მთავრო-
ბას. გერმანიის შუამდგომლობით
მხოლოდ შევთანხმდით, რომ ამი-
ერკავკასიის წარმომადგენელი მო-
ლაპარაკებას გამართავდა საბჭო-
თა მთავრობასთან სადმე საბჭოთა
ფედერაციის ფარგლებში, ამიერ-
კავკასიასთან ახლოს (გერმანიის
მიერ შეთავაზებულ კიევს ჩიჩერი-
ნი მოუხერხებლად მიიჩნევდა). მაგ-
რამ ეს აზრიც, შეცვლილ გარემოე-
ბათა გამო, ვერ განხორციელდა.
თუმცა პირველად დადგა რუსეთის
მიერ ამიერკავკასიის დამოუკი-
დებლობის ცნობის საკითხი: გამო-
ირკვა, რომ 1918 წლის შუა ხანების
პირობებში ამ აღიარების გასაღე-
ბი ბერლინში იყო.

**ზურაბ ავალიშვილი,
წიგნიდან „საქართველოს
დამოუკიდებლობა
1918-1921 წლების
საერთაშორისო პოლიტიკაში“**



დიდი სამამულო ომის გმირები

გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ გარდინის კენიშნული

■ გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ გარდინის კენიშნული

დაამთავრა გორის ჰუმანიტარული ტექნიკუმი, ლენინგრადის მფრინავთა სამხედრო-თეორიული სკოლა, მფრინავთა პირველი სამხედრო სკოლა კაჩეში. იყო მეტაური რგოლის, ავიარაზმის, შემდეგ კი 243-ე თავდასხმელი ავიაბრიგადის საავიაციო ესკადრილისა.

1938 წელს პოლკოვნიკი ნანეიშვილი ლენინგრადის სამხედრო ოლქის 147-ე ჩქაროსნული ბომბდამშენი ავიაბრიგადის მეტაურად დაინიშნა. მონაწილეობდა ფინეთთან ომში.

სამხედრო კორესპონდენტი პოლიაკოვი იგონებს, რომ „ერთ საათში, მას შემდეგ, რაც ვლადიმერ გარდინის ძე ნანეიშვილმა თავისი აღზრდილები ჰელსინკის თავზე გადაატარა, ფინეთის მთავრობამ სასწრაფოდ ჩაალაგა ჩემოდნები და გაიქცა...“

ომის პირველ დღეებში ნანეიშვილი ლენინგრადთან იმყოფებოდა. რიგითი მფრინავების შემადგენლობაში ბევრი ახალგაზრდა იყო. ისინი მთელი გულისყურით მოეკიდნენ საქმეს და მალე მიიღეს სამდვილი „საჰაერო განათლება“. 1939 წლის 30 ნოემბერს, ომის პირველ დღეს, განხორციელდა პირველი საბრძოლო გაფრენა. ექვსი ჩქაროსნული ბომბდამშენი გაფრინდა ჰელსინკის, კოულიეს, უტის მიმართულებით. სამინელი სქელი ნისლი ჩამოწოლილიყო. ჰელსინკში აეროპორტის პოვნა შეუძლებელი იყო.

ვ. ნანეიშვილს, როცა დავალებაზე მიჰყავდა თავისი მფრინავები, არ ავიწყდებოდა საზენიტო არტილერიის დაბომბვისას მათზე თვალყურის დევნება. ყოველი გაფრენის შემდეგ იგი მათთან ერთად განიხილავდა შესრულებულ დავალებას, აღნიშნავდა ნაკლებს, ზოგიერთი პილოტის გადაამეტებულ ნერვიულო-

ბაზე ოპერაციის მსვლელობისას.

მან ყურადღება მიაქცია ესკადრილის ერთ ახალგაზრდა მეტაურს, რომელიც ცუდი მეტეოროლოგიური პირობების დროს ყოველთვის უკან ბრუნდებოდა იმ მოტივით, რომ ფრენა შეუძლებელი იყო. მაშინ ნანეიშვილმა თავად წაიყვანა ესკადრილია, მარჯვენე კი ის მეტაური გაიყოლა. მიუხედავად არასახარბიელო მეტეოროლოგიური პირობებისა, დავალება შეასრულეს.

მას შემდეგ იმ ესკადრილის მეტაური დავალების შეუსრულებლად უკან არასოდეს მობრუნებულა — ფრინავდა ყველაზე რთულ პირობებში, ნისლსა და ნამქერში. შემდგომში ისიც საბჭოთა კავშირის გმირი გახდა.

1940 წლის იანვრიდან ნანეიშვილი ჩრდილო-დასავლეთ ფრონტზე იბრძოდა. იგი მე-18 ჩქაროსნულ ბომბდამშენ ავიაბრიგადას მეტაურობდა. ერთი თვის განმავლობაში მისი ბრიგადის თვითმფრინავებმა „მანერჰეიმის ხაზზე“ 621250 კგ ფუგასის ტიპის ბომბები (თითოეული 50-დან 500 კგ-მდე) ჩამოყარეს. 11 თებერვალს, შტურმის დაწყების წინ, მე-18 ავიაბრიგადამ 20-ნუთიანი დარტყმა განახორციელა ფინურ პოზიციებზე. იგი ეხმარებოდა მე-19 მსროლელ კორპუსს ოპერაციის განხორციელებაში.

ნანეიშვილის ბრიგადამ 1312 საბრძოლო გაფრენა განახორციელა, რომელთა დროს მონიშნულმდეგეს 215 ტონა ბომბები დაუშინა. მამაცი მფრინავები ყოველთვის გამარჯვებულნი ბრუნდებოდნენ ბაზაზე. მე-18 საავიაციო ბრიგადის უნარიანი ხელმძღვანელობისთვის, ომში გამოჩენილი პირადი მამაცობისთვის ვ. ნანეიშვილს 1940 წლის 21 მარტს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.



იმავე წელს, 4 ივნისს ნანეიშვილი გენერალ-მაიორი გახდა. 1941 წლის აგვისტოდან 1941 წლის 22 ოქტომბრამდე ის ამიერკავკასიის 27-ე ავიადივიზიის მეტაურობდა.

დიდი სამამულო ომის ქარ-ცეცხლში სახელოვანმა ქართველმა ყველაფერი გააკეთა მტერზე გამარჯვებისთვის. იგი სარდლობდა 46-ე და 47-ე არმიების საჰაერო ძალებს, იბრძოდა ყირიმში, სტალინგრადთან, კურსკის რკალზე, ათავისუფლებდა უკრაინას, მისსავე ტერიტორიაზე ანადგურებდა მტერს.

ს. ნ. გრეჩკოს მოგონება: „ერთხელ, აგვისტოს შუა რიცხვები იქნებოდა, ჩვენს აეროდრომზე დაემშვა Y-2. თვითმფრინავიდან გარუჯული შავგვრემანი ჩაფსკვნილი აღნაგობის გენერალი გადმოვიდა. ეს იყო ნანეიშვილი. მან წარუდგინა რა თავი აეროდრომის მორიგეს, თავდამსხმელთა გაფრენის ბრძანება გასცა. 15 თვითმფრინავი წავიდა დავალებაზე. ოპერაცია წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ მოულოდნელად ერთი თვითმფრი-



ნავი დაზიანდა, მფრინავი იძულებული გახდა, პარაშუტით გადაერჩინა თავი. ეს იყო პ. დანკვეიჩი (შემდგომში ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი).

გენერალ ნანეიშვილის მძვინვარებას საზღვარი არ ჰქონდა. მართალია, ის დანკვეიჩის არ უბრაზდებოდა, მაგრამ პოლკის მთავარ ინჟინერს მისგან მაგრად მოხვდა“.

1944 წლის მაისში ნანეიშვილს გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა. 1945 წლის იანვარში იგი დაიჭრა.

გენერალ-პოლკოვნიკი რიტოვი იგონებს: „ზოგიერთი საკითხის დასაზუსტებლად მორიგ ოპერაციასთან დაკავშირებით მე-8 თავდასხმელი კორპუსის მეთაური ნანეიშვილი **Ио-2**-ით გაფრინდა მე-2 საჰაერო არმიის მეთაურ გენერალ-პოლკოვნიკ კრასოვთან. თვითმფრინავს უფროსი ლეიტენანტი აგაჯაბოვი მართავდა, რომლისთვისაც ეს მარშრუტი კარგად ნაცნობი იყო.

მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. მათ ცეცხლი გაუხსნეს. მფრინავმა მაინც მოახერხა მანქანის დასმა. გენერალი სასწრაფოდ გადმოვიდა კაბინიდან და მისი დათვალეიერება დაიწყო. აღმოჩნდა, რომ აგაჯაბოვი მუცელში იყო დაჭრილი. ნანეიშვილმა ის კაბინიდან გადმოიყვანა. სწორედ ამ დროს თვითმფრინავის წინ ბომბი აფეთქდა. გენერალი დაჭრილს გადაეფარა. ცეცხლი არ შეწყვეტილა. მონინაალმდევის თავდაცვის წინა ხაზი სამას მეტრში იყო. ნანეიშვილმა მფრინავის საკუთარი ზურგით წაყვანა სცადა, მაგრამ ჭურვის ნამსხვრევზე ფეხი დაინვა და დაეცა. ცეცხლის გარემოცვაში დარჩენა საშიში იყო, ამიტომ ხოხვით მიიწვედა წინ და თან მიათრევდა თანამებრძოლსაც, მაგრამ ნანეიშვილმა ბევრი სისხლი დაკარგა, ძალა გამოცალა და გონება დაკარგა.

ეს ტრაგედია საბჭოთა ფეხოსნე-

ბის თვალწინ მოხდა. მათ გაგზავნეს ორი მზვერავი სიტუაციაში გასარკვევად. ერთი დაიღუპა, მეორემ კი მეთაურებს მოახსენა, რომ თვითმფრინავისაგან მოშორებით წვანან — ერთი გენერალი საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავით და ერთი მფრინავიო. მაშინვე გაიგზავნა ჯარისკაცთა ჯგუფი მათ მოსაყვანად.

ნანეიშვილი და აგაჯაბოვი ჰოსპიტალში გაგზავნეს, მაგრამ აგაჯაბოვი გზაში გარდაიცვალა.

ომის დამთავრებამდე ნანეიშვილი მერვე კორპუსს ხელმძღვანელობდა. 1949 წელს მან დაამთავრა გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია და ამ სისტემაში სხვადასხვა ადგილებში მუშაობდა. 1957 წლიდან იგი სამოქალაქო სამსახურში გადავიდა. ცხოვრობდა თბილისში, იყო საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოს უფროსი. დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე.

■ გენერალ-მაიორი ბარი ალექსანდრეს კე მერკვილაძე

გვარდიის უფროსი ლეიტენანტი გ. მერკვილაძე დაიბადა 1923 წლის 17 თებერვალს ქალაქ ბათუმში. 1941 წელს გაინვიეს წითელი არმიის რიგებში. იმავე წელს დაამთავრა თბილისის, ხოლო 1942 წელს — არმავირის პილოტთა სამხედრო ავიაციის სკოლა.

სამამულო ომში ჩაება 1943 წლის მარტიდან, ჩაირიცხა 270-ე გამანადგურებელ საავიაციო პოლკში. იბრძოდა ვორონეჟში, სტეპანიში, უკრაინის მეორე და პირველ ფრონტებზე.

გმირის მოგონებებიდან:

„1945 წლის მარტში ოთხი გამანადგურებელი **ჩკ-9** გაფრინდა ცხრა „ილ“-ის დასაცავად. დავალეხა შემდეგში მდგომარეობა: შეტევა უნდა გახორციელებულიყო მონინაალმდევის ტანკებზე გერმანიის ქალაქ ბუნცლაუს რაიონში. „ილ“-ების წამყვანი იყო კაპიტანი ევსიუკოვი. ცუდი ამინდი იყო, ღრუბელი ართულებდა დავალების შესრულებას.

თავდასხმელები ღრუბლის ქვედა შრას მიუყვებოდნენ და თვალთახადვიდან რკო არ დაშარბოდნენ,



გამანადგურებელთა ოთხეულიან განლაგება შემდგომი რად მოიხდა: მე „ილ“-ებს ღრუბლად რკან მიუყვებოდნენ 150-200 მეტრით და 50-100 მეტრით ქვემოთ, მეორე წყვილი — ჩვე უკან 100-150 მეტრის რკან ღრუბლის ქვემოთ.

ფრონტის ხაზთან მიახლოებისას **Me-109**-ს ოთხეულმა შეუტია ჩვენს „ილ“-ებს. შეტევა მოგერიებულ იქნა. სადგურიდან რადიოთი ინფორმირებული ვიყავით, რომ ამ რაიონში პატრულირებდა მონინაალმდევის თავდასხმელთა ჯგუფი. ჩემი ოთხეული, მოვუმატეთ რა სიჩქარეს, „ილ“-ების უკან მაკრატელივით განლაგდა, რათა ორივე ნახევარსფერო გამუდმებით ყოფილიყო ჩვენი ყურადღების ქვეშ.

ვუახლოვდებოდი რა მიზანს, გადავედი დაბლა ფრენაზე (5-10 მეტრის სიმაღლეზე) ე.წ. **нереющий полет**-ზე, რათა არ შემეზღუდა მეორე წყვილის მოქმედება, რომელიც „ილ“-ებთან დავტოვე, ვუბრძანე დამოუკიდებლად ემოქმედათ და ჩემთან მხედველობითი კავშირი ჰქონოდათ.

ჩემგან მარცხნივ „ილ“-ების 300-400 მეტრის სიმაღლეზე ფრენის მომენტში, 50-70 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვადე მონინაალმდევის გამანადგურებელი. იმავე მომენტში შემომიტია **Me-109**-ის ორმა თვითმფრინავმა, მაგრამ უშედეგოდ. ჩემი დაცული „ილ“-ი სასწრაფოდ გადავიდა მონინაალმდევის შეტევაზე, მიუახლოვდა ფაშისტთა „მესსერშმიტს“ და ჩამოაგდო.

უტყვედნენ რა სამიზნეს, „ილ“-ები



350-400 მ სიმაღლეზე იმყოფებოდნენ, რაც მათ დაცვას ართულებდა, რამდენადაც მონინალმდეგის Me-109-ები, ხშირ შემთხვევაში, ცდილობდნენ შეტევას ღრუბლებს ზემოდან, ამიტომ „ილ“-ების ჯგუფის ხელმძღვანელს გადავეცი, რომ დაშვებულყვნენ მაქსიმალურად დაბლა, რაც მათ გააკეთეს კიდეც.

სიმაღლის შეცვლის შემდეგ გამანადგურებელთა ყველა შეტევის მოგერიება გადავიღა.

„ილ“-ებიდან 300 მეტრის მოშორებით მე შევნიშნე ექვსი IO-87, რომელთაც Me-109 იფარავდა. მართლაც შეუწყვეტელი შეტევა დავინყე მათზე, ვცდილობდი, არ მიმეცა საშუალება ჩვენი ჯარების წინა ხაზის დამინებებითი დაბომბვისათვის.

თავდამსხმელები და ჩვენი ოთხეული არ დაზიანებულა. მონინალმდეგე კი ორი Me-109 დაკარგა და ვერ შეძლო მინაზე ჩვენს ჯარებზე შეტევის განხორციელება.



გვარდიის უფროს ლეიტენანტ გ. მერკვილაძეს 1945 წლის მაისისათვის შესრულებული ჰქონდა 386 საბრძოლო გაფრენა ЯК-1-ით, ЯК-7-ითა და ЯК-9-ით. 87 საჰაერო ბრძოლაში მონაწილეობისას პირადად ჩამოაგდო მონინალმდეგის 13, ხოლო ჯგუფთან ერთად 2 თვითმფრინავი. 1945 წელს ერთ-ერთი საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოაგდო გერმანელთა რეაქტიული თვითმფრინავი Me-262.

სსრ კავშირის უმაღლესი პრეზიდუმის ბრძანებულებით, 1945

წლის 27 ივლისს საჰაერო ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისა და გამბრუნებისათვის გვარდიის უფროს ლეიტენანტ გ.ა. მერკვილაძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ასევე გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

1952 წელს დაამთავრა სამხედრო-საჰაერო აკადემია; 1961 წელს — გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია; დაფრინავდა რეაქტიული მანქანებით. 1970 წლიდან ავიაციის გენერალ-მაიორი გ. მერკვილაძე თადარიგში გადავიდა; ცხოვრობდა ქ. თბილისში; გარდაიცვალა 1971 წელს, დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე.

დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, წითელი დროშის 3 ორდენით, ალექსანდრე ნეველის, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენებით, „წითელი ვარსკვლავის“ 3 ორდენითა და მედლებით.

■ გვარდიის კაპიტანი ოთარ ბრიბოლის კე ჩეჩელაშვილი

ო. ჩეჩელაშვილი დაიბადა 1923 წელს თბილისში. 1940 წელს წითელი არმიის რიგებში გაინვიეს. 1941 წელს დაამთავრა სამხედრო-საზღვაო ავიაციის სასწავლებელი. სამამულო ომის ფრონტებზეა 1942 წლიდან.

იბრძოდა ყირიმის ფრონტზე ბომბდამშენ ავიაციაში, შემდეგ კი თავდამსხმელ ავიაციაში გადავიდა. იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიის, უკრაინის II და I ფრონტებზე ავიაციის 667-ე თავდამსხმელი პოლკის შემადგენლობაში, რომელიც მოგვიანებით გადაკეთდა თავდამსხმელთა 141-ე გვარდიულ საავიაციო პოლკად. იყო მფრინავი, მეთაურის მოადგილე და ესკადრილის მეთაური. დაფრინავდა Il-2-ით, რომელიც მას საქართველოს კოლმეურნეებმა აჩუქეს.

1943 წელს პოლკის მფრინავები ორლოვ-კურსკის დუგთან იბრძოდნენ. შემდეგ კი მონაწილეობდნენ ხარკოვის გათავისუფლებაში. ომის მინურულს პოლკი უკრაინის პირველ ფრონტზე გადაისროლეს და მათ ბერლინს შეუტიეს.

1945 წლის აპრილიდან ო. ჩეჩელაშვილმა განახორციელა გაფრენა Il-2-თან ერთად ორი გამანადგურებლის დაცვის ქვეშ მდინარე

შპრეეს (გერმანია) ხიდან. გაანადგურა რა გადასასვლელი, თავის აეროდრომზე ბრუნდებოდა. ამ დროს ხმელეთიდან რადიოთი გააფრთხილეს, რომ აეროდრომის თავზე გამოჩნდა მტრის მზვერავი. აეროდრომთან მიახლოებისას მან შენიშნა მონინალმდეგის თვითმფრინავი Ju-88, რომელსაც ცეცხლი გაუხსნა საზენიტო ქვემეხმა.

ო. ჩეჩელაშვილმა რადიოთი ითხოვა, რომ ქვემეხებს სროლა შეენწყვიტათ და თავად გაუხსნა ცეცხლი მონინალმდეგეს, მაგრამ ტყვიები მხოლოდ ერთი ჯერისათვის ეყო. მონინალმდეგისათვის ნასვლის უფლება რომ არ მიეცა, მის თვითმფრინავს კუდზე დაარტყა. ხოლო თავისი დაზიანებული Il-2-ი მშვიდობით დასვა თავის აეროდრომზე.

1945 წლის მაისისათვის 141-ე გვარდიული თავდამსხმელი პოლკის კაპიტან ჩეჩელაშვილს შესრულებული ჰქონდა 220 საბრძოლო გაფრენა მონინალმდეგის საბრძოლო ტექნიკის, ცოცხალი ძალისა და თავდაცვითი ობიექტებისათვის. გაანადგურა 34 ტანკი, 49 ვაგონი, 8 იარაღის საწყობი და სხვ. 43 საჰაერო ბრძოლაში პირადად ჩამოაგდო 5 და ჯგუფთან ერთად — 10 თვითმფრინავი.



1945 წლის 27 ივნისის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმის გადაწყვეტილებით, ოთარ ჩეჩელაშვილს სსრ კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, ასევე გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

ომის შემდგომ ო. ჩეჩელაშვილი განაგრძობდა სამხედრო ავიაციაში სამსახურს. 1958 წლიდან გვარდიის გადამდგარი პოდპოლკოვნიკი თბილისშია. გარდაიცვალა 1959 წელს, დაკრძალულია თბილისში.

გამარჯვებული რაინლანდის 65-ე მაისი

მათ კაცობრიობა ფაშიზმისგან იხსნეს, შემოაბრუნეს ისტორიის ჩარხი, გაიმარჯვეს მეორე მსოფლიო ომში, რომელიც მათთვის დიდი სამამულო ომი იყო.

გრძნობენ თუ არა ისინი თავს გმირებად, ადამიანებად, რომლებსაც შთამომავლები ხელით ატარებენ?

ვეტერანები მყავს მხედველობაში. პასუხის მისაღებად სამამულო ომის ვეტერანთა თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარეს, პოლკოვნიკ მოსე მდინარაძეს ვსტუმრობ ოფისში, რომლის ორიოდ ოთახი თბილისის მერიის ძველი შენობის სარდაფის დონეზეა განთავსებული, როგორც ბლინდაჟი ფრონტის წინა ხაზზე.

— გრძნობთ რომ გმირები ხართ?

— არ არის ასე. ვცხოვრობთ ისე, როგორც ყველა. მოსახლეობის თითქმის ნახევარი სიღარიბის ზღვარზე დაბლაა. არ მიგვაჩნია თავი გმირებად, განსაკუთრებულ ხალხად.

— ხელისუფლების დამოკიდებულება როგორია?

— ვახსენდებით 9 მაისის მოახლოებასთან დაკავშირებით. არის საჩუქრებიც, თბილი დამოკიდებულება. თუმცა, რაღაც განსაკუთრებულს არც ჩვენ ვთხოვლობთ, ყურადღება გვინდა მხოლოდ.

ბატონი მოსე დეტალურად ჩამოთვლის იმ ღონისძიებებს, რომლებსაც ქვეყნის ზოგიერთი სამინისტრო — თავდაცვის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის — განახორციელებენ ვეტერანთა დასახმარებლად.

— ეს დახმარება, ალბათ, უფრო სიმბოლური ხასიათისაა...

— სიმბოლურია. მაგრამ ესეც კარგია. მყავს 50 მარტოხელა ვეტერანი, ვისაც მომვლელი და პატრონი არ ჰყავს. კიდევ ომის მონაწილე ასამდე კაცია, რომლებიც საწოლს არიან მიჯაჭვული. მკურნალობისთვის „ნითელ ჯვარს“ მიამაგრეს. თბილისის მერიამ თავის თავზე აიღო მათი მკურნალობის ხარჯები.

ყვება ამას ნაომარი პოლკოვნიკი, რა თქმა უნდა, — მაღლიერების გრძნობით, მაგრამ ერთგვარად ნამუსის მონმენდითაც მათთვის, ვინც ამათ საპატრონოდაა მოვლენილი:

— რაც საშუალება აქვთ, ეხმარებიან. მე არ ვამბობ, ფუფუნებაში

აცხოვრებენ, მაგრამ რაღაც-რაღაცებით ხელს უმართავენ.

65-ზე მეტი წლის წინათ ისინი კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ომის ფრონტებზე იბრძოდნენ, საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდნენ, მზად იყვნენ, სიცოცხლე შეენიერათ ერთი გოჯი მშობლიური მიწისთვის, რომელიც ახლა ან გაუყიდეს, ან სეპარატისტებმა მიიტაცეს ჩვენი უთავობით, ღალატითა და გამცემლობით — არც უამისობა იყო: — ამბიციურობას შენირული სამშობლოს მთლიანობა.

ახლა მათი სტრატეგია და ტაქტიკაც სოციალურ სფეროშია გადასაცვლელი, რადგან ისინი რომ არა, დიდი ომის გმირი ვეტერანები, საუკუნეს მიტანებული ამ დამსახურებული ადამიანების მცდელობა რომ არა, ეგებ, საერთოდ არ გახსენებოდა ახალგაზრდების ხელისუფლებას, რომ ხელის გულზე ტარება მარტო ფრთიანი გამოთქმა კი არ არის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ცხოვრების წესია, რომელიც უფროსი თაობის პატივისცემას, მისდამი მონინებულ დამოკიდებულებას და, თუ გნებავთ, ამ მორალური კატეგორიების მატერიალური სიკეთეებით გამდიდრებას ნიშნავს — მუდმივად და არა დრო და დრო, იმპულსურად — ან საარჩევნოდ, ან დღესასწაულების დღეებში.

ხოლო გმირთა მოედანზე ახლახან აღმართული „მანათობელი სვეტი“, ვითომ მემორიალი დაღუპული ჯარისკაცების, ისევე ამათი გაპიარების ნიშანსვეტია, და ამ უგემოვნობაში უცხოელი ავტორიტების გადახდილი ათასები, მაღლი



გამარჯვების დღესასწაული 1945 წლის ზაფხულში. მთელი მოედანი: ფაშისტურ შტანდარტებს გავყოლუშეთან ჰრინა

იქნებოდა, ისევე ჩვენი ვეტერანებისთვის მოეხმარათ.

ელემენტარულია.

— რაიმე ფონდი, მსგავსად პაატა ბურჭულაძის „ივანისა“, ვეტერანების დასახმარებლად ხომ არ დაარსებულა საქართველოში?

— არა, არა, არა! რა არის, იცით? მე ძალიან მიკვირს, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არ ახსოვთ ვეტერანები. გუშინ მერიამ ვიყავი, ველაპარაკე მამუკა ქაცარავას, რომელსაც ეს საკითხები ახარია, ვუთხარი, არ დავმალავ: უპატრონო ბავშვებთან მივიდნენ, მოხუცებულთა თავშესაფარში მივიდნენ... ვეტერანები არავის გახსენებია. მისულიყვნენ და ტელევიზიით ეჩვენებინათ — აი, ვეტერანებს ვეხმარები. ეს მორალური თანადგომა იქნებოდა ყველა ვეტერანისთვის, იმის ნიშანი, რომ არ დავვინყებივართ, ვახსოვართ.

რატომ ხდება ასე?

შეკითხვა დასმულია და რახან ამ დიალოგში სხვა არავინ მონაწილეობს, პასუხი მე უნდა გავცე:

— ალბათ იმიტომ, რომ ავღანეთის ომში ქართველი ჯარისკაცების გაგზავნა უფრო აქტუალურია, უფრო სჭირდებათ საძირკველშერყეული ძალაუფლების გასამყარებლად და შესანარჩუნებლად, ვიდრე დიდომ-



გადანახადი ვეტერანების გულის მოგება.

პასუხი ზოგადია და საერთო, როგორც ყოველთვის, როცა სხვის ნაცვლად იწყებ ლაპარაკს და მიზეზების ახსნას, მაგრამ, არა მგონია, რომ სიმართლის მარცვალნი არ იყოს ჩემს ამ ტირადაში.

ბატონმა მოსემ, ამ დიდსულოვანმა პიროვნებამ, ეტყობა, ჩემს პასუხში აგრესიულობის მომეტებული დოზა შენიშნა და „სამშვიდობო ნაბიჯი“ გადადგა:

— ქალაქის მერია ცდილობს, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ამ ხალხს დახმარება აღმოუჩინოს...

მესმის მისი: რაც ამ ხალხს ომი და დაპირისპირება გადაუტანია, კიდევ ბრძოლა და შეტევა, ალბათ, მოსაზებურებელიც შეიძლება იყო. ეს ერთი, და მეორე: მადლიერების გამძაფრებული გრძნობა აქვთ, სიკეთეს არავის არასოდეს უკარგავენ.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პრინციპულობა დააკლდათ და სიმართლის თქმა უჭირთ:

— მდიდარი ხალხი რომ არის, ჩვენ საერთოდ... (პაუზა).

— არ გეხმარებიან?

— ვის არ მივწერეთ... არავინ დაგვეხმარა. აი, „ნიკორა“ — უმდიდრესი ორგანიზაციაა. რა არის მაგისტრის 10 ათასი ლარის გამოყოფა, რამე რომ უყიდოს ომის ვეტერანებს, ან 50-50 ლარი გადმოგვირიცხოს თითო კაცზე?!

სამი საბრძოლო წითელი დროშის ორდენოსანია ბატონი მოსე. ყველაზე ძველი, 1918 წელს დაარსებული, ტრადიციული და ყველაზე



9 მაისი „გამარჯვების პარკში“

ძვირფასი ჯილდოსი. ერთის მიღებაც კი დიდ აღიარებად ითვლებოდა. იგი კი სამგზის ორდენოსანია: ეს ბევრ რამეს ნიშნავს. ამას გარდა მოსე მდინარაძე ალექსანდრე ნეველის, წითელი ვარსკვლავისა და დიდი სამამულო ომის I ხარისხის ორდენების კავალერია.

საბრძოლო წითელი დროშის ორდენი მაინც გამორჩეულია, 1943 წლის ოქტომბერში მიიღო.

— რომელი ოპერაციისთვის?

— ახლავე გეტყვი. ეს ოპერაცია ვიტებსკის ოლქის შურა-ვიტებსკში ჩატარდა, პატარა ქალაქია, რაიონული ცენტრი, რომელიც მდინარე დასავლეთ დვინასა და მის შენაკადს შორის მდებარეობს. ჩვენ დაბლობში ვიყავით გამაგრებული, გერმანელები — შემადლებულზე. ძალიან მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა. გაგვიჭირდა ძალიან. მდინარეებს შორის უღრანი ტყე იყო, დაჭაობებული და ამ ადგილის გავლა წარმოუდგენელი იყო. 145-ე ბრიგადაში ვიყავი მაშინ

ბატალიონის მეთაურად. მივიღე ბრძანება, ჩემი ბატალიონით ღამით გამევილო ფრონტის ეს ურთულესი მონაკვეთი, გავსულიყავი გერმანელების ზურგში და იქედან დამერტყა. წელამდე წყალში ვიარეთ, მხოლოდ ავტომატებით ვიყავით შეიარაღებული, ქვემეხსა და ნაღმსატყორცს ვერ ნაიღებდი. გამთენიისას დავართყით გერმანელებს, ნიშანი მივეცი, რომ ფრონტის წინა ხაზიდანაც შეეტიათ და ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ ორივე მხრიდან გავარღვიეთ გერმანელების თავდაცვის ზოლი და ავიღეთ ქალაქი. პირველი ორდენითაც მაშინ დამაჯილდოეს.

რა მარტივია მოსაყოლად, არა?

სულ ორიოდ წინადადება და გადალახულია ყველა წინააღმდეგობა, მოგებულა ბრძოლა. მაგრამ თუნდაც მხოლოდ ამ ერთი ოპერაციის თითოეული წუთი სიკვდილსიცოცხლის ზღვარზე გავლა რომ იყო, ძნელი წარმოსადგენია იმ თაობისთვის, რომელსაც მასობრივი კონცერტების აუდიტორიად ზრდინან, ნივილ-კივილსა და თმების პუტვას აჩვენებენ მეორადი მოხმარების საზღვარგარეთელი შემსრულებლებით აღფრთოვანების „თანამედროვედ“ გამოსახატად.

და კიდევ: დამარცხების საზეიმოდ აღსანიშნავ ღონისძიებაზე გამარჯვების შემართების სახალხო ალტკინების იმიტირებისთვის.

სხვა ხალხი იბრძოდა სამამულო ომში. იმ გმირთაგან ერთ-ერთი პოლკოვნიკი მოსე მდინარაძეა, ვისთან შეხვედრის პატივიც მერგო დიადი გამარჯვების 65-ე 9 მაისის კვირაძალს.

გულმაგარი კაცია, მაგრამ იცით, რა მითხრა გამომშვიდობებისას?

— სამოცდამეათე წელი ჩვენთვის აღარ იქნება!

არმაზ სანუბლიძე

ფრონტის წინა ხაზზე





ქართველის განსაკუთრებული ანგარიში

ქარის კლასდაკოზა

1944 წლის იანვარში ქართველი მეომრები ქერჩის ნახევარკუნძულზე, რომელიც ასე უხვადაა მორწყული ჩვენი წინაპრების სისხლით, განსაკუთრებული ბრძოლისათვის მოემზადნენ, ამისთვის ჰქონდათ საფუძველი — ჰქონდათ ფაშისტებთან განსაკუთრებული ანგარიში. 1942 წელს ქერჩის მიწაზე ხომ ათასობით ქართველი დაიღუპა უთანასწორო ბრძოლაში; მეტიც, ფაშისტებმა აქ ასობით დაჭრილი ქართველი სასტიკად აწამეს და მუხანათურად გაჟლიტეს. „მოძმეთა სისხლი ცას შესწუხწუხებდა და სამართალს ითხოვდა“.

მე-3 სამთო მსროლელი კორპუსის შტაბის 12 იანვრის განკარგულების თანახმად 414-ე მსროლელმა დივიზიამ სოფელ ბაქსიდან ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლა და 13 იანვარს დილის 4 საათისათვის თავი მოიყარა: 1367-ე მსროლელმა პოლკმა ხევში, რომელიც დასახლებულ პუნქტ იურკოვ-კუტის სამხრეთითაა; 1371-ე მსროლელმა პოლკმა სიმაღლე 144,1-ზე; 1375-ე მსროლელმა პოლკმა სამი ყორღანის რაიონში, შუქურის დასავლეთით და შეადგენდა არმიის რეზერვს; 1053-ე საარტილერიო პოლკი დარჩა საცეცხლე პოზიციებზე სოფელ ბაქსის ჩრდილო-დასავლეთით; 1367-ე პოლკის 1-ლი ბატალიონის 1-ლი ასეული, ცალკე სასწავლო ასეული, 347-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონი, 222-ე ცალკე ქიმიური თავდაცვის ასეული და 443-ე ცალკე გამანადგურებელი ტანკსანინააღმდეგო დივიზიონი წარმოადგენდნენ დივიზიის მეთაურის რეზერვს და იმყოფებოდნენ ხევში იურკოვ-კუტის სამხრეთით.

16 იანვრის ღამით, 1367-ე მსროლელი პოლკის მე-2 ბატალიონი (მეთაური კაპიტანი კონსტანტინე ირემაძე, მოადგილე პოლიტანალიში კაპიტანი ვიქტორ ლაჭავა) წინ წაიწია სიმაღლე 82,7-ზე, საიდანაც სწორედ 15 იანვარს განდევნეს მტერი ზღვისპირეთის ცალკე არმიის ჯარებმა. მტრისათვის წართმეული ეს ზღუდე მტკიცედ უნდა დაეცვა ბატალიონს და უზრუნველყო, რომ დივიზიის ნაწილებს დაეკავებინათ შეტევისათვის საწყისი ზღუდეები.

1367-ე მსროლელი პოლკი დამატებული ქვეგანყოფილებით 17 იანვარს დილის 7 საათისათვის გავიდა სიმაღლე 92,7-ისა და სიმაღლე 71,3-ის რაიონში, სათანადოდ მოაწყო ირგვლივი თავდაცვის პოზიციები და მოემზადა შეტევისათვის.

1375-ე მსროლელმა პოლკმა 18 იანვარს, ღამით, შეცვალა 83-ე მეზღვაურთა მსროლელი ბრიგადის მე-16 ცალკე ბატალიონი და დაიკავა თავდაცვა აზოვის ზღვის ნაპირას უბანზე: სიმაღლე 106,0-ის აღმოსავლეთით, იურკოვ-კუტი.

კორპუსის შტაბის 1944 წლის 18 იანვრის საბრძოლო განკარგულების თანახმად 414-ე მსროლელი დივიზიის 1367-ე პოლკმა შეცვალა 128-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის 315-ე და 327-ე პოლკები და გადავიდა შეტევაზე უახლოესი ამოცანით — გაერღვია მტრის თავდაცვა და ხელთ ეგდო უსახელო სიმაღლე, რომელიც სიმაღლე 95,1-ის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა, დაეცვა 128-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის მარჯვენა ფრთა მონინააღმდეგის კონტრიერიშისაგან მერძეეობის ფერმიდან და ტალახსაწრეტებიდან, შემდეგ მას უნდა განევიტარებინა შეტევა ტალახსაწრეტებისა და ხევ „გორკაიას“ მიმართულებით.

1367-ე მსროლელი პოლკი თავგამოდებით იბრძოდა, მაგრამ მონინააღმდეგე მთლიანად ვერ დასძლია და საგრძნობლად წინ ვერ წაიწია. მტრის ავტომატების, ტყვიამფრქვევების ცეცხლი იმდენად ძლიერი

იყო, რომ მისი გადალახვა ერთბაშად შეუძლებელი გახდა.

19 იანვარს მთელ დღეს გრძელდებოდა მტერთან გააფთრებული სისხლისმღვრელი ბრძოლა. ამ დღეს 1367-ე მსროლელმა პოლკმა ნანილობრივ გაიუმჯობესა თავისი პოზიციები. მეტი წარმატება ჰქონდა მას 20 იანვარს.

19 იანვარს ფაშისტების წინააღმდეგ შეუპოვრად იბრძოდა 1367-ე მსროლელი პოლკის მე-3 ბატალიონი, რომელსაც მეთაურობდა ბრგე ვაჟკაცი (სხვათა შორის მისი სიმაღლე 2 მეტრი იყო), სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, გულადი მეომარი, კაპიტანი **მამანტი ანდრეას ძე კვარაცხელია**. ბატალიონი თანდათანობით სძლევდა მტრის წინააღმდეგობას, შეუპოვრად მიდიოდა წინ. პირველ ნახევარში მან რამდენიმე ათეული მეტრით წაიწია და საგრძნობლად გაიუმჯობესა პოზიცია. კვარაცხელიამ ბატალიონი ახალი იერიშისათვის მოამზადა, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა. იგი მტრის სწრაფი სწორედ მაშინ განგმირა, როდესაც თავის ვაჟკაცებს საბრძოლო ბრძანებას აძლევდა. მტერს ეგონა ამის შედეგად ბატალიონში პანიკა, დაბნეულობა შეიქმნებოდა და დაკარგულ პოზიციებს კონტრიერიშით დაიბრუნებდა. ამ მიზნით მან ტანკებიც კი მოიშველია, მაგრამ მონინააღმდეგე სასტიკად მოტყუვდა. ბრძოლას სათავეში ჩაუდგა 1367-ე მსროლელი პოლკის მეთაურის მოადგილე სამწყობრო დარგში, გმირი ვაჟკაცი **შალვა დავითულიანი**. მან ბატალიონის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლად პოლკის მეთაურთან შეთანხმებით სასწრაფოდ დანიშნა ნიჭიერი ახალგაზრდა ოფიცერი, ამავე ბატალიონის მეთაურის ყოფილი მოადგილე სამწყობრო დარგში, კაპიტანი **ლევონტი ჭავა**.

მტერი, რომელიც ამ დროს კონტრიერიშზე გადმოვიდა, ზარალს



ზარალზე ლებულობდა, მაგრამ თავგამოდებით იბრძოდა და წინ მოინეწვდა, ბოლოს ჩვენს თავდაცვაში სოლივით შემოიჭრა. ამან საშიშროების წინაშე დააყენა ჩვენი თავდაცვის სიმტკიცე. საჭირო იყო მტრის სწრაფი ლიკვიდაცია. ამ ამოცანის შესრულების ძირითადი სიმძიმე მე-9 ასეულს დაანვა, რომელსაც **უფროსი ლეიტენანტი მიხეილ ბადაგაძე** მეთაურობდა. იგი ტამანში მიღებული ჭრილობის მოშუშების შემდეგ, 1943 წლის დეკემბერში, კვლავ დაუბრუნდა თავის საყვარელ ასეულს, მასთან ერთად გადალახა ქერჩის სრუტე და ახლა ყირიმისათვის იბრძოდა. მტრის კონტრიერის უკუგდებაში დიდად ივაჟკაცს მეავტომატითა ოცეულმა, რომელსაც **იონა მიქაძე** მეთაურობდა, კაპიტანი **გიორგი უჩანეიშვილის** ნალმმტყორცნელებმა, კაპიტანი **შალვა ჯანბეგაშვილის** მეტყვიამფრქვევეებმა, ლეიტენანტი **გიორგი ჯინორიძის** მსროლელებმა, უფროს სერჟანტი **შალვა ბოდაველის** არტილერისტებმა. ბოდაველის არტილერისტთა პატარა ჯგუფმა ამ ბრძოლაში ორი ტანკი გამოიყვანა მწყობრიდან, ოთხი ტყვიამფრქვევი გაანადგურა, 17 ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპო. მტერმა დიდი ზარალი ნახა, სისხლისაგან იცლებოდა. ამის შემდეგ უფროს ლეიტენანტი ბადაგაძის ვაჟკაცები იერიშზე გადავიდნენ და ჩვენს თავდაცვაში შემოჭრილი მტერი გაანადგურეს.

ამ ბრძოლაში მეოთხედ დაიჭრა მიხეილ ბადაგაძე და დროებით კვლავ მწყობრიდან გამოვიდა.

გმირულად დაეცნენ 1371-ე მსროლელი პოლკის მე-3 ბატალიონის მეთაური კაპიტანი **ალექსანდრე მიხეილის ძე ამონაშვილი**, 1367-ე მსროლელი პოლკის მსროლელი ოცეულის მეთაური ლეიტენანტი **გიორგი სერგოს ძე მღებრიშვილი**, ნალმმტყორცნელთა ოცეულის მეთაური ლეიტენანტი **ილია ანდროს ძე ლომსაძე**, მზვერავთა ათეულის მეთაური, ნითელარმიელი **პორფილე მაქსიმეს ძე გითოლენდია**; 1371-ე მსროლელი პოლკიდან: ოცეულის მეთაურის თანაშემწე, უფროსი სერჟანტი **რევაზ ნიკოლოზის ძე ხუბავეი**; ნითელარმიელები: **ვარლამ ალექსანდრეს ძე ღვინეფაძე**, მათე ვასილის ძე ნიგნაძე და სხვები.

20 იანვარს დივიზიის ნაწილებმა კვლავ გაიუმჯობესეს მდგომარეობა, დაეუფლნენ მტრის ზოგიერთ მნიშვნელოვან პოზიციებს. ამ დღეს მძიმედ დაიჭრა 1367-ე მსროლელი პოლკის მე-2 ბატალიონის მეთაური კაპიტანი **კონსტანტინე ათანასეს ძე ირემაძე**. ბრძოლის ველიდან მისი გამოყვანისას დაიჭრა **შოთა ლავრენტის ძე გველესიანი**, მაგრამ მან უარი თქვა მწყობრიდან გაშლილყო. „მე აქედან არ წავალ, — განაცხადა მან, — სანამ ფაშისტებს სამაგიეროს ათმაგად არ გადავუხდი, სანამ სისხლს არ ავიღებ ჩემი საყვარელი მეთაურის დაჭრისათვის“. გველესიანი ტყვიამფრქვევითონ შეიხვია და ბრძოლა განაგრძო, თავისი სიტყვა საქმედ აქცია — ქერჩის ნახევარკუნძულზე ბრძოლის პერიოდში 11 ფაშისტი მოსპო.

ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა 1367-ე მსროლელი პოლკის ტანკსანინალმდეგო მეთოფეთა ასეულის მებრძოლი **შოთა სიმონის ძე კირკიტაძე**. იგი თამამად დაიჭრა წინ, ახალი პოზიცია დაიკავა, ცეცხლი გახსნა და მოსპო მტრის ერთი საცეცხლე ნერტი, მაგრამ ამ ბრძოლაში თვითონაც დაიღუპა. ამ დღეს მტერთან გააფთრებულ ბრძოლაში ასევე გმირულად დაეცნენ **ნ.ს. დოგაძე**, **ს.ლ. ქირია**, **გ.ა. ვაშაკიძე**, **ლ.ი. ლაბარტყავა**, **ი.ს. ნულუკიძე**, **ნ.ს. ჩადუნელი**, **ს.ე. სოფრომაძე**, **გ.კ. ხაინდრავა**, **ვ.ს. კობრეიძე** და სხვები.

1944 წლის იანვარში ზღვისპირეთის ცალკე არმიის ჯარებმა გააფთრებულ ბრძოლების შედეგად საგრძნობლად შეავიწროეს მტერი, წაართვეს მრავალი პოზიცია, დაე-

უფლნენ ზოგიერთ მნიშვნელოვან სიმაღლეს სოფელ ბულგანაკის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთ რაიონში. ჩვენმა ჯარებმა მთელი რიგი სიმაღლეებისათვის ბრძოლის დროს მთლიანად გაანადგურეს მტრის 98-ე ქვეითი დივიზიის 290-ე პოლკი, ხოლო მის დანარჩენ ნაწილებს დიდი ზარალი მიაყენეს. ამასთან დაკავშირებით მონინალმდეგე მასწრაფოდ მოიყვანა (გემებით და თვითმფრინავებით) სხვა ფრონტებიდან ქვეგანაყოფები, ახალი შევსება გადმოიყვანა ქერჩის პლაცდარმზე.

მტერი შეუპოვრად ისწრაფოდა დაკარგული პოზიციების აღდგენისაკენ. 21 იანვარს, დილის 7 საათზე, გადმოვიდა იერიშზე და პირველ საათში ერთგვარი ნარმატებაც მოიპოვა, საშიში მდგომარეობა შეუქმნა 414-ე ქართული დივიზიის მეომრებს. მაგრამ ქართველი ჯარისკაცები მედგრად დაუხვდნენ, მტრის წინსვლა შეაჩერეს, შემდეგ კონტრიერში გადავიდნენ, ძლიერი დარტყმით უკუაქციეს მტერი, უსახელო სიმაღლე დაიბრუნეს და პირვანდელი მდგომარეობა აღადგინეს.

ამ დღეს მტერი განსაკუთრებით აქტიურობდა, პირველ დამარცხებას არ შეურიგდა, იერიში იერიშზე მოჰქონდა, დივიზიის ყველა უბანზე სინჯავდა ჩვენი თავდაცვის სიმტკიცეს, ცდილობდა სადმე მაინც გაერღვია ის. მაგრამ ამოდ. ყველა იერიში უკუქცეულ იქნა, ამასთან მტერმა დიდი ზარალიც ნახა.

მონინალმდეგე 164,5 სიმაღლიდან ხევით მიუახლოვდა 1367-ე მსროლელი პოლკის წინა ხაზს და



შეეცადა შეჭრილიყო მის თავდაცვაში მარჯვენა ფლანგიდან, სადაც ტანკსანიანალმდეგო ბატარეის ერთი ოცეული იყო. მტრის მოახლოება პირველად შენიშნა 45-მმ ქვემეხების ოცეულის მეთაურმა ლეიტენანტმა **იპოლიტე ლევანის ძე გულუამ**, რომელმაც თამამი და სწორი გადაწყვეტილება მიიღო, ქვემეხები სწრაფად გადმოაგორა, დააყენა პირდაპირი დამიზნებითი სროლისათვის და მტერს ძლიერი ცეცხლი გაუხსნა. მას მხარი დაუჭირეს მეტყვიამფრქვევეებმა და მტრის ეს ჯგუფი მთლიანად გაანადგურა. ამ ბრძოლაში თავი გამოიჩინეს არტილერიის ტმა სერჟანტმა **შალვა ნიკოლოზის ძე ბოდაველმა**, მეტყვიამფრქვევეებმა უფროსმა სერჟანტმა **ნ.ე. ლადუამ** და სერჟანტმა **ს.კ. კობესაშვილმა**, ნითელარმიელებმა **ალექსი ნითელაშვილმა** და **ვარლამ ქვლივიძემ**. ბრძოლაში დაჭრილმა 1371-ე მსროლელი პოლკის სამეკავშირო ასეულის მეკავშირემ **შ.ა. ნულუკიძემ** უარი თქვა ბრძოლის ველის დატოვებაზე. „ჯერ ნება მომეცით, — განაცხადა მან, — ხაზი გავსინჯო, აღვადგინო, მერე კი როგორც გენებოთ“. იგი მწყობრში დარჩა და, მიუხედავად მტრის ძლიერი ცეცხლისა და მიღებული ჭრილობისა, მთელ დღეს დაძაბულად მუშაობდა, 4-ჯერ აღადგინა მტრის მიერ დაზიანებული ხაზი.

მტერმა მოულოდნელად მოიტანა იერიში ჩვენი დივიზიის მარცხენა მეზობლის ერთ-ერთ ქვეგანაყოფზე და იგი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. ეს პირველად შენიშნა გულადმა და ბრძოლაში გამოცდილმა მეზობლმა, 1367-ე მსროლელი პოლკის მე-8 ასეულის უფროსმა სერჟანტმა **დანიელ ივანეს ძე ზოიძემ**, რომელიც მაშინ ოცეულს მეთაურობდა. მან სწორად შეაფასა მდგომარეობა, სწრაფად შეცვალა ოცეულის საბრძოლო წყობა, მტრის შემტევ ჯგუფს ფლანგიდან მოექცა და ინტენსიური ცეცხლით მიწას გააკრა იგი. მალე ოცეულს მხარი მისცა ჩვენი ნალმტყორცნეების ძლიერმა ცეცხლმაც.

მათმა სწრაფმა და საზრიანმა მოქმედებამ ხელი შეუწყო მტრის ამ ჯგუფის მთლიანად განადგურებას. მაგრამ იმავე დღეს, რამდენიმე საათის შემდეგ, მტერმა თავისი ქვეითებით, არტილერიისა და ნალმსატყორცნების ძლიერი მხარდაჭე-



ქერჩის განთავისუფლება

რით, კვლავ წამოიწყო შეტევა. მას დივიზიის არტილერიის მხარდაჭერით ორგანიზებული ცეცხლით შეხვდნენ, დიდი ზიანი მიაყენეს იერიშზე გადმოსულ მტრის ნაწილებს და უკუაქციეს. ამ ბრძოლაში ჩვენმა არტილერიამ მოწინააღმდეგეს 5 საცეცხლე ნერტი მოუსპო.

ამ ბრძოლაში **გმირულად დაეცნენ: პოლკის ინჟინერი კაპიტანი რუბენ რაფიელის ძე ვაშალომიძე; ოცეულის მეთაურები, ლეიტენანტები: ნიკოლოზ სამსონის ძე ჩიჩუა, შალვა ნოეს ძე ჯანელიძე, სერგო ალექსანდრეს ძე ფანცულაია; უმცროსი მეთაურები: გიორგი ივანეს ძე ხაჩიძე, შირვანდი დიმიტრის ძე კობახიძე, კონსტანტინე ნესტორის ძე ჯაფარიძე, მიხეილ ალექსანდრეს ძე ახობაძე, ექვთიმე ფილიპეს ძე ჯინჭარაძე, ვარლამ ალექსანდრეს ძე ჩოგოვაძე, ნიკოლოზ ზაქარაიას ძე ზურაბიშვილი; ნითელარმიელები: ნიკოლოზ პავლეს ძე ადუაშვილი, სამუელ დავითის ძე ბოკერია, დავით ალექსის ძე პაპიაშვილი, დავით ესტატეს ძე ლეჟავა, დიმიტრი ალექსანდრეს ძე ვანიძე, ნიკოლოზ არტიემის ძე მღებროვი, ივანე მიხეილის ძე ნიკლაური, რეზო ივანეს ძე ხუციშვილი, მამანტი გიორგის ძე ჯიქია და სხვები.**

იანვარი ქერჩის ნახევარკუნძულზე მეტად მშფოთვარე გამოდგა. ბრძოლები არც დღით და არც ღამით არა ცხრებოდა. საკმარისია ითქვას, რომ ზღვისპირეთის ცალკე არმიის ჯარებმა ამ თვეში მტერს 613186 ყუმბარა და ნალმი დაატყვეს თავს. ეს ბრძოლები, მართალია, ადგილობრივი მნიშვნელობისა იყო და

არა დიდი მასშტაბისა, მათს შესახებ ცნობებს საბჭოთა საინფორმაციო ბიურო ხშირად არც კი აქვეყნებდა, მაგრამ მათ მეტად მძაფრი ხასიათი ჰქონდა და პირობებს ამზადებდა საბჭოთა ჯარების გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლისათვის.

ამ გამარჯვებაში იყო 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის წვლილიც. ამის დასადასტურებლად საკმარისია ითქვას, რომ დივიზიამ მარტო 6 დღის განმავლობაში — 23-დან 29 იანვრამდე ჩაატარა რამდენიმე შეტევითი ოპერაცია, მოიგერია მტრის 20 კონტრიერიში და მოკლა 800-მდე ჰიტლერელი, რის შედეგადაც დივიზიის წინააღმდეგ მეზობლი მტრის ბევრი ქვეგანაყოფი ძალიან დასუსტდა და იძულებული გახდა სასწრაფო ზომები მიეღო მდგომარეობის გამოსასწორებლად — მოეყვანა ახალი ძალები, ბრძოლაში ჩაება რეზერვები.

11 პრილა ზღვისპირეთის ცალკე არმიამ გაათავისუფლა ქალაქი ქერჩი — ეს მნიშვნელოვანი სიმაგრე ყირიმის აღმოსავლეთით, 12 აპრილს აიღო აკ-მონაის პოზიციები, 13 აპრილს — ფეოდოსია (ამავე დღეს არმიის ჯარები კარასუბაზრის რაიონში შეხვდნენ მე-4 უკრაინის ფრონტის ჯარებს), 14 აპრილს აიღო სუდაკი, 15 აპრილს — ალუშტა, იალტა და 16 აპრილს მიადგა სევასტოპოლის პლაცდარმს. ამრიგად, ზღვისპირეთის ცალკე არმიის ჯარებმა 6 დღეში ბრძოლით გაიარეს 250 კილომეტრი.

მომზადდა
გენერალ **მ. ჯანჯღაპას**
მოგონებათა მიხედვით



გლობალიზაცია — განვითარებადი ქვეყნების დაკავალების ინსტრუმენტი

მესამე (განვითარებადი) სამყაროს არც ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში გლობალიზაციას არ გამოუწვევია საერთო კეთილდღეობის ზრდა. „გლობალიზაციის დოქტრინა სხვა არაფერია, თუ არა ლამაზად შეღებილი ფასადი, რომლის საშუალებითაც იგი თავის მსხვერპლს განვითარებად ქვეყნებში ამშვიდებს და მისი ყურადღება გადააქვს სხვა თემებზე, სანამ მდიდარი ქვეყნები ღარიბ ქვეყნებს რესურსებისაგან ფიტავენ და ისეთ მდგომარეობაში აგდებენ, რომ ვერასოდეს შეძლონ იმპერიული ძალებისადმი წინააღმდეგობის განევა“, — წერს ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ჩალმერს ჯონსონი თავის წიგნში „იმპერიის ტკივილები“ (მილიტარიზმი, საიდუმლოებით მოცულობა და რესპუბლიკის დასასრული, 2003 წელი).

გლობალისტები არწმუნებენ ხალხს მთელ მსოფლიოში, რომ „განვითარებადი“ ქვეყნები თვითონვე არიან თავიანთი სიღარიბეში დამნაშავე კორუფციის, კლანურობის და საკუთარი შანსების გამოყენების უუნარობის გამო. სამაგიეროდ დიდი ქვეყნები ჩააგონებენ ღარიბი სამყაროს მოსახლეობას, რომ ღია ბაზრები, თავისუფალი ვაჭრობა ყველას კეთილდღეობას ნიშნავს, რაც ძირშივე არასწორია და ხელს აძლევთ ტრანსნაციონალურ კომპანიებს, რომლებმაც იზრუნეს საამისოდ და ფლობენ ამ ბაზრებით მანიპულირების ძალასა და რესურსებს. ამიტომაცაა გლობალიზმს ყველაზე მეტი მომხრე ამერიკელ ეკონომისტებსა და პოლიტოლოგებში.

დღეს არსებულ 25 მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას წარმატებისათვის არ მიუღწევია გლობალიზაციის რეკვპტებით.

ფაქტია, რომ უმნიშვნელოვანესი ინდუსტრიული ქვეყნები — აშშ, იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, შვეიცარია, ბელგია, ნიდერლანდები, შვეიცარია, ინდუსტრიულად განახლებადი ქვეყნები (სამხრეთ კორეა, ტაივანი და სინგაპური) — ყველა მათგანმა მეტ ნაკლებად ერთნაირი გზით და საშუალებებით მიაღწია წარმატებას — ესაა ეკონომიკური პროტექციონიზმი. მათ საკუთარი ბაზრები მაღალი საბაჟო ტარიფებისა და კიდევ ბევრი „არასაბატარიფო“ სავაჭრო დაბრკოლების შექმნის გზით გააძლიერეს.

მაგ: დიდმა ბრიტანეთმა თავისუფალი ვაჭრობა მხოლოდ 1840 წელს დაუშვა, როდესაც თავად დიდი ხანი იყო მსოფლიოს წამყვანი ქვეყანა. 1790 წლიდან 1940 წლამდე აშშ მსოფლიოში ბაჟებითა და სავაჭრო ბარიერებით ყველაზე უფრო დაცულ მაკროეკონომიკას წარმოადგენდა. ერთერთი ქვეყანა, სადაც 1970-80-იან წლებში არც ერთი იაპონური მანქანა არ მოძრაობდა, სამხრეთ კორეა იყო, რომელიც ამ პერიოდში საკუთარი საავტომობილო ინდუსტრიის ორგანიზებას იწყებდა. თითოეულმა ამ ოდესღაც „განვითარებადმა“ ქვეყანამ სხვადასხვა მეთოდით მოიპოვა პროგრესული ტექნოლოგიები იმ ქვეყნებისაგან, რომლებიც მათ განვითარებას უწყობდნენ ხელს.

მოკლედ, მსოფლიოში არსებული მცირერიცხოვანი (25 ქვეყანა 200-დან) წარმატებული ქვეყნები ზუსტად იმის საწინააღმდეგოს აკეთებდნენ, რაც მათ გლობალიზაციის თეორეტიკოსთა მიხედვით უნდა გაეკეთებინათ, ხოლო ვინც გაატარა გლობალისტთა თეზისები — „თავისუფალი ვაჭრობის“ შემოღება, კომუნალური საწარმოების გაყიდვა, კაპიტალის გადაადგილებებზე კონტროლის მოხსნა, საკუთარი მწარმოებისათვის პრივილეგიების გაუქმება და ა.შ. — ყველამ კატასტროფული შედეგი მიიღო. ამ ქვეყნების რიცხვში შედის საქართველოც. 1981 წლიდან აშშ გლობალიზაციის დროშით ახორციელებს საგანგებო სტრატე-

გიას, რომელიც 2 მიზნის რეალიზაციას ისახავს მიზნად: ერთი მხრივ, აშშ ცდილობდა სახელმწიფოს მიერ მართული კაპიტალიზმის (როგორცაა იაპონიაში) დისკრედიტაციას და იაპონური მოდელით განვითარებადი აღმოსავლეთ — აზიური ქვეყნებიდან დანარჩენ მსოფლიოში ამ მოდელის გავრცელების დამუხრუჭებას. მეორე მხრივ, აშშ ცდილობდა განვითარებადი, მესამე სამყაროს ქვეყნების სუვერენიტეტის შესუსტებას, რათა გაძლიერებულიყო მათი დამოკიდებულება მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებზე, არ მომხდარიყო მათი ერთ ძალად ორგანიზება და მდიდარი ქვეყნებისაგან სამართლიანი სავაჭრო პირობების მოთხოვნის წამოყენება. ამ სტრატეგიის განხორციელების ბერკეტებად გამოყენებულ იქნა ჯერ მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მერე კი 1995 წლიდან შექმნილი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (მსო).

რეალურად კი მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი აშშ ფინანსთა სამინისტროდან კონტროლდებიან. ორივეს რეზიდენცია მდებარეობს ვაშინგტონში ორ მეზობელ ქუჩაზე (მე-19 და «ეიჩ» ქუჩებზე), ორივე ისეთ სისტემაზეა დაფუძნებული, რომ აქ გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებენ აშშ ფინანსთა მინისტრის თანხმობის გარეშე. 1980-იან წლებში აშშ-მა ორივე ორგანიზაციას მიაწვია „მესამე მსოფლიოს“ ვალების პრობლემების მოგვარების პრეროგატივა და მისცეს ორი მითითება ამ კუთხით: პირველ რიგში იზრუნეთ იმისთვის, რომ მოვალე ქვეყნები თავიანთი ვალების გასტუმრებას ნაწილობრივ მაინც მოემსახურებიან და ოფიციალურად გადახდის უუნაროდ არ გამოაცხადებენ თავს, ამ ქვეყნებს იმდენი ფული გამოსძალეთ, რამდენიც შესაძლებელია.

ძალიან მალე მესამე სამყაროს ქვეყნების უმრავლესობა მოექცა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეკონომიკური იდეოლოგიის წნეხში



და 2000 წლისათვის 90 სახელმწიფო (მათ შორის საქართველო) ვაშინგტონის მიერ გამოწერილი შოკური თერაპიის ფარგლებში „სტრუქტურულად ადაპტირებულ“ იქნა (ვალდებულ).

ეს ქვეყნები თავიანთი ვალეების მოსამსახურებლად ახალ კრედიტებს იმ შემთხვევაში მიიღებდნენ, თუ შეასრულებდნენ მსოფლიო ბანკის და სავალუტო ფონდის „რეკომენდაციებს“ (სინამდვილეში ბრძანებებს), ისინი პირველ რიგში ითხოვენ ვაჭრობის „ლიბერალიზაციას“. ამის გარდა, მოცემულმა ქვეყანამ უნდა შეამციროს ჯანდაცვისა და განათლების სფეროში სოციალური პროგრამებისათვის გათვალისწინებული ხარჯები, რათა საბიუჯეტო სახსრები გამოთავისუფლებულ იქნას უცხოური ბანკებისადმი არსებული დავალიანების მოსამსახურებლად. შემდგომ ხდება ადგილობრივი სოფლის მეურნეობისათვის სუბვენციების შეწყვეტის იძულება და ამის საპირისპიროდ იმ აგროკონცერნებისათვის დახმარების გაზრდა, რომლებიც აწარმოებენ ყვავილებს ან ხილს. სავალუტო ფონდის ითხოვს, რომ გაუქმდეს კაპიტალზე კონტროლი მთელი ქვეყნის მასშტაბით და უცხოელ ინვესტორებსა და სანარმოებს მიენიჭოთ უფლება, შეისყიდონ სახელმწიფო მფლობელობაში არსებული კომუნალური სანარმოები, სატელეფონო და სატრანსპორტო კომპანიები და ნედლეულის მომპოვებელი სანარმოები (ყოველივე ჩამოთვლილი საქართველოში უკვე უცხოელთა ხელშია).

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ მაინც შემდეგი მოთხოვნაა: თუკი განვითარებად ქვეყანას სურს მსოფლიო ბანკისაგან კრედიტის აღება, მან საკუთარი ვალუტის (მაგ. ლარის) კონვერტაბელურობა უნდა უზრუნველყოს. ამრიგად, ეს სახელმწიფო იძულებული ხდება, გაცვლითი კურსის მიუხედავად, საკუთარი ვალუტა უცხოურ საანგარიშსწორებო საშუალებებზე გაყიდოს და ამით მისი მომავალი ღირებულების განვითარება სასპექულაციო ოპერაციებზე დამოკიდებული გახადოს. ასეთი პროგრამები, როგორც წესი, ისე ასუსტებენ ამა თუ იმ ქვეყანას, რომ იგი პერიოდული ეკონომიკური კრიზისებით მოცემულ კლემენტორატიად ყალიბდება, რომელთაც წინ უსწრებდნენ ველური სპექულაციები.

ამის გარდა სამუშაო ბაზარი დამო-

კიდებული ხდება დასავლურ კონცეფციებზე. ამ პოლიტიკის არქიტექტორი და მთავარი მოგებელი მხარე აშშ-ია. თუ 1960-80 წლებში ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნების ეკონომიკა მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლით ერთ სულ მოსახლეზე 75%-ით გაიზარდა, 1980-2000 წლებში, გლობალიზაციის ფაზის პიკზე, მხოლოდ 6%-ით გაიზარდა.

ნობელის პრემიის ლაურეატი, ეკონომისტი, მსოფლიო ბანკის კვლევების ყოფილი დირექტორი, იოზეფ შტიგლიცი შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „შეძლებული ქვეყნები, რომლებიც ოფიციალურად თავისუფალ ვაჭრობას ქადაგებენ, უფრო ხშირად თავად იყენებენ საბაჟო გადასახადებსა და სუბვენციებს ღარიბი ქვეყნებიდან იმპორტის შესაზღუდად და ისინი ამით უარს ამბობენ ღარიბი ქვეყნების საექსპორტო შესაძლებლობების რეალიზაციაზე, რაც მათ სილატაკისაგან თავის დასაღწევად, ეკონომიკური ზრდისთვის ბიძგისთვის სჭირდებათ“.

ფაქტია ისიც, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დაარსების შემდეგ (1995წ.) მსოფლიოში სილატაკე კი არ შემცირდა, პირიქით, უფრო ჩქარა იწყობა. მსოფლიო ბანკის და სავალუტო ფონდის ყველაზე თვალსაჩინო მსხვერპლი გახდა ერთ დროს მდიდარი და განვითარებული ქვეყანა — არგენტინა.

1991 წლის თებერვალში არგენტინამ გადანაცვლიტა საკუთარი ეკონომიკის რადიკალურად გადაკეთება აშშ-ის მოდელის მიხედვით. პრეზიდენტმა კარლოს მენემმა ეკონომიკის მინისტრად მოიწვია ჰარვარდის უნივერსიტეტში განათლებამიღებული ეკონომისტი დომინგო კავალლო. მან არგენტინის ეკონომიკა მასობრივად გახსნა უცხოური ინვესტორებისათვის (როგორც ეს კეთდება დღეს საქართველოში) და არგენტინული პესოს მიბმა მოახდინა ამერიკულ დოლარზე (1=1). ორივე ვალუტა თავისუფალ ბრუნვაში იქნა გაშვებული. 1998 წელს არგენტინული ბანკების 80% უცხოელებს ეკუთვნოდა. მაგრამ, როცა დოლარის ფასმა მოიმატა და კონკურენტმა ქვეყნებმა თავიანთი ვალუტის კურსი დაწიეს, მათი პროდუქტია გაიფხვრა არგენტინულ პროდუქტთან შედარებით. ვინაიდან არგენტინაში ეროვნული მასშტაბით განხორციელებული სამეწარმეო ტრანსაქციონების დიდი ნა-

წილი დოლარში იყო განხორციელებული და საბანკო ანგარიშები ასევე დოლარში გახსნილი, არგენტინის მთავრობამ ვერ მოახერხა პარიტეტის გაუქმება. შედეგად არგენტინული პროდუქტები მსოფლიო ბაზარზე გაძვირდა. მთავრობა იძულებული გახდა, აეღო კრედიტები, რომ ეკონომიკა კოლაფსისაგან ეხსნა.

ამ მომენტიდან არგენტინამ დაამყარა უსიამოვნო რეკორდი — მას კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი დავალიანება დაუგროვდა — 160 მილიარდი დოლარის ოდენობით. ქვეყნის ეროვნული შემოსავალი ერთ წელიწადში 68% -ით შემცირდა, მოსახლეობის ნახევარზე მეტი, რომელიც სამუშალო ფენას ეკუთვნოდა, სილატაკის ზღვარს ქვევით აღმოჩნდა. მთავრობამ კვლავ სავალუტო ფონდს მიმართა დახმარებისათვის. ფონდმა არგენტინის მაშინდელ პრეზიდენტს ფერნანდო დე ლა რუას კრედიტების წინაპირობად დაუდო მკაცრი საბიუჯეტო ეკონომიის კურსის გატარება — ხალხი გაათავისუფლეს საჯარო სამსახურებიდან (როგორც საქართველოში), შემცირდა ხელფასებისა და პენსიების სიდიდე, გაუქმდა ხელფასების დანამატი პრემიები. ამის შემდეგ მასობრივმა დემონსტრაციებმა და პოლიციის ტერორმა ქვეყნის ეკონომიკა თითქმის დაანგრია. 2000 წლის დეკემბერში სავალუტო ფონდმა არგენტინას თანხმობა გამოუცხადა 40 მილიარდიან კრედიტზე იმ პირობით, თუ მთავრობა განაგრძობდა საგარეო ვალეების მომსახურებას და ღარიბებისათვის სოციალური დახმარების შემცირებას. ეს ისეთი პირობები იყო, რომელთა მიღებაც უკვე არც ერთ მთავრობას არ შეეძლო. მომდევნო 14 თვის მანძილზე ქვეყანამ 5 მთავრობა და 6 ეკონომიკის მინისტრი გამოიცვალა. რადგანაც არგენტინის მთავრობა სავალუტო ფონდის მითითებებს ამჯერად ისე აღარ ახორციელებდა და ვინაიდან ეს ქვეყანა აშშ-სთვის ნაკლებ სტრატეგიული მნიშვნელობას ატარებდა, სავალუტო ფონდმა უარი განუცხადა არგენტინას კრედიტებით დახმარებაზე. შედეგად, არგენტინაში ინფლაციამ 10 წლის განმავლობაში მიაღწია ორნიშნა რიცხვს, პესოს ღირებულება 220%-ით დაეცა და საზოგადოებრივი წესრიგი მოიშალა.

არგენტინის მაგალითი საქართველოს ხელისუფლებისათვის საერიოზულ გაფრთხილებად უნდა იქცეს.

ვაჟა შუბითიკა



ეთერ ჭელიძე:

„მინდოდა მეტიკა და ვერ გითხარი“

ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, მან შეძლო ბევრი რამ ეთქვა თავისი ხალხისთვის, საყვარელი თბილისისთვის. აქ ემღერებოდა მის გულს, რადგან აქ იყო მისი მინა, მისი ქალაქი, მისი სამშობლო; აქ — მის თბილისში თენდებოდა დილა განსაკუთრებული სიყვარულით. „ლურჯი აპრილის“, „ვენაცვალე მაგ შენ თვალებს“, „იას სინაზე მოვსტაცე“... „ჭალარა თბილისოს“ ავტორმა, მშვენიერმა თბილისელმა ქალბატონმა ეთერ ჭელიძემ ისე ლამაზად და გულში ჩამწვდომად თქვა თავისი სათქმელი, რომ ნახევარი საუკუნის შემდეგაც კი მის მელოდიებს სიამოვნებით მღერიან. თბილისი გაჭალარავდა, მაგრამ ეთერ ჭელიძის „ჭალარა თბილისო“ უბერებელია. მისი მოსმენით აღფრთოვანებულ მორის ფოცხიშვილს უთქვამს, ეს ხომ ერის სიმდიდრე, თბილისის ისტორიააო! დრომ ეს ვარაუდი დაადასტურა — „ჭალარა თბილისო“ XX საუკუნის 20 საუკეთესო სიმღერათა ნუსხაში შეიტანეს. „მინდოდა მეტიკა და ვერ გითხარი“ — თავმდაბლობით, ძალიან ხმადაბლა ნათქვამია. ეთერ ჭელიძემ ნამდვილად უთხრა თბილისს ის, რასაც თბილისი არასოდეს დაუფიქნებდა!



ბანტიანი გიტარა

ქალაქური მელოდიებით მდიდარი ტრადიციების მქონე თბილისში გიტარა თითქმის ყველა ოჯახის ძვირფასი ნივთი იყო, 7-სიმიან ბანტიან გიტარას თვალსაჩინო ადგილი ჰქონდა მიჩენილი ჭელიძეების ოჯახშიც: დედა შესანიშნავად უკრავდა და მღეროდა, მღეროდა მამაც, უფროს დას — ნათელას საუცხოო ხმა ჰქონდა და ბავშვობაში მასთან ერთად ბევრჯერ გამოსულა კიდეც კონცერტებზე. თავიდანვე სიახლის მძივების, ცნობისმოყვარე, გამჭრიახი გონება ჰქონდა. წერდა ლექსებს, ქმნიდა სიმღერებს, მუსიკალურ კომპოზიციებს. ფილარმონიში ჩატარებულ გამოსაშვებ საღამოზე იგი დააჯილდოვეს სიგელითა და გიტარით, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე უფრთხილდებოდა, როგორც მისი წარმატებისა და ბედნიერი წუთების მონაწილეს.

გალაკტიონთან უხვბედრა

ტრადიციები, ბუნებრივი მონაცემები, ჯიუტი შრომისმოყვარეობა — იყო საწინდარი იმისა, რომ მისგან პროფესიონალი, მაღალი დონის მრავალმხრივი შემოქმედი გამოსულიყო. ყოველივე ამას ხელს უწყობდა გარემოც, რომელშიც იგი თავიდანვე ტრი-

ალედა. მათ მეზობლად ცხოვრობდა კომპოზიტორი არჩილ კერესელიძე, რომელსაც ეთერი შვილივით უყვარდა. მათ ოჯახში ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი — მწერლები, პოეტები, კომპოზიტორები, მომღერლები იკრიბებოდნენ. სწორედ კერესელიძეების ოჯახში ნახა პირველად გალაკტიონი. დიდ პოეტს შეუმჩნეველი არ დარჩენია გიტარაზე მომღერალი თვალეზბრიალა გოგონა.

ნოდარ დუმბაძის გულის პალატი

თუ მომარჩენს ახლა რამე, შენი „ლურჯი აპრილი“ მომარჩენსო, უთქვამს ერთხელ შეუძლოდ მყოფ ნოდარ დუმბაძეს მისთვის.

ალბათ, არ მოიძებნება კაცი უფროსი თაობიდან, რომელსაც არ გაეგონოს ან არ წაემღეროს ეთერის სიმღერა. ამაზე მეტყველებს ნოდარ დუმბაძის სიტყვები: „ყველა სიმღერა, რომელიც მიყვარდა, შენი ყოფილა; ზოგი იმდენად პოპულარულია, რომ ხალხური მეგონა. წარმოიდგინე, რადიოს მეც აყვავი და მთელი საღამო ლილინში გავატარე“.

მისი მუსიკა გამორჩეულია, განუმეორებელია მელოდიურობით, ინტონაციით. არ იყო მომღერალი თუ ანსამ-

ბლი, მის რეპერტუარში ეთერის სიმღერები რომ არ ყოფილიყო. ბევრი მომღერალი შემოქმედებით დაბადებას ეთერის მუსიკას უმადლის.

პირველი წარმატებები

1964 წლიდან იგი ახლადჩამოყალიბებული ანსამბლის — „რეროს“ წამყვანი სოლისტი გახდა. უკვე ცნობილი იყო როგორც მრავალი სიმღერის ავტორი. ეს იყო, წლები თავდაუზოგავი შრომისა, ახლის ძიებისა და თვითდამკვიდრების.

„არასოდეს მქონია პრეტენზია კომპოზიტორობაზე; რაც დაწერე, სიყვარულმა დამაწერინა, სიყვარულმა ჩემი ბუნების, ჩემი მხარის, ჩემი ქალაქის. ეს გულიდან ამოხეთქილი მელოდიებია. თუ ხალხმა მიიღო და შეიყვარა ჩემი სიმღერები, ჩათვალეთ, რომ უბედნიერესი ადამიანი ვარ“.

აღიარება მოსკოვში

მისი სცენაზე გამოსვლა იმ დროს დაემთხვა, როცა რკინის ფარდა საგულდაგულოდ იცავდა და ზღუდავდა საგასტროლო გზებს, თუმცა, შეიძლება ითქვას, ის ერთ-ერთი ბედნიერი მომღერალთაგანი იყო, ვინც ნაკლებად გრძნობდა ამ შეზღუდვებს. პირველი ქალაქი, რომელმაც



ალიარა მისი ნიჭი და შესაძლებლობები და სადაც გამოვიდა მისი პირველი ფირფიტა, მოსკოვი იყო.

კომპოზიტორი და ღირსიყორი ა. იაკუშვიცი წერდა: „მე ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი ქართული მუსიკით. აგრეთვე, როცა მოვისმინე ე. ჭელიძის გიტარაზე შესრულებული სიმღერები, უნებურად ვუთხარი, რად გინდათ თქვენი სიმღერების გაორკესტრება, როცა გიტარას ისე ფლდებ, თითქოს ორკესტრი უკრავდეს“.

მოსკოვიდან ეხსნებოდა ე. ჭელიძის გზა ევროპისაკენ. მოსკოვმა ალიარა იგი რუსული რომანსის საუკეთესო შემსრულებლად. მუსიკათმცოდნეები ერთხმად აღნიშნავენ მის მაღალ მუსიკალურ გემოვნებას, მელოდიურობას, პოეტური სიტყვის შენარჩუნების კულტურას, ეროვნული ტრადიციების ერთგულებას, მის სიახლოვეს ხალხურ მუსიკასთან, შესრულების სიღრმეს, სიფაქიზესა და ხიბლს, რაც აქცევდა მის სიმღერებს შედევრად (მუსიკათმცოდნე ტ. რიმშვიდი), ხოლო კომპოზიტორმა ლ. ლიადოვამ მას მოაზროვნე მომღერალი უწოდა.

პირველი მიწვევა მან სახელგანთქმული ლეონიდ უტიოსოვისაგან მიიღო. მასთან ერთად დუეტში ასრულებდა რ. ლალიძის „თბილისს“. „თქვენ, ქართველები, საერთოდ ბედნიერი ხალხი ხართ, რადგან მუსიკასთან ერთად იბადებით და გულიდან ამოხეთქილი სიმღერების შესრულების ნიჭით ხართ დაჯილდოებული“, – აღტაცებით ეუბნებოდა იგი თურმე ეთერს.

ოქროს ფირფიტაზე ჩაწერილი სიმღერა

შემდეგ იყო მიწვევები ევროპის ქვეყნებიდანაც, ეპატიუბოდნენ სიმღერის სხვადასხვა ფესტივალზე საპატიო სტუმრად, კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად, ინტერვიუებისათვის ჩანაწერების გასაკეთებლად.

წარმატებული იყო მისი გამოსვლები ყოფილ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ლაიფციგის საოპერო თეატრში ინტერვიუებისათვის ე. წ. „დიდი კონცერტისათვის“ (მსოფლიო პროგრამა) ჩაწერა მიმდინარეობდა. კონცერტში მონაწილეობის მისაღებად მხოლოდ ორი უცხოელი იყო მიწვეული ლილი ივაწოვა და ეთერ ჭელიძე. ორკესტრი 12 მუსიკოსისაგან შედგებოდა, ხელმ-



ეთერ ჭელიძის შვილიშვილი ანა სირაძე

ძღვანელობდა ცნობილი ღირსიყორი კაუფმანი. მან გაუკეთა ეთერის სიმღერებს ორანჟირება, ფირზე ჩაიწერა 3 სიმღერა. ხოლო „თევზები“ წლის საუკეთესო სიმღერად იქნა გამოცხადებული და იგი „ოქროს ფირფიტაზე“ ჩაწერეს (ეს სიმღერა ჯერ კიდევ 1966 წელს თბილისშიც წლის საუკეთესო სიმღერად აღიარეს).

ე. ჭელიძე, როგორც ეს არაერთგზის აღნიშნავს კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილს, ყველგან იყო ქართული სიმღერის პროპაგანდისტი.

1976 წელი საქართველოს დამსახურებული არტისტის ნოდების მინიჭებით აღინიშნა, 1983 წელი კი, საანგარიშო საიუბილეო წელი იყო. ეთერი თავისი სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავს ზეიმობდა. ეს თარიღი ფართოდ აღინიშნა თბილისში ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

თბილისი და ეთერ ჭელიძე

თბილისის სიმღერით უმხელს ეთერი თავის უსაზღვრო სიყვარულს, ეალერსება, ერთგულებას ეფიცება. 1962 წელი იყო. მომღერალი ხანგრძლივ საგასტროლო მოგზაურობაში იმყოფებოდა „რეროსთან“ ერთად. დიდხანს დარჩნენ ბაქოში. ორკესტრში ცვლილებები მოხდა, ექებდნენ საქსაფონზე დამკვრელს. შემოიყვანეს ბაქოელი საქსაფონისტი. მან გასინჯვაზე დაუკრა მელოდია, რომლის ავტორი ეთერი იყო. „ჩემს გაცეხას საზღვარი არ ჰქონდა, უნებლიედ ვკითხე, საიდან იცით ეს სიმღერა მეთქი. ეს მელოდია ჩვენთან ძალიან

პოპულარულიაო. ეს ხომ ჩემი სიმღერაა, — წამოვიძახე მე. მან გაკვირვებით და აღფრთოვანებით შემომხედა და მითხრა, ასეთ მშვენიერ გოგონას წამდვილად შეიძლებოდა ასეთი მშვენიერი მელოდიის შექმნაო. როცა მას ვუკრავ, ყველაფერ კარგს წარმოვიდგენ ხოლმეო, — იგონებდა მოგვიანებით კომპოზიტორი, — ამ სიმღერამ ჩემი თბილისური სახლი, ჩემი კამოს ქუჩა გამახსენა. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ბატონ რეზო ლალიძეს უთქვამს: „ჩემო ეთერ, გულით და მთელი ჩემი პროფესიული გაგებით გეუბნები, ისეთი სიმღერა, როგორც „ლურჯი აპრილი“, არ დანერიალო. მე რე ბატონი რეზო რომ გარდაიცვალა, არ ვიცი, როგორ გავბედე, რამ შთამაგონა, იქნებ მწუხარებამ, ძლიერმა განცდამ, დავწერე სიმღერა „ჭალარა თბილისო“. 1999 წლის ბოლოს რადიო „ფორტუნას“ თაოსნობით მოწყობილი ქართული სიმღერის ფესტივალზე ე. ჭელიძის ნაწარმოები „ჭალარა თბილისო“ საუკუნის სიმღერად იქნა აღიარებული და შევიდა XX საუკუნის 20 საუკეთესო სიმღერათა შორის. ამ სიმღერას ბევრი შემსრულებელი ჰყავდა და ჰყავს. ერთი მათგანია ეთერ ჭელიძის შვილიშვილი ანა სირაძე, რომელსაც, ღვთის ნებით, სახელოვანი ბებიის ნიჭი და საოცარი ხმა გამოჰყავს. 16 წლის მომღერალმა უკვე მოინადირა მსმენელის გული; უკვე მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბერლინში გამართულ საბავშვო კონკურს „ენ-ტი-ვი“-ში გამარჯვება, სადაც მისი ნამღერი „სულიკო“ „ენ-ტი-ვი“-ს დისკო შევიდა; 2007 წელს (როგორც ღირსეული მემკვიდრე) გახდა „ოქროს დისკის“ მფლობელი ეთერ ჭელიძის „ლურჯი რტოების“ შესრულებისათვის; 2008 წელს საბავშვო „იურმალაში“ უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ აგვისტოს ომის შემდეგ მომღერალმა თავად თქვა უარი იქ გამგზავრებაზე. წელს მაყურებელს ის „იმედის დილის“ დუეტების შოუდანაც ემახსოვრება, სადაც თემო საჯაიასთან ერთად ფინალში გავიდა და „იმედის დილის“ სიმპათია გახდა. ამჯერად მომღერალი ანრი ჯოხაძესთან ერთად მორიგ კლიპზე მუშაობს.

ეთერ ჭელიძის გაკვალულ გზაზე თამამად მიაბიჯებს მისი ღირსეული მემკვიდრე, წარმატებები ვუსურვოთ მას.

დარეჯან ანდრიაძე



ორი ნიკოლოზი, ორი ალექსი და ოთხივე ანდრიაძე

„წმიდაო მოციქულო ანდრია და ცხოველმყოფელო ჯუარო უფლისაო, დაიფარე გვარი ანდრიაძეთა“ — ეს წარწერა ამშვენებს საგვარეულო გერბს, რომელიც ანდრიაძეთა უძვირფასესი განძია დროშასა და ჰიმნთან ერთად. ჰიმნი კი ამ რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა. მის ავტორსა და ანდრიაძეთა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს შეკრების თაობაზე ქვემოთ გესაუბრებით. უპირველესად კი, წარმოგიდგინთ ამ გვარის ერთ-ერთი შტოს ღირსეულ წარმომადგენლებს, რისთვისაც დიდი წინაპრების შთამომავალს, ლამაზი ტრადიციული ქართული ოჯახის უფროსს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნიკოლოზ (გივი) ანდრიაძეს ვესტუმრეთ.



წმიდაო
მოციქულო
ანდრია და
ცხოველმყოფელო
ჯუარო
უფლისაო,
დაიფარეთ
გვარი
ანდრიაძეთა

ნიკოლოზ ანდრიაძე (უფროსი)
ქ. ქუთაისში 1889 წელს დაიბადა. იგი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა. 1913 წელს დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1914 წელს რუსეთ-თურქეთის ომში გაიგზავნა, ყარსის ჰოსპიტალში ექიმ-ორდინატორად 1917 წლამდე დაჰყო.

1917 წლიდან მან თბილისში, მიხაილოვის საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა.

1922 წელს აირჩიეს კერძო პათოლოგიისა და თერაპიის კათედრის ასისტენტად პროფ. სპ. ვირსალაძესთან.

1926 წელს კი აირჩიეს პროპედევტიკის თერაპიული კლინიკის უფროს ასისტენტად პროფ. შ. მიქელაძესთან.

1930 წლიდან ინფექციურ სნეულებათა კათედრაზე ასისტენტი; 1932 წელს — კათედრის გამგე; იმავე წელს მიენიჭა დოცენტის წოდება.

ამ დღიდან დაიწყო ნ. ანდრიაძის დამოუკიდებელი, ნაყოფიერი და მრავალფეროვანი მოღვაწეობა, ინფექციურ სნეულებებთან მებრძოლ პროფილაქტიკურ და სამკურნალო ორგანიზაციას გამოუჩინდა თავისი უშიშარი და შეუპოვარი ხელმძღვანელი და ქომაგი.

იმ დროისათვის მალარიისა და ვენერიულ სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლა არ იყო ჩამოყალიბებული. მწვავე ინფექციური სნეულებების შემთხვევაში, მხოლოდ ეპიდემიური აფეთქების დროს ტარდებოდა საჭირო ღონისძიებები. არ არსებობდა საკმარის მატერიალური ბაზა-სტაციონარები, მცირე იყო ეპიდემიოლოგ-

თა და ინფექციონისტთა კადრები.

ნიკოლოზ ანდრიაძის ხელმძღვანელობით ახლადდაარსებულმა ინფექციურ სნეულებათა კათედრამ ენერგიული მუშაობა გაშალა. ბევრი საკითხი იყო მოსაგვარებელი: ინფექციონისტიებისა და ეპიდემიოლოგების ახალი კადრების გამოზრდა; არსებულ ექიმთა კადრების დახელოვნება გადაამდებ სენებთან ბრძოლის საკითხებში; არსებული სამკურნალო ინფექციური ქსელის მონესრიგება და გაფართოება; ახალი სტაციონარების გახსნა თბილისსა და პერიფერიებში; ზოგიერთ მწვავე ინფექციურ სნეულებათა (დიფთერია, ქუნთრუშა, წითელა, დიზენტერია, ყვავილი) წინააღმდეგ გამამჭრელი პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებების გატარება; ინფექციურ სნეულებათა დარგში ქართულ ენაზე მეცნიერული სა-



ნიკოლოზ ანდრიაძე დედასთან — ნიტა ტაბიკაძესთან ერთად

მედიცინო ლიტერატურის (ორიგინალური და ნათარგმნი) შექმნა; ბავშვთა ინფექციურ დაავადებათა სტაციონარის ჩამოყალიბება.

ნიკოლოზ ანდრიაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შეარჩია და შემოიკრიბა შესაფერისი კადრები და გაუწია მათ ისეთი ხელმძღვანელობა, რომ ყველა ამ პრობლემის ერთდროულად დაძვრა ადგილიდან და მათი განხორციელება მოკლე დროში გახდა შესაძლებელი.

ქალაქის პირველი საავადმყოფოს ბაზაზე პროფესორ ნ. ანდრიაძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ინფექციურ სნეულებათა დამოუკიდებელი კლინიკა, რომელიც კადრების მომზადებისა და მეცნიერული კვლევის სამჭედლოდ გადაიქცა.

1934 წელს ნ. ანდრიაძე სათავეში ჩაუდგა ბავშვთა ინფექციურ სტაციონარს საბურთალოზე დ. შ. წლის განმავლობაში იყო მისი მთავარი ექიმი და ხელმძღვანელი.

1935 წელს მისი თაოსნობით თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და ფოთში შეიქმნა წითელას წინააღმდეგო შრატის დამამზადებელი და ასაცრელი პუნქტები. ამ მუშაობას იგი გატაცებით ხელმძღვანელობდა. ხშირად ჩადიოდა სვანეთში, ნალკაში, სოხუმში, ბათუმში, ოჩამჩირეში, ფოთში, ქუთაისში...

1937 წლის იანვარში ნ. ანდრიაძემ დაიცვა დისერტაცია და იმავე წელს



ნიკოლოზ ანდრიაძე (უფროსი)

მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1938 წელს მას პროფესორის ნოდება მიენიჭა.

1941 წელს ფრონტზე გაიწვიეს.

1942 წელს მოსკოვიდან თბილისში ჩამოსულმა სპეციალურმა კომისიამ შუამდგომლობა აღძრა ზემდგომ ორგანოებში პროფ. ნ. ანდრიაძის გამოსაძახებლად საქართველოში.

1942 წლის აპრილში ნ. ანდრიაძე დემობილიზებული დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ უკვე სერიოზულად იყო ავად. მას უნდოდა, ქართულ ენაზე შეექმნა ინფექციურ სნეულებათა სახელმძღვანელო. ფრონტიდან ნიკოლოზმა ჩამოიტანა დიდი მასალა ტულარემიის შესახებ და ცდილობდა მის დამუშავებას. ვერც ერთი ეს განზრახვა მან სისრულეში ვერ მოიყვანა.

რაც შეეხება ნ. ანდრიაძის მეცნიერულ ნაშრომებს, მის კალამს ეკუთვნის 22 ნაშრომი, მათ შორის 6 მონოგრაფია.

მის ნაშრომებზე აღიზარდა ქართველ ექიმების არაერთი თაობა. ნიკოლოზ ანდრიაძემ ბევრი რამ გააკეთა ქართული სამედიცინო აზროვნების, კადრების აღზრდისა და სამედიცინო ლიტერატურის გამდიდრების ხაზით.

მამის კვალს გაჰყვა ნიკოლოზ ანდრიაძის ვაჟი ალექსი (1917-1985), მაგრამ, სახელოვანი მამისაგან განსხვავებით, მან კარდიოლოგობა აირჩია. იგი გახლდათ თბილისის კარდიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო-პოლიკლინიკური განყოფილების ხელმძღვანელი.

ნიკოლოზ ანდრიაძის ოჯახის მე-სამე თაობის წარმომადგენელია ბაბუის სეხნია ნიკოლოზ (გივი) ანდრიაძე. იგი 1943 წელს თბილისში დაიბადა; გივი მას დედამ შეარქვა თავისი მეგობრის, არაჩვეულებრივი პიროვნების, კომპოზიტორ მერი დავითაშვილის მეუღლის — გივი დოლიძის პატივსაცემად, რომელიც, რაც მთავარია, გივის ნათლიაც იყო. ბატონმა გივიმაც მამასავით კარდიოლოგობა გადაწყვიტა.

1960 წელს დაამთავრა 53-ე საშუალო სკოლა და სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა. პარალელურად ფარიკაობაზეც დადიოდა.

17 წლისამ მოსკოვში „ბურვეესტნიკის“ პირველობა მოიგო. სამჯერ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი ოც წლამდე ასაკში. 1961 წელს უკვე სსრკ-ის ნაკრების წევრიც გახდა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც ფარიკაობდა. უკვე უფროს ასაკში საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა. ამ დროს თბილისში აკადემიკოსი ევგენი ჩაზოვი ჩამოვიდა, კარდიოლოგიური ცენტრის დირექტორი, შემდგომში ბრეჟნევის მკურნალი ექიმი, 20 წლის განმავლობაში ცნობილი მე-4 სამმართველოს უფროსი, საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის მინისტრი, ნობელის პრემიის ლაურეატი. ნოდარ ყიფშიძის მეუღლემ, ქალბატონმა ბუბამ, რომელიც ნიტა ტაბიძის მეგობარი იყო, უშუამდგომლა ახალგაზრდა ექიმს ჩაზოვთან, ასპირანტურა მასთან რომ გაეკეთებინა. ასე რომ, 1966 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, გივი ანდრიაძემ ჩაზოვთან, ალ. მიასნიკოვის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტის მიოკარდიუმის ინფარქტის განყოფილებაში დაიწყო მუშაობა; თან საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობდა.

პარალელურად სპორტულ ცხოვრებასაც განაგრძობდა. ამ დროისთვის „ბურვეესტნიკიდან“ „დინამოში“ გადავიდა. საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელმა, ცნობილმა ივან მანანეკომ თავისთან აიყვანა. მოსკოვის პირველობაზე პირველი ადგილი რომ აიღო, მთელი კარდიოლოგიის ინსტიტუტი გაოგნდა თურმე, რადგან 6-7 საათამდე, შაბათ-კვირასაც კი, ინსტიტუტში იყო, დისერტაციაზე მუშაობა ასეთ რეჟიმს ითვალისწინებდა. ჩაზოვიც გვერდით ედგა, რაც მეტ პასუხისმგებლობას აკისრებდა.

„საერთოდ, საქმეს რომ ვაკეთებ,



ალექსი ანდრიაძე

ბოლომდე უნდა დავიხარჯო, ამიტომ გამიჭირდა. მანანეკომ მითხრა, მედიცინას თავი დაანებე და მსოფლიო ჩემპიონი გახდები დიდებშიო. ძალიან მომხიბვლელი წინადადება იყო, მაგრამ როგორ მეთქვა უარი მედიცინაზე? მშობლებს მოველაპარაკე და გადაწყვეტილება მივიღე. 1968 წელს სპარტაკიკადაში მივიღე მონაწილეობა საქართველოს სახელით და ფარიკაობას თავი დავანებე“, — ამბობს ბატონი გივი და სადღაც მის ხმაში გულისწყვეტაც იგრძნობა, მაგრამ უკეთეს გამოსავალს მაშინ ვერ იპოვიდა, რადგან არჩეული პროფესია მისგან დიდ გულმოდგინებასა და შრომას მოითხოვდა.

მოსკოვში კარდიოლოგიის ინსტიტუტში მუშაობისას სამკურნალოდ მიუყვანიათ ერთ-ერთი სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ბ-ნი გივის მორიგეობაზე გაუჩერდა თურმე გული. „ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ არ დავივინი, ელექტრომოკი გამოვიყენე, გაცოცხლდა. ორი წუთით რომ დამეყოვნებინა, ვეღარაფერს ვუშველიდით“, — იგონებს იგი. იმ დროისთვის ეს იშვიათი მოვლენა იყო. ჩაზოვმა დიდი მადლობა გამოუცხადა მას.

სამ წელიწადში საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ჩაზოვის ხელმძღვანელობით; მერე თბილისში დაბრუნდა. წლებმა და მედიცინის სფეროში სხვათა გადასარჩენად გაწეულმა ღვაწლმა საბოლოოდ დაარწმუნა თავისი გადაწყვეტილების სისწორეში.

რადგან, ადამიანი მუდართა და



დახმარების მოლოდინით სავსე თვალებით რომ შემოგვცქერის და ეხმარები, ეს ცხოვრების მნიშვნელოვანი სტიმულია.

ბატონი გივი დღეს შპს „კარდიორეანიმაციული ცენტრის“ დირექტორია და, თქვენ წარმოიდგინეთ, ვეტერანმოფარკავეებს დღესაც ეპაექრება. რამდენიმე წელია, მსგავს შეჯიბრებებში მონაწილეობს და არც თუ ურიგოდ.

ბატონი გივი ბედნიერი კაცია. იგი პოეტ ტიცინ ტაბიძის შვილიშვილია. დედა — ნიტა ტაბიძე სამიოდენლის წინათ გარდაიცვალა. არაჩვეულებრივად თბილი ქალბატონი მუდამ უამრავ სტუმარს მასპინძლობდა. მას აკითხავდნენ სტუდენტები, უცხოელი კოლეგები, მოსწავლეები... ყველას უყვებოდა თავის მამაზე — ტიცინ ტაბიძეზე, მის შემოქმედებაზე, მეგობრებზე; როგორ იკრიბებოდნენ ცისფერყანწლებთან ერთად ამ სახლში, გრიბოედოვის ქუჩაზე, სადაც ახლა ტიცინის სახლ-მუზეუმი, პასტერნაკი, ესენინი, ტიხონოვი, ანტოკონსკი, სიმონოვი, მაიაკოვსკი და ქართული სიტყვის დიდოსტატები.

ბ-ნი გივის დამ ნინომ ექიმობა არ ისურვა. მან უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. იქვე გაიცნო ლევან ასათიანი — გურამ ასათიანისა და მანანა ქიქოძის შვილი; ჰყავს ქალ-ვაჟი — მანანა და გურამი. იგი მშვენიერ ლექსებსა და მოთხრობებს წერს; თანაც, ტიცინის მსგავსად მასაც ცისფერი თვალები აქვს. სწორედ მან დაწერა ანდრიაძეთა საგვარეულო ჰიმნისათვის ტექსტი, მუსიკა კი ბ-ნი გივის მეგობარს, კომპოზიტორ გოგი ჩლაიძეს ეკუთვნის.

ჰიმნი პირველად 2003 წელს ანდრიაძეთა გვარის შეკრებაზე გაჟღერდა, რომელსაც 120-მდე ანდრიაძე ესწრებოდა. შეკრების მონაწილეთ იგი ისე მოსწონებიათ, რომ სულ ცოტა 15-ჯერ მაინც მოუსმენიათ. ანდრიაძეებმა სწორედ მაშინ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ყველა ახალშობილ ანდრიაძეს საგვარეულო რეგალიები უსახსოვრონ.

ბატონი გივის მეუღლე, სათნო და კეთილშობილი ქალბატონი მანანა დოლიძე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორია, კონსერვატორიის პროფესორი და პრორექტორი სასწავლო



ნიკოლოზ (გივი) ანდრიაძე მუშაობსთან ერთად

დარგში. მუშაობს ქართული სასულიერო მუსიკის სფეროში. ქ-ნი მანანა ერთი დანახვით მოსწონებია ბატონ გივის:

„ისე მომეწონა, მისი თაყვანისმცემელი გახვდი. მაგრამ, ჯერ პატარა ვარო და მაშინ თავი შორს დაიჭირა. სამი წელი აღარ ვხვდებოდით ერთმანეთს. მერე, უეცრად, კარდიოლოგიის ინსტიტუტში შევხვდი. რომ ვნახე, ისევ მომეწონა. ტელეფონი გამოვართვი და აღარ მოვეშვი. ერთი თვით მოსკოვში იყო წასული, როგორც კონსერვატორიის ასპირანტი თემაზე მუშაობდა. ამ ერთ თვეში ოთხჯერ ჩავფრინდი მოსკოვში, ყოველ შაბათ-კვირას იქ ვიყავი. მაშინ ეს შესაძლებელი იყო. ვეპატიუებო-

დი თეატრში საუკეთესო სპექტაკლებზე, პასტერნაკებთანაც მყავდა სტუმრად. მოსკოვიდან რომ დაბრუნდა, 1976 წლის 25 აპრილს ვიქორწინეთ“.

რაც შეეხება ალექსი და მარიამ ანდრიაძეებს, გივი ანდრიაძის შვილებს, ნიჭიერება მათაც მემკვიდრეობით ერგოთ. ლექსო ჯერ ამერიკაში, დარლინგტონის სკოლაში სწავლობდა. ამერიკიდან რომ დაბრუნდა, მამის ხათრით, სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა. ერთი თვის მერე, ანატომიის სწავლა რომ დაიწყეს, გულწრფელად გამოაცხადა: არ მაინტერესებსო; ბიზნესის ინსტიტუტში „იესემ-თბილისში“ შევიდა.

მშობლებს ეგონათ, მარიამი ჰუმანიტარი გახდებოდა, მაგრამ მანაც „იესემს“ მიაშურა. ასე რომ, ექიმის პროფესია არც ერთმა არ აირჩია.

ამჟამად მარიამი „მაგთიკომის“ ფინანსური ანალიტიკოსია. ალექსი კი — „ციკოლია დიზაინის“ დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი.

ალექსისაც და მარიამსაც ახლად შექმნილი ოჯახები აქვთ. ანდრიაძეთა დიდ ოჯახში ჯერჯერობით მხოლოდ პირველი შვილიშვილი — მარიამის პატარა ზურაბი დაბაჯბაჯებს. მას მალე, ალბათ, ამ ოჯახის გვარის გამგრძელებლებიც მიემატებიან, სახელოვან წინაპართა მსგავსნი, რომლებიც ღვთის მადლითა და წმიდა მოციქულ ანდრიას შეწევნით, ოჯახურ ტრადიციებს უერთგულდებიან.


ლექსი და მარიამ ანდრიაძეები



ალექსი და მარიამ ანდრიაძეები

მევენახეობა და ღვინის დაყენება ქველ საქართველოში

პირველი ქართული წიგნი – „მევენახეობა“, „ღვინის დაყენება, კეთება და გაუმჯობესება, ხელმძღვანელობისათვის კახური ღვინის მავნებლებისა“ შეადგინა თავადმა ლევან ჯორჯაძემ 134 წლის წინათ. უნიკალური სახელმძღვანელო მევენახეობა-მეღვინეობით დაინტერესებულთათვის 1876 წელს თბილისში გამოიცა. 336-გვერდიანი წიგნის სარჩევი შედგება 106 სათაურისგან, რომელთა დანიშნულება დღესაც აქტუალურია ქართველ მეურნეთათვის. გათავაზობთ ამონარიდებს ზემოაღნიშნული წიგნიდან.



„თელავის უეზდში სოფ. ზემო ხოდაშენში არის იმენია ყმა და მამული საბერძნეთის ათონის ღვთისმშობლის მონასტრისა ლევან მეფისაგან შეწირული. ამ იმენიასა გამგებლობენ იმ მონასტრის ბერები, რომლებიც იცვლებიან ათს წელიწადში ერთხელ. ამ იმენიის ვენახის ღვინო იყიდებოდა წინათ 200-დამ ვიდრე 300 მანეთამდის ერთი ურემი. ამ უკანასკნელ დროში მოვიდა ათონის მონასტრიდან ერთი ბერი ამ იმენიის გამგებლათა და ამ ბერმა იქამდის გააუმჯობესა იმ იმენიის ვენახის ღვინო, რომ ყოველწლივს ჰყიდდა ერთს ურემსა 800, 900, ვიდრე 1000 მანეთამდისა, ამაზედ ნაკლებ ფასად, იმას არაოდეს არ გაუყიდნია და არც მისცემდა უკეთუ ნაკლებ ფასს შეაძლებდნენ და შეინახამდა მეორე წლისათვისა. ღვინის ნახდენისა არც ეშინოდა და არც უხდებოდა და უფრო კეთდებოდა ძველი ღვინო ორისა და სამი წლისა, მაშასადამე კახური ღვინის შენახვა ქვევრშია და გაუმჯობესება მისი, ადვილათ შეიძლება, ვინც კი შეუდგება ამ საქმეთა გულმოდგინეთ, რომელიც გვიჩვენა ნათლათა ერთმა უცხო ქვეყნისა ბერმა. ეს იმენია პირველი იანვრიდან 1874 წელსა გადავიდა საზოგადო სახელმწიფო ინტერესშია, რომლისა გამო ჩააბარეს ადგილობრივ პოლიციის მთავრობასა, ეხლა არ არის ეჭვი, რომ იმ იმენიის ღვინო იყიდება კიდევ ძველ წესზედ ურემი 200 ვიდრე 300 მანეთათა. ბერძნის ღვინო იყო ნამდვილი კახური უფაბრიკაციო, ხოლო მარანი ისე ჰქონდა მოწყობილი, რომ შესანიშნავი იყო შესანახათ ღვინისა“.

„მოკლე ისტორიულ ცნობაში ყურძნის ღვინოზედ“ ჯორჯაძე ყვება „ვაზის გაჩენაზედ და ღვინის მოგონილობაზედ“: „ნოემ იწყო მუშაკობა ვაზისა გამოსვლის უმალ მისისა კიდობნიდამ, აქედამ მტკიცდება, რომ ყურძენი ყოფილა ცნობაში აზიაში, საქვეყნოდ წარღვრის მოსვლამდე. ღვინის მოგონილობა შემდეგ წარღვრისა არ იყო დავიწყებაში, იგი მალე გაჩნდა თითქმის ყველგან და ძველი ხალხნი რაცხდნენ მათ ღმერთებათ, რომელთაც შემოიღეს ღვინო: სატურნი მომგონი ღვინისა კუნძულ კრიტზედ, ბახუზ - ინდოეთში, ოზირისტი — ეგვიპტოში, მეფე გერიონი მომგონი ღვინისა ისპანიაში ითვლებოდა, მხოლოთ ნახევარ ღმერთად. ფინიკიანელებთ, რომლებიც სახლდებოდნენ სამხრეთ-დასავლეთის მხრის პირზედ საშუალ მიწის ზღვისა, შემოიღეს ვაზის მუშაკობა და ღვინის კეთება და მათგან მიიღეს გალიის ხალხთა. ამგვარის მოგონილობისათვის ერთი ირლანდელი მქადაგებელი მტკიცედ მდგომარე ზომიერებასა და წესდებულებაზედა, აძლევდა წყევამი ფინიკიანელთ გავრცელებისათვის (გალიის ხალხში უზომოთ ღვინის სმისა. გალიებს უწოდებდნენ უწინ, ახლანდელ საფრანგეთის ხალხსა). ღვინოსა, რომელსაც არა უსაფუძვლოთ, ამტყუნებენ ხალხის მრავალ გვარ უწესობაზედ, რომ იგი არა ყოფილიყოს თანამონანილე ანუ მიზეზი იმ ურიგობისა და უწესობისა, რომლებიც იყო დასჯილი წარღვრისაგან. ვინც ბევრს ღვინოს იხმარებდა

მიცვალეზულზედ ანუ დღესასწაულ დღეებში, ნუმა მიაწერდა მას განზნეულობას და ბედოვლათობას და განკიცხამდა მათ ხალხთა. მაგრამ, რომ ღვინოს ჰქონდა მეტი ღირსება ნუმა უბრძანა ხალხსა: „რომ შესანიშნავად იხმარონ ღვინო, მხოლოდ გასხლული ანუ ნამყენი ვაზის ყურძნისა“. მას შემდეგ ვაზის გასხვლა ითვლებოდა აუცილებელ საჭიროებათა კარგი ღვინის მისაღებათ, მაგრამ მაინც გასხლული ვაზის ღვინო იყო იშვიათად. ერთი ტომის სარდალი მიდიოდა საომრათა სამნი ტიანელების ლაშქრითა, მან აღუთქვა, რომ უკეთუ მოიგებს საქმეთა და დაამარცხებს, მტერსა, შესწირამს და მიართმევს იუპიტერს ერთს სავსე სტაქან წმინდა ღვინოსა, გასხლული ვაზისასა“. შენიშვნა. ვაზს გასხვლა რომ ესაჭიროებოდა, ხალხებს დაეხმარნენ თხები. შემოლობილ ზვარში მცველს კარების დაკეტვა დავიწყებოდა, შეპარულიყო თხები. ტკბილი ლერწები სულ გადაეჭამათ. იმ წელს, მანამდე არნახული ყურძნის მოსავალი მიელოთ. ამ ამბის შემდეგ, გასხვლა დაეწყოთ. ჩვენი წინაპრები ვაზის გასხვლას რომ მისდევენ, ამას ადასტურებს გონიოს წმინდა მინაზე, არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი, ბრინჯაოს ხანის ვაზის გასასხლავი იარაღი. უძველეს ხალხთა – ასირი-



ელების დიდი დღესასწაული, ახალი წელი – 13 მარტს მოდის, ბევრმა არ იცის, რომ თარიღის სპეციალური დამთხვევა, იმის მაუწყებელია, რომ გაღვიძებული დედამინა მცენარეულობათა სასიცოცხლოთ ნიადაგის მეშვეობით, საკვები წყლის მიწოდებას იწყებს. მუყაითმა გლეხმა ვახის გასხვლა 13-მეტ მარტამდე უნდა დაამთავროს, თორემ ვაზი ტირილს დაიწყებს, გამოხრავს წვეწვ. იმ წელს მოსავალს კარგს არ მიიღებს, რადგან ვაზს ენერჯის აღდგენისათვის დიდი დრო ესაჭიროება.


„ბევრი უწესობა იყო წარმომდგარი ხალხში, მომეტებული ღვინის სმისაგან. დაშთენილი იყო აკრძალვად, რომ დედაკაცებს ღვინო არ დაეღიათ და კაცებსაც ეხმარად ფრიად ცოტა. მეცეთელმა მოკლა თავის ცოლი, მოესწრო ცოლისათვისა, რომელიც ბოჩკივამ მალულად ღვინოსა სომდა და ესე ვითარი დანაშაულობა ცოლის სიკვდილისა ეპატივებინა მეცეთელისათვის რომულს. ერთს რომის ქალსა შქონდა მიცემული სასჯელათ თავის მშობლებისაგან შიმშილით სიკვდილი, მისთვის რომ მას გაელო ჩანგლით ყუთი სადაცა იყო შენახული ღვინის პოგრების გასაღებები. სასამართლომ მისცა განჩინება სიკვდილისა ერთ დედაკაცს, მომეტებულის ღვინის დაღვევისათვის და მით გაუპატიოსნებისათვის და

სახელ გატეხილობისათვის ქრმისა მისისა. შემდეგ ამგვარმა კანონებმა თანდათან იკლო, მაგრამ კატონი ამბობს, რომ დასაცველად ძველის წესისა დაშთა ხალხში ჩვეულებათაო, რომ ვინც შეეხებოდა თავის ნათესავს ქალსა, უთუოდ უნდა ტუჩებში ეკოცნა მისთვის, რომ შეეტყო მით სუნზედ რომ იმ ქალსა ღვინო დაუღვევია თუ არა?

შემდეგ დაარსებისა რომისა, მხოლოდ მეშვიდე საუკუნეში შემოიღეს ბევრი ღვინის ხმარება. კატონი ლაპარაკობს ვაზის მუშაკობაზედ, მაგრამ საკვირველია, რომ რომის დანიშნულებული მინის მუშაკობაში ვაზის გაჩენასა და ყურძნის გაუმჯობესებას მოუწოდებენ ექვსი საუკუნე, რომლის გამო იგინი ყიდულობდნენ საბერძნეთის ღვინოს ძვირფასად, მაშინ როდესაც მათ ადვილად შეეძლოთ მიეღოთ საბერძნეთიდან მუშაკობა ვაზისა და გაუმჯობესება ღვინისა, სადაცა ფრიად დიდი ხნის წინად იყო დანიშნულებული ღვინის კეთება. პლინის სიტყვებიდან სჩანს, რომ ვაზის მუშაკობა და ღვინის ხმარება შემოიღეს იტალიაში დამდეგ მეექვსე საუკუნეში. ვაზის მუშაკობა იყო შემოღებული იქა ხეებზედ აშვებით და ფრიად მაღალ ადგილებში.


თანდათან იწყეს გადატანა საქართველოდან კარგი ჯიშის ვაზებისა, რქებისა და მით გაუმჯობესება თავიანთი ვენახებისა რამდენ ნაირი ჯიშის ვაზიც არის ევროპაში, ისინი სულ საქართველოდამ არის გადატანილი, ხოლო იქაურის განსხვავებულის ადგილის მდებარეობით და ჰავით გადაგვარებულ არის თვისება ვაზებისა და ყურძნისა. ამ ახალ დროებაში საქართველოდან გადაიტანეს საფერავის ვაზი, მაგრამ მაინც კიდევ გადაგვარდა და იქაური თვისება მიიღო, სადაცა არა აქვს ის საღებავი და არც ღვინოსა ღებამს წითლათ ისე როგორც საქართველოში და იქაური საფერავის ყურენი მხოლოდ წარინჯ ფერს აძლევს ღვინოსა.

ძველადგან საქართველოს მეფეების დროს უპირველესად ითვლებოდა ღვინოები: გორის უეზდში კასპისა და შემდეგ ატენისა; თელავის უეზდში: ახმეტისა, წინანდლისა, მუკუზანისა, კონდოლისა, შემდეგ ყვარლისა; უმთავრესი თვისების ღვინო ამ სოფლებისა იყო იმის მიხედულობისა გამო მისისა, რომ



ზაგრანიცაში კარგი თვისების ღვინოები დგებოდა და ძვირფასად იყიდებოდა. ამისათვის 1848 წელს, კავკასიის ნამესტნიკის შემწეობით ზოგიერთმა საქართველოს მეზატონეთაგან გამოიწერეს ევროპიდან და ზაგრანიციდან სხვადასხვა ჯიშის ვაზები და გააჩინეს კახეთის ვენახებში იმ ფიქრით, რომ გააუმჯობესონ თავიანთი ღვინოები და ის კი აღარ წარმოიდგინეს, რომ ზაგრანიცა არ იყო მშობელი მამული ვაზისა და იქ იყო გადატანილი და მთლად დიდის შრომით გაჩენილი ვაზი საქართველოდან, მაშასადამე ის ვაზები ისევე აქაურს თვისებას მიიღებდნენ და გადაგვარდებოდნენ და არ დარჩებოდნენ ზაგრანიცის ბუნებაზედ. ამ გვარის მოქმედებით, კახეთის, საუბედუროთ, მოხდა ის შემთხვევა, რომ იმ დროს ზაგრანიცაში იყო გაჩენილი ვაზის სწეულება დანაცვრითა, რომელიც გადმოჰყვა იქიდან მოტანილ ვაზებსა და გაჩნდა საქართველოში“.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ჯორჯაძეს მოჰყავს სია გამოყენებული ლიტერატურისა სხვადასხვა ქვეყნის ავტორების მიერ გამოქვეყნებული სხვადასხვა წლებში. ნუსხა უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ სპეციალური ლიტერატურა მეღვინეობა-მევენახეობის შესახებ ხელთ გვაქვს. დაინტერესებულ სპეციალისტს, თუ დილექტანტს შეუძლია ეროვნული ბიბლიოთეკის ილია ჭავჭავაძის ნაქონი, პირადი წიგნი ნაიკითხოს, რომელსაც ილია იყენებდა „ქართული წე-





სით ღვინის დაყენებისას“ წერის დროს, რომ შეედარებინა ჩვენი წესი, უცხოელისას ღვინის კეთებაში და სხვ.

მარნის აშენება

ახალ დროებაში კერძო საკუთრების დამკვიდრებამ ეზო-კარ-მიდამოს მარნით დამშვენების მოთხოვნა გააჩინა. მათთვის, ვისაც ამის სურვილი აქვს, დავინყებულმა პრაქტიკამ გვაფიქრებინა აზრის გაზიარება, რის გამოც ლევან ჯორჯაძეს დავესესხეთ:

სამარნე ადგილის შერჩევა და მარნის აშენება: „ქვევრების ჩასაყრელი ადგილი მინა უნდა იყოს შავი ქვიშიანი. თუ ქვევრები იქნება ჩაყრილი ჭაობ ადგილას, ღვინოს სიმაგრე და ძალა დაეკარგება და სიღამპლის გემოს მისცემს ქვევრი. ფიცხი წითელი თიხა მინა ან მოთეთრო კირის მსგავსი მინა ღვინოს დასწომს, გაამწარებს ან დააჭანკებს. წმინდა ალიზის მინა, ე. ი. მოყვითალო ფერის თიხამინა ღვინოს მინის სუნს მისცემს. რაც უნდა რომ კარგი ქვევრი იყოს, მინის ძალა მაინც შეუვა შიგ ქვევრში, რომლის გამო, თუ შეგიმჩნევიათ, ზოგიერთ კახურ ღვინოს აქვს ხოლმე განსხვავებული — მინის ან ალიზის — სუნი, რომელიც არის წარმომდგარი ალიზიანი მინის მარნისაგან.

თუ სამარნე ადგილი არ შეგხვდებათ შავი ქვიშიანი, მაშინ ადგილი უნდა მოთხაროთ ღრმათ, რომელსაც ჯერ ძირში უნდა ჩაუყაროთ ქვიშა, შემდეგ ქვევრები ჩადგათ და ისე ამოავსოთ ქვიშით. ქვიშა კარგია ხევის, გარეცხილი წყლისაგან,

უნდა იყოს შავი ქვიშა, იმისათვის, რომ მოთეთრო ქვიშა არის კირის თვისების და ჯიმის, მოყვითალო ქვიშა ალიზის თვისების, სხვა გვარი ქვიშები ღვინოს არ შეინახავს ქვევრში კარგათ. ტალა ქვიშაც კარგია მარნისათვის.

მარანი უნდა აშენდეს იმგვარად, რომ არ იყოს მარანში მომეტებული ნოტიო, ყოველთვის სიგრილე უნდა იყოს შიგნით. არ უნდა იყოს ზამთარში სიცივე, ან ყინვა და თუ ზამთარ-ზაფხულ ერთნაირი ჰაერი და ჰავა იქნება მარანში, რაც კარგია ღვინისათვის, ამისათვის ზაფხულში უნდა გრილათა გქონდეთ მარანი, რომ ზამთრის ჰავას უთანასწორდებოდეს. მარანში მზე არ უნდა შედიოდეს, შიგნით ყოველთვის ერთნაირი ტემპერატურის ჰაერი უნდა ტრიალებდეს.

მარნის კარები უნდა იყოს გაკეთებული ჩრდილოეთის მხარეს. ამავე მხარეს უნდა ჰქონდეს პატარა ფანჯრები, რომლების კედლები შიგნიდან უნდა იყოს განივრათ ნახევარ არშინამდის და გარეთა კედლების პირიდან ისე ვინრო, როგორც თოფის სასროლი ფანჯრებია, იმისათვის, რომ მარანი არ იყოს ძალიან განათებული და ამასთან ჩრდილოეთის მხრიდან მზე ვერ შეხედავს მარანს კარ-ფანჯრიდან.

მარანში სინათლე საჭირო არის იმისათვის, რომ წმინდა ჰაერი შევიდეს ხოლმე და რომ ქვევრების რეცხვაში და გაბზარული ქვევრის გახიზვაში უსანთლოთ ხედავდეს კაცი შიგნით ქვევრის კედლებს, რომ კარგათ გარეცხოს და სიბნელისაგან არ დარჩეს ქვევრში სადმე



გაუხიზავი ადგილი. გარეცხვისა და გახიზვის დროს ქვევრის სანთელს ხმარობენ, ეწვალეებიან, იმისათვის რომ რეცხვაში ნოტიოსაგან და წყლის ნამისაგან და აგრეთვე ნიავისაგან, რომელიც დაჰბერავს ქვევრის ზევიდან სანთელი მალე უქრებათ და ვერც კარგათ ხედავენ ყველგან ქვევრის კედლებს, ამასთან ბნელმა მარანმა ღვინის დაჭანკება იცის.

ცხელ ადგილებში მარანი კეთდება დახურული კრამიტით. საჭიროა, რომ მარანს სახურავის გარდა, აგრეთვე, ჰქონდეს ფიცრის სხვენი, იმისათვის რომ სიცივე კრამიტს ძალიან გაახურებს, რომლის სიციხელე ჩავა დაბლა მარანში და მინას გაახურებს როცა სხვენი არ ექნება.

თუ მარანი მაჭრის დუღილის დროს ყრუდ იქნება დაკეტილი, ისე რომ ჰაერი არსაიდან შედიოდეს და იმ დროს თუ კაცი შევიდა შიგ უეჭველი ნააქცევს კაცსა და დაახრჩობს, რადგან ძლიერი სუნი იქნება დატრიალებული მაჭრის დუღილისას, ნახშირორჟანგის გაზი წარმოიქმნება. ამისათვის მაჭრის დუღილის დროს ყოველთვის სიფრთხილე უნდა იქონიოს კაცმა. არ უნდა შეუშვან შიგ შინაური ფრინველი, თორემ იმათ უფრო მალე დაახრჩობს.

მარანს ახლო არ უნდა იყოს: გომური, ზანული ან სხვა ამგვარი უწმინდურობა. მარანში არ უნდა იყოს შენახული ძმარი, რისამე წნილი, კომბოსტო, რისამე ტყავები, ყველი, ერბო, ქონი, თევზი, ზეთი და სხვა ამგვარები, ვიჩინა ან ძეხვები, თორემ სუნი დატრიალდება მარანში და უთუოდ ღვინოს წაახდენს.

მცირედი რამ ცუდი სუნი რომ შეიტანოს მარანში ჰაერმა ღვინოს უთუოდ ავნებს, მარანმა ჩაისავით მალე იცის ცუდი სუნის მიზიდვა, ამისათვის ყოველთვის დიდი სისუფთავე უნდა იქონიოთ მარანში.

ღვინო იქამდის ნაზი არის, რომ





თუ ღვინის ქვევრს სარქველის მოხდაში ელვამ დახედა, მაშინვე ღვინო შეიცვლება. თუ ქვევრი ღრმათ არ ზის მიწაში და ბევრი მიწა არ აყრია გარშემო, თუ ქუხილის ხმა ესმა ღვინოს ქვევრში, ნახდება ღვინო. ეს მიზეზები ბევრჯერ არის გამოცდილი.

მარანი ისე უნდა ააშენოთ, რომ მზის შუქი ან სიციხე, ან ცუდი რამ სუნი რისამე არ შედიოდეს შიგ და ამასთან ქვევრს ელვა არ უნდა უდგებოდეს და ქუხილის ხმა არ ესმოდე. მაშასადამე არ უნდა ახადოთ ქვევრი ელვიანსა და ქუხილიანს ამინდში, ან ღამეში ამოსაღებათ ღვინისა.

ქართული ვაზი ისტორიით ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. დღეისთვის ნაპოვნი ყველაზე ადრეული ნიშნები მევენახეობისა და ღვინის წარმოებაზე მიუთითებს საქართველოში ღვინის კულტურის არსებობაზე დაახ. 7000 წლის წინ, რაც საქართველოს ღვინის სამშობლოს სტატუსს ანიჭებს.

ყველაზე განთქმული მევენახეობით საქართველოს რეგიონებს შორის არის კახეთი (რომელიც იყოფა თელავისა და ყვარელის მიკრორეგიონებად), მას მოჰყვება ქართლი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ასევე აფხაზეთი.

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა **ყურძნის ნიპნები**, რომელიც ძვ.წ. 7-6-ე ათასწლეულებს განეკუთვნება და ენეოლითური პერიოდით თარიღდება. 6-5-ე ათასწლეულებით ჩვენს ერამდე დათარიღდა ანაკლიის დიხა-გუძუ-

ბაში აღმოჩენილი ნიპნები, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ ჯერ კიდევ ნეოლითის დროს, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში იცნობდნენ ვაზის კულტურას და ის საკმაოდ დიდ როლს ასრულებდა ადვილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაში. ასევე ნაპოვნი კულტურული ვაზის უმუშალო ნიწაპარი — გარეული ვაზი-კრიკინა (უზურვაზი), რომელიც დღეს წითელ ნიგნძიც არის შეტანილი. ეს კი იმის მაჩვენებელიც არის, რომ გარდა ვაზის კულტურისა, მევენახეობის კულტურამ აქ ყველა მისთვის დამახასიათებელი საფეხური გაიარა.

გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია **ენეოლითის დროინდელი ძველისძველი მარანი**, აქ ღვინის შესანახად გამოიყენებოდა უზარმაზარი, მიწით დაფარული თიხის ქვევრები. აგრეთვე აღმოჩენილია ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს ფიალები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ალაზნის ველის სამაროვნები (ძვ.წ. III-II ათას.). ამ მხრივ ძალიან მდიდარია მტკვარ-არაქსის კულტურის ქართული კერები. გათხრების შედეგად აღმოჩენილია მცხეთის რაიონის მახლობლად (ბაგინეთში) სხვადასხვა კერამიკული ჭურჭელი, რომელიც თარიღდება ძვ.წ. IV-III ათასწლეულებით. ბორჯომში ნაპოვნია 11, ვარძიაში კი — 100-მდე ქვევრი, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო ორმაგკედლიანი, თერმოსის მსგავსი, რაც თავისთავად უნიკალური მოვლენაა და მეტყველებს იმაზე, რომ მისი ავტორები კარგად იცნობდნენ

ქიმიას, ფიზიკას და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს.

ჩვენი მატერიალური მემკვიდრეობა აგრეთვე იცნობს: ყურძნის სასხლავ სპეციალური დანებს, ღვინის დასაწურ მოწყობილობებს, თიხის და ლითონის ჭურჭელს, სხვადასხვა ფორმისა და სახის სასმისებს, ღვინის დასაყენებელ და შესანახ ქვევრებს და სხვა. ეს კულტურული კერები მდებარეობენ, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. კერძოდ: შულავერი, მცხეთა, თრიალეთი, ბიჭვინთა, ალაზნის ველი, მესხეთი და სხვა. მეღვინეობის ამსახველი სხვადასხვა ორნამენტებიან ჭურჭელი აღმოჩენილია სამთავისში, იყალთოში, ზარზმიაში, გელათში, ნიკორწმინდაში, ვარძიასა და საქართველოს სხვა რეგიონებში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თრიალეთის კულტურა (ძვ.წ. III-II ათასწ.), სადაც უნიკალური ღვინის თასები, ბარძიმები, დოქები და სხვა სახის ჭურჭელია აღმოჩენილი. მათ შორის გამორჩეულია ვერცხლის ცნობილი თასი, რომელზეც გამოსახულია რელიგიური რიტუალი, რაც ღვინის თანხლებით სრულდებოდა და საკმაოდ მასშტაბური უნდა ყოფილიყო ორნამენტული კომპოზიციის მიხედვით. აგრეთვე აღსანიშნავია, ოქროს თასი, რომელიც მოპირკეთებულია სხვადასხვა სახის პატიოსანი თვლებით. ასეთი ბარძიმები უმთავრესად მათრობელისთხის — ღვინის დასალევად გამოიყენებოდნენ. ამაზე მიუთითებს მათ ზედაპირზე დალექილი ნარჩენებიც.

ვაზის კულტთან არის დაკავშირებული ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში. როცა წმინდა ნინომ, საკუთარი თმით ვაზისგან შეკრა ჯვარი და იმით უქადაგა ქართლოსის ნათესავთ ქრისტეს რჯული. საფიქრებელია, რომ ვაზის ჯვარი წარმართულ საქართველოშიც ღვთაებრივ სიმბოლოდ, საიდუმლოს ზიარად ითვლებოდა, რისი ჯვარად ქცევაც ერის სულიერების უმაღლეს ცოდნასთან ზიარების ნიშანი იყო. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გორდა, არც ერთ ქრისტიანულ ქვეყანაში არ არსებობს „ვაზის ჯვრის კულტი“.

მოამზადა
ლევ სვანიძემ



შორეთი — მინის ტყვეობიდან გათავისუფლებული ტაძარი

გაობრაფიული მდებარეობა

შორეთის სამონასტრო კომპლექსი სამხრეთ საქართველოში ოთხი ისტორიული პროვინციის — სამცხის, ჯავახეთის, თორისა და თრიალეთის საზღვარზე, ასპინძის ხევში მდებარეობს, დაბა ასპინძიდან 11 კილომეტრის მოშორებით.

მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა ჰქონდა ასპინძისხევს, სამცხე-ჯავახეთის ბუნებრივ საზღვარს. მდინარე სანისლოს (ოთისწყლის) მარცხენა სანაპიროს ციცაბო კლდოვანი მთები წარმოადგენს. თრიალეთში ბილიკები შავი კლდის მიმართულებით გადის, კლდეკარს (კლდეში გაჭრილ საურმე გზას) ციხისფერისკენ (თორი) მიყვავართ, გზა აქ კორდიანზე (შავშეთის ქედზე) გადადის.

ასპინძისხევი ციხე-სიმაგრეთა მძლავრი სისტემით იყო დაცული. თორის მხრიდან ვარაზის ციხით, ჯავახეთის მხრიდან შორეთისა და ზემო ინთორის ციხეებით, ფეოდალურ რეზიდენციას ოთის ციხე წარმოადგენდა და სამცხიდან შემოსასვლელს იცავდა. საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაშთი შეინიშნებოდა აგარასთან, თორს საკუთრივ ციხისფერის

ციხე იცავდა, სამცხეს ჩიტიკიბეების მიუდგომელი ციხე-სიმაგრე, ასპინძას — ასპინძისციხე, ჯავახეთს — კობტასციხე.

ციხესიმაგრეთა მთელი ეს სისტემა უშუალოდ და სათვალთვლო კომპლექსის მეშვეობით უკავშირდებოდა ერთმანეთს, ეს, უპირველესად, გათვლილი იყო გარემო მტრის მოსაგერიებლად.

ხევი განსაკუთრებულად მდიდარია ეკლესია-მონასტრებით, აგარის ეკლესია (ყიზილ-დერესა), ლართის, სანისლოს, ოთის მარიამ წმიდის, ჭაბიეთის, ქვემო ინთორის ეკლესიები, ბეთლემისა და შორეთის მონასტრები.

შორეთის მონასტერი ასპინძისხევის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე მდებარეობს, სოფელ ოთიდან 5-6 კმ-ის მოშორებით, სამანქანო გზა რესტავრაციის დასაწყებად 1990-1991 წლებში იქნა მიყვანილი ძეგლამდე, მანამდე კი სანისლოსა და ჭოლოთისწყლის ხერთვისთან იწყებოდა ციცაბო, ტყიან კლდეებზე წყალგაღმა მიმავალი ვიწრო საცხენოსნო ბილიკი.

მდინარის სათავესთან, სამი მხრიდან მაღალი მთებით, ნაკადულებით,



ნაძენართა და მშვენიერი ფოთლოვანი ტყით გარშემორტყმულ მდელოზე დგას შორეთის სამონასტრო კომპლექსი, მოჩუქურთმებული თლილი ქვის პერანგით, იშვიათი დეკორით, მოზაიკით შემკული, არქიტექტურულად თავისთავად საინტერესო ძეგლი, ჩრდილოეთიდან მაღალი, მიუდგომელი ციხე — კოშკითა და მერცხლის ბუდესავით სამლოცველოთი დაგვირგვინებული ფრიალო კლდე გადმოჰყურებს, ძეგლიდან დასავლეთით, მდინარის დინების მიმართულებით, განსაკუთრებით დაისის ფერისცვალების უამს, საოცრად მომხიბვლელი ხედი იშლება, არანაკლებ შთამბეჭდავია მზის ამოსვლა ვარაზის ციხის მხრიდან.

ისტორიული მიმოხილვა

XVIII საუკუნის მოღვაწე ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი) სამცხე-საათაბაგოს „საჩინოს ადგილების“ აღწერისას ასპინძის ხევის მდებარეობას ასე განსაზღვრავს, „მტკვარს აღმოსავლეთიდან ერთვის ასპინძისხევი“, გამოსდის კოდიანს, ანუ ჯავახეთის მთას“. „ამავე ხევზედ ოთას, არს კლდესა შინა გამოკვეთილნი ქვაბნი დიდ-დიდნი სახიზრად...“. „ასპინძისხევის სათავეზედ,





მთის ძირში, არს შორაპანს მონასტერი, უგუნბათო, შუენიერს ადგილას, დიდმენი, სრულიად სოფიის კენჭით და ან ცარიელი“. 1849 წელს ფრანგ-მა ქართველოლოგმა — აკადემისკოსმა მარი ბროსემ დიდთოვლობის დროს იმოგზაურა სამცხე-ჯავახეთში, მეგზურად ახლდა გამაჰმადიანებული ქართველი თავადი ქამილ-ბეი. საინტერესოა, მისი ბროსესული დახასიათება: „ჯერ ახალგაზრდა, მაგრამ სამშობლოს დაცემისგან მორალურად განადგურებული...“ ძეგლის სანახავად, სანადირო ბილიკებით მუხლამდე თოვლში ასულმა მკვლევარმა საყურადღებო ცნობები და მათ შორის რელიეფებისა და ორი ლაპიდარული წარწერის აღწერილობა დაგვიტოვა. აღნიშნული წარწერები დაკარგულად ითვლებოდა მთელი საუკუნის განმავლობაში და ბოლოს 1987-1991 წწ. ასპინძისხევში ექსპედიციის მიერ კვლავ იქნა ნაპოვნი.

არქიტექტურა

კოპლექსში შედის: ეკლესია (გაირჩევა მშენებლობის სხვადასხვა ქრონოლოგიური ფენა) და სამრეკლო. ეკლესია ორსართულიანია. ძირითადი ნაწილი (II სართული) შიგნით ჯვაროვან სივრცეს ქმნის. ეს არის თავისებური ტიპის, გეგმით საგრძობლად ნაგრძელებული დარბაზი. I სართულს სამხრეთით აქვს კარიბჭე, რომელიც XV საუკუნეში სამრეკლოსთვის გამოუყენებიათ, — სამხრეთი მიმართულებით იგი გაუდიდებიათ და ზედ სამრეკლო 9-მალისანი ფანჩატური დაუდგამთ, სამრეკლოს ორივე სართული ქვიშისფერი თლილი ქვითაა ნაგები. სამხრეთ ფასადზე სამი თაღით შექმნილი კომპოზიციაა. ეს არის რვანახნაგა ბოძზე დაყრდნობილი ორი თაღოვანი მართლი შექმნილი შესასვლელი, რომლის ზემოთ მესამე თაღია, ფანჩატურის თაღები მოჩუქურთმებულია.

როგორც ირკვევა, ეკლესიამ გარეგნულად იერი რამდენჯერმე შეიცვალა. აქ შემორჩენილია უძველესი ფრაგმენტი ადრექრისტიანული ქვის სამმეტრიანი სტელის (VI-VII საუკუნეები).

თავდაპირველად IX საუკუნეში უნდა იყოს აშენებული დარბაზული ტიპის ეკლესია, თუმცა არის ნიშნები უფრო ადრინდელი ეკლესიის ნაშთის არსებობისა. XII საუკუნის ბოლოს, როგორც ჩანს, მიწისძვრის ან მტრის შემოსევის გამო, შორეთის



ეკლესია მონასტრის სახეს იღებს. ის ხდება ორსართულიანი, ჯვრის ტიპის ინტერიერით, თუმცა არ ედგმება გუმბათი, უკეთდება მოზაიკური დეკორი, რაც ძალზე იშვიათია ფეოდალურ საქართველოში, უკეთდება ჭიქური კრამიტი.

XIV ან XV საუკუნეებში კვლავ რესტავრირდება და ემატება საინტერესო დეკორის მქონე სამრეკლო. ძეგლზე დაცულია ლაპიდარული წარწერები.

მონასტერი, შემორჩენილი მოზაიკური ფრაგმენტებით, დღემდე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

აღდგენითი სამუშაოების დროს, რომელსაც არქეოლოგი მალხაზ დათუკიშვილი ხელმძღვანელობდა, ფრესკებიდან ჩამოშლილი მოზაიკებიც აღმოაჩინეს. ეკლესიის პირველი სართული და მეორე სართულის ნახევარი, თითქმის სულ მიწით იყო დაფარული. ტერიტორია, სადაც ეს ეკლესიაა აშენებული, მესხი თავადების — შალიკაშვილების საკუთრებას წარმოადგენდა. დაახლოებით 20 წლის წინათ, დათუკიშვილმა სხვა ადამიანებთან ერთად, გაამერიკელებული ქართველის — ჯონ მალხაზ შალიკაშვილის ფინანსური მხარდაჭერით შეძლო რამდენიმე სახის სამუშაოს ჩატარება. მიწისგან სრულად გაიწმინდა პირველი და მეორე სართული. გადაიხურა ჩამოშლილი ადგილებიც. აღმოჩენილი იქნა საძვალეებიც. მას შემდეგ, რაც ეს არქეოლოგი გამოჩნდა, ტრადიციად იქცა

ყოველ წელს ზაფხულობით მონასტრის შორიანლო ბანაკების გაშლა და ეკლესიაში აღდგენითი სამუშაოების განახლება. იგეგმებოდა მოზაიკური ფრესკების აღდგენაც, მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგი მიწაში დაიკარგა, ზოგი კი, ცნობისმოყვარე ტურისტების ხელში აღმოჩნდა.

ტაძარი დაბიდან მოშორებით, შუაგულ ტყეშია, სადაც მისვლა საცალფეხო ბილიკითაა შესაძლებელი. სამანქანო გზა გაფუჭებულია, მიწა მდგრადი არ არის და გზა ხშირად ფუჭდება. რამდენიმე წლის წინათ ასპინძაში ხმა გავრცელდა, რომ შორეთის ეკლესიის კედელზე იესო ქრისტეს სახე გამოისახაო და ეს ჩუმი ტყე უცებ გამოცოცხლდა, ყველას სურდა ამ სასწაულის ნახვა. ზოგი ამბობდა, რომ ადრე იმ ადგილას ფრესკა იყო, მოზაიკის ჩამოცვენის შემდეგ დაიკარგა გამოსახულება და შემდეგ ნელ-ნელა გამოჩნდაო. ასეთი ისე, ტაძარი დღეს მიწის ტყვეობიდან გათავისუფლებულია. ღვთისმშობლობას, 21 სექტემბერს აქ დიდი ხმაურია. ბაკურიანში მცხოვრები ბერძნები და მართლმადიდებელი ქართველები ამოდიან აქ და მესხეთის ერთ-ერთ უძველეს მიწაზე აღნიშნავენ ამ დღესასწაულს.

იმედია, მიწის ტყვეობიდან გათავისუფლებული შორეთი დროთა განმავლობაში თავის ძველ იერს დაიბრუნებს.

მავდა კლდიაშვილი

ტფილისის სამხედრო ტაძარი


ტფილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტაძრის (Тифлисский Александро-Невский военный собор) — მართლმადიდებელი ქრისტიანული საკათედრო ტაძრის მშენებლობა თბილისში რუსეთის იმპერიული მმართველობის მიერ 1870 წელს დაიწყო და 90-იან წლებში დასრულდა.

1865 წლის 4 სექტემბერს იმპერატორმა ხელი მოაწერა ტაძრის მშენებლობას. იგი რუსეთის კავკასიის ომში ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთან გამარჯვების აღსანიშნავად აღიმართა და შუასაუკუნეების რუსი წმინდანის — ალექსანდრე ნეველის სახელობისა იყო. ნეობიზანტიური სტილის ნაგებობის პროექტი დ. გრიმს ეკუთვნის.

კათედრალის მშენებლობა 1871 წლის 16 აპრილს დაიწყო მეფის-ნაცვლის, დიდი მთავრის — მიხეილ ნიკოლოზის ძის თანდასწრებით. ტაძარი ააგეს ალექსანდროვის ბაღის ზემო ნაწილში, გუნიბსკის (ლუნიბის) მოედანზე (მოგვიანებით სობორნი მოედანი დაერქვა, ამჟამად რუსთაველის გამზირის ნაწილია).

1897 წლის 21 მაისს ტაძარი აკურთხა საქართველოს ეგზარხოსმა ვლადიმერმა.

ტაძრის დანიშნულება ღვთისმსახურებაში იყო, ამასთანავე იგი იყო კავკასიის ომის დიდებულად დაგვირგვინების სიმბოლო. ტაძრის სიმაღლე 18 საფეიტი იყო. შენობა ათას კაცს იტევდა. მის შიგნით, უკანა მხარეს, თავს იწონებდა ფარები, რომლებზეც ეწერა, თუ რამდენი ჯარისკაცი და არმიის ქვედანაყოფი მონაწილეობდა კავკასიის ომში. ტაძარი ოთხიარუსიანი, მაგრამ მონოტონური იყო. სამრე-



კლოს კოშკი ტაძრის სამხრეთით იდგა. ტაძრის ირგვლივ ჩამწკრივებული იყო ქვემეხები, რომლებიც ომის დროს დამარცხებულ მხარეებს (სპარსეთს, თურქეთს, შამილს) ჩამოართვეს. ტაძარი სამეკლესიანი ყოფილა. შუა — ალექსანდრე ნეველის, მარჯვნივ — მიქაელ მთავარანგელოზის და მერცხნივ — ნმიდა ნიკოლოზის სახელობისა.


1917 წლამდე ტაძარს საქართველოს ეგზარქატი განაგებდა, რის შემდეგაც იგი გადაეცა ავტოკეფალია მინიჭებულ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს.

1921 წლის თებერვალში ტაძრის ეზოში დაასაფლავეს საქართველოს სამხედრო სკოლის სტუდენტები (იუნკრები), რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ნი-

თელ არმიასთან ბრძოლაში დაიღუპნენ. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1930 წელს კომუნისტურმა მთავრობამ დაანგრია ტაძარი, რომლის ადგილას აშენდა საბჭოთა საქართველოს მთავრობის სასახლე, ახლანდელი პარლამენტის შენობა. სასახლის ეზოს ტერიტორიაზე შემორჩენილ სასულიერო პირთა საკნებში (კელიებში) 2007 წლის 26 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით ხარების სახელობის სამლოცველო გაიხსნა.

სობოროს მარცხნივ მთავარმართებლის სასახლე იყო, მარჯვნივ — პირველი გიმნაზია; მოედნის მალლა მდგარი შენობები ძველი არსენალია, მერე იგი მახათას მთაზე გადაიტანეს.

დას სვანიძე





ელიზბარ ჯაფელიძე

სულიერების ნარწყობა (ნიბნიდან „აპაჰე, ჩემო ბაბულო!“)

მორალი

რელიგიურ თუ ფილოსოფიურ აზროვნებაში ოდითგანვე ადამიანი გამოცხადებულია ყოველი სულდგმულის ხელმწიფედ და გვირგვინად. იგი იყო ღვთის ხატი და მიკროკოსმოსი, რომელიც თავის თავში მაკროკოსმოსსაც მოიცავდა. ამიტომაც დასაბამიდანვე მისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ რელიგიის მამანი თუ ფილოსოფიის კორიფენი. ადამიანის ადამიანურობის უმთავრესი ნიშანთვისება, რომელიც მას სხვა ცოცხალ არსებათაგან, ანუ ცხოველთაგან გამოარჩევდა, იყო აზროვნება. ამიტომაც მას უწოდებდნენ მოაზროვნე ცხოველს. მაგრამ ადამიანობის განმასხვავებელი ატრიბუტი აზროვნებასთან ერთად არის უნარი მშვენიერების აღქმისა, ანუ ესთეტიკური განცდა და ზნეობრიობა, ანუ მორალური პრინციპებით ცხოვრება-მოღვაწეობა.

მართლაც, ადამიანი, თუკი იგი ნამდვილი ადამიანია, მარტო შთენილი, განდევნილი თუ აქტიურად ჩაბმული ცხოვრების ორომტრიალში, გულისა და გონის მეშვეობით, უპირველესად, კავშირს ამყარებს უმაღლეს ჭეშმარიტებასთან, როგორც სულიერებისა და ზნეობის უმაღლეს ორიენტირთან და მერმე ანგარიშს უწევს ქცევის ნორმებსა და ადათებს იმ საზოგადოებისა, რომელშიც უხდება ცხოვრება. ამიტომაც ადამიანური ცხოვრება, ჩვეულებრივ, უნდა წარმართოს ზნეობრივ ჩარჩოებში, რომელიც, მართალია, მის თავისუფლებას გარკვეულწილად ზღუდავს, მაგრამ მას ნამდვილი ადამიანური თვისება-შინაარსით ავსებს. ასე რომ, მორალური კატეგორიები, რომლებიც საზრდოობენ რელიგიური მრწამსით და ამოზრდილი არიან საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციებიდან, საუკუნეთა მანძილზე წარმართავდნენ ადამიანების, საზოგადოებების, დაბოლოს, ერთა თავისთავა-



დობისა და განსხვავებულობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრება მოითხოვს გარკვეულ წესრიგს, რასაც მართავს სამართლებრივი კანონი, რომლის მიხედვითაც ისჯება დამნაშავე, ანუ წესრიგის დამრღვევი. სამართლებრივი კანონმდებლობა ადამიანთა სამოქალაქო-პოლიტიკურ ურთიერთობებს უწესებს მიჯნებს, რომლის გადალახვა სისხლის სამართლის დანაშაულია, ხოლო დამნაშავე სხვადასხვა მეთოდითა და სხვადასხვა ზომით ისჯება. მართალია, მორალიც აგებულია პრინციპით: ეს შეიძლება, ეს დასაშვებია და ეს არ შეიძლება, ეს დაუშვებელია — მაგრამ ამ მოთხოვნის დამრღვევი არ ისჯება და ის მხოლოდ საზოგადოების კიცხვასა და საყვედურს იმსახურებს. მოკლედ, პირველ შემთხვევაში დამნაშავე ისჯება, შეიძლება ითქვას, ფიზიკურად, ხოლო მეორე შემთხვევაში ის ხდება საზოგადოებრივი გაკიცხვის ობიექტი, რაც მას უფრო მეტად სულიერ ტკივილს ანიჭებს და სინდისის ქენჯნას განაცდევინებს. თუმცა შიში და ერთგვარი რიდი ორივე შემთხვევაში, კანონის დარღვევისას თუ მორალური ნორმიდან გადახვევისას, თან სდევს ადა-

მიანს, ოღონდაც პირველის შემთხვევაში ეს განცდა დაკავშირებულია ამქვეყნიურობასთან, ხოლო მეორე შემთხვევაში — ზემთასოფელთან, საიქიოსთან, რადგანაც ადამიანის ყოველი ცთუნება განკითხვის დღეს განიკითხება. ასე რომ, შეიძლება ითქვას, სამართლებრივი კანონის დარღვევის შედეგად აღძრული შიში უფრო ფიზიკურ, ემპირიულ სინამდვილესთან დაკავშირებულ კატეგორიათა რიგს განეკუთვნება, მაშინ, როცა ეთიკურ ნორმათა, ანდა დამკვიდრებულ და გამჯდარ, ტრადიციულ ჩვევათა დარღვევა სულიერ, რელიგიურ სამყაროს მიემართება და მომავალზე ფიქრით არის გაპირობებული. ეს გახლავთ სულიერი ნუხილი და შფოთი, ვიდრე შიში სხეულებრივი ტკივილის წარმოდგენისა.

ოდითგანვე საზოგადოება მიჯნავდა და ანსხვავებდა სამართლებრივ და მორალურ კანონს, რომლის მოქმედების არეალი სხვადასხვა იყო. ასე, მაგალითად, რაინდული წესების მიხედვით, ვინც შეურაცხყოფას აიტანდა, ის კარგავდა წოდებრივ კეთილმობილებას და ღირსებას, ხოლო სამოქალაქო კანონების მიხედვით, ვინც შურს იძიებდა, სისხლის სამართლის კანონით ისჯებოდა. თუმცა არცთუ იშვიათად მორალური და სამართლებრივი მოთხოვნა და წესი ურთიერთს ემთხვეოდა, რაც კანონის სრულყოფილებაზე მეტყველებს და, თურუსთველის გამონათქვამს გავიხსენებთ, „მართალი სამართალი“ გახლავთ.

ქნელია, ბაჰაძე წინადაცემულობას

საერთოდ, მორალის არსის განსაზღვრა ერთობ რთულია, ამასთანავე, ამას ამძიმებს ის გარემოებაც, რომ მორალური კატეგორიები ცვალებადია და იგი დამოკიდებულია სხვადასხვა საზოგადოების განვითარების განსხვავებულ დონეზე. გარდა ამისა, მისი ახსნა განსხვავე-

ბულ ასპექტსა და განსხვავებულ განზომილებაში ხერხდება მხოლოდ. მაგრამ ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს ის, რომ სამართალი საზოგადოებრივ ცხოვრებას, ადამიანთა ქმედებას სამართლებრივად წარმართავს, უსაზღვრავს მათ წესებს და ამას იძულებით ახორციელებენ სახელმწიფო და მისი ხელისუფლებანი. ხოლო მორალურ ნორმებს იმუშავებს საზოგადოება, ხალხი, ერი თავისი ტრადიციებითა და რელიგიური მრწამსით. ამ შემთხვევაში იძულებისა და დასჯის მეთოდი გამორიცხულია: მორალი საზოგადოებრივ ურთიერთობას მორალურ ჩარჩოებში აქცევს, ადამიანის ცხოვრებას ზნეობრივ ფილტრში ატარებს და მხოლოდ მორალური ძალისხმევით ანიჭებს ადამიანს ადამიანურ სახეს. ამორალური ქმედება ადამიანში სირცხვილის გრძნობას აღძრავს, იგი ერთგვარ პასუხისმგებლობას გრძნობს საზოგადოების წინაშე და, როცა არღვევს საყოველთაოდ დამკვიდრებულ და მონონებულ ამა თუ იმ კოდექსს, მას სინდისი ქენჯნის. საერთოდ, ყველა სუბიექტს ახასიათებს შინაგანი ცენზურა, რომლითაც ის ახერხებს საზოგადოებისათვის მიუღებელი, ამორალური გრძნობების დათრგუნვას. ბუნებრივია, რაც უფრო მეტად აღზრდილი და განათლებულია ადამიანი, მით უფრო ანგარიშს უწევს არსებულ კულტურულ გარემოს, საზოგადოების აზრს და თავის თავისადმიც უფრო მეტად მომთხოვნი. ის, როგორც ღვთის ხატი და „საზომი ყოველთა საგანთა“ (პროტაგორი), თავისთავში მოიცავს სათნოებასაც, ანუ სულიერ სანყისს და ბოროტებას, რომელიც მისი მატერიალური განსხვავებულებიდან იღებს სათავეს. ამიტომაც, ადამიანმა, როგორც მიკროკოსმოსმა, შემეცნების მზერა, უპირველესად, თავისი თავისკენ უნდა წარმართოს, თავის თავში მოიძიოს სათნოება თუ ბოროტი და სოკრატეს მოწოდება: შეიცან თავი შენი! — სწორედაც არის უპირველესი მოთხოვნა თუ პირობა, რომელიც არ გვაძლევს უფლებას სხვათა ავკარგიანობაზე იმსჯელო. ასე რომ, უპირველესად, ადამიანმა თავისი მორალური სახისთვის უნდა იზრუნოს. ამას გვაუწყებს თეოფრასტის ფრთიანი ფრაზაც: „თავად შენ უნდა გქონდეს საკუთარი თავი-

სადმი სირცხვილის გრძნობა და არ მოგიწევს სხვათა წინაშე შერცხვენა (განითლება)“. დაახლოებით ამას შთაგვაგონებს დემოკრიტი, როცა გემოდღვრავს: „სასირცხვილო საქმის ჩამდენს, უპირველესად, უნდა რცხვენოდეს საკუთარი თავისა“.

ცხადია, რომ ჯერ კიდევ წარმართი ბერძნები ადამიანის უმთავრეს მოვალეობად ზნეობრივი პრინციპების დაცვას მოითხოვდნენ. ზნედაცემულობა, ეთიკური პრინციპის დარღვევა უფრო საშიშ მოვლენად აღიქმებოდა, ვიდრე ფიზიკური სიკვდილი. ახლა გავიხსენოთ, როგორ შეეგება სოკრატე თავის სასიკვდილო განაჩენს: „სიკვდილს რომ გაექცე, ძნელი არ არის, აი, რაც უფრო ძნელია — ესაა გაექცე ზნედაცემულობას: ის სიკვდილზე უსწრაფესად წამოგენევა ხოლმე. და, აი, მე, მოხუც და დინჯ ადამიანს, წამომენია ის, რაც არცთუ ისე სწრაფად გენევა, ხოლო ჩემს ბრალმდებლებს, ადამიანებს ძლიერთა და მართლებს, — ის, რაც უფრო სწრაფად რბის — ზნეობრივი წამხდარობა. მე აქედან მივდივარ თქვენგან სიკვდილმისჯილი, ხოლო ჩემი დამდანაშაულებელი მიდიან ბოროტებასა და უსამართლობაში სიმართლით მხილებულნი. მე ვრჩები ჩემს საქციელთან ერთად, ისინი კი — თავიანთ სასჯელთან“. აი, ეს გახლავთ მორალის ზეობა, მორალური მრწამსი, გამარჯვება სიკვდილზე. აი, ეს გახლავთ მორალური ადამიანის უკვდავებაც. ვფიქრობ, რომ არა რწმენა და მორალი, ვერც ადამიანი შეინარჩუნებდა დღემდე ადამიანურ სახეს და ვერც ერი — იდენტურობასა და თავისთავადობას. ასე რომ, თუ მახვილით კაცი იცავდა თავის ფიზიკურ არსებობას, რწმენით, კულტურით, ცოდნითა და მორალით ის თავის სულიერებას არჩენდა და აძლიერებდა. ხოლო სულიერების გარეშე ფიზიკური ყოფნა მხოლოდ ცხოველურ დონეზეა შესაძლებელი.

მაგრამ ეთიკური იდეა ევოლუციურ განვითარებას ექვემდებარება, დიდი დროის მანძილზე იგი ისევე ცვალებადია, როგორც საზოგადოებრივი აზრი. ეთიკური არსის გარკვევის დროს არსებითია, თუ როგორ გვესმის ადამიანის ცხოვრების მიზანი და, საერთოდ, როგორ წარმოგვიდგენია მისი ადგილი და ფუნქცია სამყაროში. ადამიანის ზნეობა

ვლინდება მისი ქმედებით, რომელიც გარკვეული მიზნით წარმართება და დამოკიდებულია მის უნარზე, მონაცემებსა და სულიერ სამყაროზე. როგორც ფიქრობენ, ეთიკური პრობლემები შეიძლება განისაზღვროს სამი დონით: უპირველესად, ეს არის ადამიანის ფსიქოლოგიური საფუძვლები, რომელიც საძირკველს უყრის ზნეობრივ სამყაროს; მეორე — მოძღვრება და განსაზღვრა იმისა, თუ რა არის ადამიანის მოღვაწეობის მთავარი მიზანი და, ბოლოს, სწალება სათნოების შესახებ, ანუ იმ გზების შესახებ, რომელთა წყალობითაც ადამიანის ცნობიერება წარმართება ისე, რომ მიიღწევა უმაღლესი მიზანი.

მთავარი მაინც ის არის, თუ როგორ განვსაზღვრავთ ადამიანის ადგილს სამყაროში და მისი ცხოვრების აზრს. ეს კი ძირითადად დამოკიდებულია ამა თუ იმ საზოგადოების, ერის განვითარების დონეზე, ზნეობრივ-კულტურული მსოფლმხედველობისა და ეთიკურ-ტრადიციულ ნორმათა როგორობაზე. მარტივად, დამოკიდებულება მორალისადმი საზოგადოებრივ ფორმაციათა განვითარების სხვადასხვა დონეზე განსხვავებულია.

ტრადიცია და მორალი

გარდა ამისა, მორალური კრიტიკურიუმების წარმოშობას, როგორც წესი, საფუძვლად უდევს ამა თუ იმ ტომის თუ ერის ტრადიციები, ცხოვრების წესი და რელიგიური მრწამსი. ამიტომაც ეთიკური პრინციპები ხშირად ეთნიკურ ძირებთან არის დაკავშირებული და ნაციონალურ ხასიათს ატარებს, უფრო მართებულად, ეთნიკურ-ეროვნული თავისებურებით გამოირჩევა, რაც განაპირობებს სხვადასხვა ტომისა თუ ხალხის განსხვავებულ მორალურ კრედოს.

ცხოვრების წესის თავისებურებანი იმდენად განსხვავებული და ერთმანეთისთვის მიუღებელი იყო, რომ თანამედროვე ადამიანის განცვიფრებას იწვევს, თუ მას დღევანდელი თვალთ შევხედავთ. აი, ზოგიერთი ტომის ტრადიციების თავისებურებანი, რომლებსაც თავის მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომში მიშელ მონტენი მოგვითხრობს: არსებობს ხალხი, რომელიც მისალმებისას ზურგს აქცევს ერთმანეთს და არასოდეს არ შეხე-



დავს იმას, ვისაც სურს პატივი მიავსო; არიან ისეთებიც, რომელთა მეფეს, როცა ის გადაფურთხებას აპირებს, ყველაზე ღირსეული ქალბატონი შეუშვერს ხელს; არსებობს ხალხი, რომელთა შორისაც გათხოვილმა ქალებმა არ უნდა იმრუშონ, ხოლო ქალიშვილებს შეუძლიათ, სურვილისამებრ, ვისთანაც სურთ, იმასთან გაიყონ სარეცელი... გარდა ამისა, თუკი ვაჭარს ცოლი მოჰყავდა, ჯერ ქორწილში მონვეულ ყველა ვაჭარს უნდა დაემყარებინა სექსუალური კავშირი პატარძალთან და რაც უფრო მრავლად იქნებოდნენ ისინი, მით უფრო დიდი პატივი იყო მისთვის, რადგანაც ეს მონმობდა მის ჯანმრთელობას და შესაძლებლობებს, არის ხალხი, რომელიც, როგორც მაიმუნები, სიამოვნებით კლავს კბილებით ტილებს, მაგრამ ფრჩხილებით მათი გაჭყლეტვა საზიზრობად მიაჩნია; არის ტრადიცია, როცა მამები საკუთარ შვილებს, ქმრები კი ცოლებს სტუმრებს მიჰგვირან თანხის საფასურად; ზოგიერთ ტომში ვაჟი ვალდებულია მოკლას მოხუცი მამა; ხოლო ხანდაზმული კაცები თავიანთ ცოლებს უთმობენ ახალგაზრდებს ვნებათა დასაცხრომად; არის ისეთი ქვეყანაც, სადაც ქალები კალთებზე ატარებენ ფოჩებს ღირსების ნიშნად და ამით საზოგადოებას აუნყებენ, თუ რამდენ მამაკაცთან ჰქონდათ კავშირი ცხოვრების მანძილზე... ამის საპირისპიროდ ცნობილია ის ფაქტიც, რომ კუნძულ ხიოსზე 700 წლის მანძილზე არც ერთი შემთხვევა არ მომხდარა ქალისა და ქალიშვილის წესიერების შეზღუდვისა...

არის ხალხი, რომელთა შვილები სცემენ მამებს, რადგანაც თავის დროზე მამები სცემდნენ თავიანთ მამებს, ეს უკანასკნელნი კი წინაპრებს და ა.შ. ე.ი. დამკვიდრებული იყო მამათა ცემის ტრადიცია.

ერთ მაგალითსაც მოვიხმობთ და ამით დავამთავრებთ: დარიოსმა ჰკითხა რამდენიმე ბერძენს: რის ფასად დათანხმდებოდნენ გადმოელოთ ინდოელების ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ისინი საკუთარ მიცვალებულ მამებს ჭამდნენ (ისინი ფიქრობდნენ, რომ არ არის უკეთესი განსასვენებელი, ვიდრე ახლობლების შინაგანობა; ზოგიერთნი კი მიცვალებულებს თხრიდნენ, ზედდნენ, ვიდრე ფაფის ფორმას არ

მიღებდა, მერე ღვინოში ურევდნენ და ისე სვამდნენ); ბერძენმა უპასუხეს, რომ ამას არ იზამდნენ არავითარი სიკეთისთვის ამქვეყნად. მაგრამ, როცა დარიოსმა მოინდომა, დაერწმუნებინა ინდოელები, უარი ეთქვათ დამარხვის თავიანთ წესზე და გადმოელოთ ბერძენების ადათი, რაც მიცვლილი მამის ცეცხლზე დანვას გულისხმობდა, მათ აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა.

მართალია, ზემომოხმობილი ფაქტები გადმოგვცემს ინდოელი ტომების ტრადიციებს, კერძოდ, პირველყოფილ ბუნებაში მცხოვრები ხალხებისა, რომელთაც ე.წ. ცივილიზაციასთან შეხება არ აქვთ, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის ისინი საინტერესონი არიან შემდეგ გარემოებათა გამო: „ჯერ ერთი, ნათლად გადმოგვცემენ სხვადასხვა ხალხთა განსხვავებულ და სპეციფიკურ ტრადიციებს; მეორეც, გვარწმუნებენ, თუ რა მყარად არის გამჯდარი ეს ჩვევები ამა თუ იმ ტომის ცნობიერებაში; მესამეც, ამ ნორმების მოშლა და დარღვევა დიდ ცოდვად ითვლებოდა და გარკვეული მორალური მოდელის მნიშვნელობას იქნდა; მეოთხე, ეს მორალური საწყისები მთლიანად იყო დაკავშირებული საზოგადოების განვითარების დონესთან, ცხოვრების წესთან და გათავისებულ ტრადიციებთან. და ბოლოს, მიუხედავად დროთა დიდი დაშორების, განსხვავებული კულტურის და ტრადიციებისა, მაინც შეიძლება ზოგიერთი მსგავსების პირველი ღამის უფლება ქართულ სინამდვილეში სულ ერთი საუკუნის წინ იქნა უგულვებელყოფილი, ხოლო ევროპელი ცივილიზებული ხალხები, განსაკუთრებით ბოლო ხანს, არავითარ ყურადღებას არ აქცევენ გაუთხოვარი ასულების აღვირახსნილ ცხოვრებას, თუმცა გათხოვილთ უფრო მეტ თავდაჭერილობას სთხოვენ. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მოკლედ მოვჭრი, რომ ცივილიზაციას ზიარებულ ხალხთა შორისაც არსებობს მორალურ ხედვათა განსხვავებულობა, რაც ნაციონალურ ხასიათთა, ტრადიციათა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილებით არის განპირობებული. ამიტომაც სასვებით ბუნებრივია, რომ ძველი ბერძენების ზნეობრივი პრინციპები განსხვავდებოდა რომაელთა მორალური

კრედოსაგან, ნარმართული ზნეობა — ქრისტიანული მორალისაგან, შუა საუკუნეების ცხოვრების წესი — დღევანდელობისაგან. მაგრამ ისიც ბუნებრივია, რომ განსხვავებულ მორალურ სისტემებში იყო საერთო ორიენტირები და პოსტულატები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ცივილიზებული კაცობრიობისათვის ერთიანად მისაღები და მოსაწონი გახლდათ.

საერთოდ, „საკაცობრიო ეთიკის“ შექმნაში ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის ბერძნულ მითოლოგიას და ნარმართულ ფილოსოფიას. არქაული პერიოდებიდან მოყოლებული, ბერძნულ ლიტერატურაში უკვე ყურადღება გამახვილებულია ეთიკურ პრობლემებზე, კერძოდ, ჰესიოდე (ძვ. წ. VIII ს-ის ბოლო — VII-ის დასაწყისი) თავის დიდაქტიკურ პოემებში (იხ. მაგ., „შრომა და დღეები“) გვესაუბრება სიცრუესა და სიმართლეზე, სინდისსა და სირცხვილზე... მისი აზრით, ქვეყნიერება თანდათან მიექანება ბნელეთისაკენ და ხსნა მხოლოდ სამართლიანობის დამკვიდრებაშია და მისთ... ბუნებრივია, ეთიკური მოტივი გამოკვეთილია კლასიკური პერიოდის ლიტერატურულ ქმნილებებში — ტრაგედიებსა და კომედიებში. მაგრამ ეთიკურ მოძღვრებას საფუძველს უყრიან სოკრატე, პლატონი და არისტოტელე, რომელსაც „მეცნიერული ეთიკის“ შექმნელად მიიჩნევენ, ალბათ, სამართლიანადაც, რადგან ეთიკის არსის გარკვევას მან სპეციალური ტრაქტატები მიუძღვნა (ნიკომაქეს ეთიკა, ევდემის ეთიკა, დიდი ეთიკა), რომლებშიც თეორიულ დონეზეა განხილული მორალურ-ზნეობრივი პრობლემები. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ეთიკური საკითხი, რომლებსაც არისტოტელე თეორიულად იხილავს, პლატონის დიალოგებში უკვე იყო სხვადასხვა კუთხით გაშუქებული. მაგრამ ამჯერად ამ საკითხზე მსჯელობა შორს წაგვიყვანდა და ნაშრომის კვლევის მიზანს აგვაცდენდა.

ჩვენ მხოლოდ გვსურს აღვნიშნოთ ის მორალური პოსტულატები, რომლებიც ნარმართულმა ბერძნულმა კულტურამ შესთავაზა კაცობრიობას, ერთგვარად უნივერსალურ ხასიათს ატარებდნენ და ყველა მეტნაკლებად ცივილიზებული საზოგადოების, ტომისა თუ ერისათვის მისაღებ-გასაზიარებელი იყვნენ.




„მეშვიდე დღის ადვენტიზმის“ ტრიუმფალური მსვლელობა საქართველოში,



ანუ „ზეხიურ გამოქიებათა“ სასამართლო, ჯოჯ ბუშის ფაქრიტაბი და მათი ქართველი აპოლოგეტაბი

სექტათა უმრავლესობა, რომელიც ქრისტიანობას გამოეყო და მის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ მძლავრ იარაღად იქცა, სათავეს ამერიკის კონტინენტიდან იღებს. ასე იყო „იელოვას მონმეების“ შემთხვევაშიც, ასე არის „მორმონებისა“ და „ადვენტიზმის“ შემთხვევაშიც, რომლებიც საქართველოში ოფიციალურად ორი წლის წინათ დარეგისტრირდნენ, როგორც „მეშვიდე დღის ადვენტიზტი ქრისტიანების ეკლესია“. მის პრეზენტაციასა და საზეიმო გახსნას თბილისში 2009 წლის სექტემბერში ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები უმრავლესობიდან, თითქმის ყველა უნივერსიტეტის ლექტორი, განათლების სამინისტროს მესვეურები და, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ადვენტიზტური ეკლესიის პრეზენტაციაზე აჩვენეს ვიდეო-რგოლი, სადაც აშშ-ის ექს-პრეზიდენტი ჯორჯ ბუში თბილი სიტყვებით მოიხსენიებს ადვენტიზტების ეკლესიას.



დღეს საქართველოში ადვენტიზტური ეკლესია სახელისუფლო წრეების პატრონაჟითა და საქართველოში ჯერ კიდევ დარჩენილი ბუშის ყოფილი ადმინისტრაციის წევრების ხელშეწყობით მოქმედებს. არადა, ეს ის სექტაა, რომელიც ჯერ კიდევ 200 წლის წინათ მთელ საქართველოს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა და რომელმაც თავი შეირცხვინა არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ იმდროინდელ მსოფლიოში.

ადვენტიზტების პირველი გამოქიება საქართველოში

ადვენტიზტების სწავლება სათავეს იღებს XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ევროპელი ღვთისმეტყველების — იუნგ-მილინგის, იოსებ ვოლფის, ბენგელისა და გენცეპეტერის ნაშრომებიდან. ამ ოთხეულიდან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა დასავლეთ ევროპაში იუნგ-მილინგის ნაშრომები, რომლებშიც პირდაპირ იყო მითითებული მეორედ მოსვლის ადგილი და თარიღი — 1836 წელი, ამიერკავკასია.

სწორედ ამ „წინასწარმეტყველებას“ დაუჯერეს გერმანელმა სექტანტებმა ვიურეუმბერგიდან, რომელთა რიცხვი 7 ათასზე მეტი იყო და მე-19 საუკუნის დასაწყისში ემიგრირება განახორციელეს რუსეთში.

ერთი წლის შემდეგ კი ამიერკავკასიაში გადმოვიდნენ იმ იმედით, რომ მეორედ მოსვლას საქართველოში შეხვდებოდნენ. ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ მათი იმედები არ გამართლდა.

მოგვიანებით გამოჩნდნენ ახალი ღვთისმეტყველები, რომლებიც გამოდიოდნენ იმის წინასწარმეტყველებით, რომ სამყარო მალე დასრულდებოდა და ასახელებდნენ თარიღს. ამ სწავლებამ, ცხადია, გავლენა იქონია მთელი რიგი სექტების ჩამოყალიბებაზე. მაგრამ ყველაზე ადრე ვიურეუმბერგელი სექტანტების იდეამ მოახლოებული მეორედ მოსვლის შესახებ ამერიკაში ჰპოვა ნოყიერი ნიადაგი და რეალურად სექტის ნამდვილი ისტორიაც სწორედ იქედან იღებს სათავეს.

პირველი წინასწარმეტყველება და ზეციურ გამოქიებათა სასამართლო

ადვენტიზმს ჩასახვიდანვე ჰქონდა პრეტენზია ე. წ. გამწმენდ რელიგიაზე, რომელიც თითქოსდა აალორძინებდა ადრეული ქრისტიანობის ტრადიციას. მათი თქმით, ადვენტიზმს უნდა გაეთავისუფლებინა ქრისტიანული სარწმუნოება ველური ცრურწმენისგან, რომელთაც დაამახინჯეს ქრისტიანობის პირველსაწყისი არსი, გამოდევნეს ქრისტიანული სული ეკლესიიდან, რამაც საბოლოო ჯამში რწმენის სიმწირე გამოწვია.

ადვენტიზტების სექტის ფუძემდებელი და ადვენტიზმის მამა გახლდათ უილიამ მილერი. 1831 წელს ნიუ იორკის შტატის ერთ-ერთ პატარა გაზეთში დაიბეჭდა სენსაციური განცხადება, რომელმაც მთელი ამერიკა შოკში ჩააგდო. გაზეთი იტყობინებოდა, რომ ფერმერი ქვემო გემპტონიდან, ვინმე უილიამ მილერი, ბაპტიზტურ თემთან თავის სახალხო ქადაგებისას ასახელებს მეორედ მოს-

ვლის ზუსტ თარიღს. მისი გამოანგარიშებით, მეორედ მოსვლა მოხდებოდა 12 წლის შემდეგ, კერძოდ 1843 წელს. დედამინა გაინმინდებოდა უნმინდურებისგან, ანუ გადარჩებოდნენ მხოლოდ ადვენტიტები!

ერთი სიტყვით, ამერიკამ ინამა რა მილერის ეს ფანტაზიები, მისმა სახელმა მოიარა არა მარტო მთელი ამერიკა, არამედ ევროპის ქვეყნებსაც გადასწვდა და აზიამდეც კი მიანდა. ეგ არის მხოლოდ, ევროპული სექტანტები 12 წლის ვასვლას არ დაელოდნენ და არც მილერს დაუჯერეს. მათ თავიანთი გურუ ჰყავდათ იუნგ-შილინგის სახით და მისი ნაშრომებიდან ამოკითხული თარიღის მიხედვით, 1836 წელს საქართველოში ჩამოვიდნენ მეორედ მოსვლის შესახებდრად. 1836 წელს არაფერი მომხდარა, რამაც ამერიკელი წინასწარმეტყველის — მილერის ავტორიტეტი კიდევ უფრო გაზარდა.

უილიამ მილერის მიმდევრებს დაარქვეს „ადვენტიტები“, ანუ „მეორედ მოსვლის მიმდევრები“. („ადვენტიტუს“ ლათინურად ნიშნავს მეორედ მოსვლას).

როგორც ჩანს, მილერმა თავად უწყოდ თავისი არგუმენტების სიმყიფე, ამიტომაც მან დამატებით მტკიცებულებებს მიმართა და აქაც ბიბლია მოიშველია. ბიბლიაში წერია, რომ მეორედ მოსვლას განსაკუთრებული ნიშნები უძღვის წინ. მილერმა დაიწყო ამ ნიშნების ძებნა და „მიაგნო“ კიდევ — ეს იყო 1833 წლის 13 ნოემბერს ლისაბონის დიდი მინისძვრა და 1780 წლის ვარსკვლავების უჩვეულო ცვენა და მზის დაბნელება.

ადვენტიტებს სხვა რელიგიის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ — ბაპტისტები, მეთოდისტები, სხვადასხვა პროტესტანტული მიმდინარეობების მიმდევრები. ფაქტობრივად, ადვენტიზმი პროტესტანტიზმის ერთ-ერთი ფორმაა და მხოლოდ რიგ საკითხებში განსხვავდება პროტესტანტიზმის დანარჩენი განმტოებებისგან. რაც უფრო ნაკლები დრო რჩებოდა მეორედ მოსვლამდე, მით უფრო მეტი ადამიანი ექცეოდა ადვენტიტების ზეგავლენის ქვეშ. მილერის მიმდევრები გაძლიერებულად ემზადებოდნენ 1843 წლის 21 მარტისთვის. აი, დადგა მილერის მიერ ნაწინასწარმეტყველები დღე. ათასამდე მორწმუნე თეთრად შემოსილი ყვავილებით ხელში გარეთ გამოვიდა და მთას მიაშურა.

ისინი უყურებდნენ თეთრ ღრუბლებს, მაგრამ არაფერი არ მომხდარა.

ადვენტიტები განრისხდნენ და აღშფოთდნენ, მაგრამ მილერი ფარხმალს არ ყრიდა. მან თქვა, რომ მე მანამდე ვინინასწარმეტყველე, რომ, თუ მეორედ მოსვლა არ მოხდება 1843 წელს, ის მოხდება 1844 წელს. ადვენტიტებმა კიდევ ერთი წელი დაიცადეს და 1844 წლის 21 მარტს კიდევ ერთხელ Y გამოვიდნენ თეთრ სამოსში გამონყობილები ყვავილებით ხელში. მაგრამ არც ამჯერად მომხდარა რამე.

ამერიკული პრესის ცნობით, ამან ერთობ შეაშფოთა უილიამ მილერი, რომელმაც, როგორც იქნა, აღიარა, რომ იგი შეცდა. შეცდა არა მარტო გამოთვლებში, არამედ საერთოდ, შეეშალა რალაც-რალაცები, მაგრამ ამჯერად მისმა მიმდევრებმა არ მონდომეს ფარ-ხმლის დაყრა. მათ გადაწყვიტეს, დახმარებოდნენ თავიანთ მასწავლებელს. მილერის ერთერთმა მოწაფემ, გვარად სნოუმ, განაცხადა, რომ უილიამ მილერმა უბრალოდ პატარა შეცდომა დაუშვა და მეორედ მოსვლა კიდევ ნახევარი წლით დაიგვიანებსო — იგი მოხდება 1844 წლის 22 ოქტომბერს. მაგრამ ვინაიდან არც ამჯერადაც არაფერი არ მომხდარა და ადვენტიტები მთელი ამერიკისა და ნახევარი ევროპის დასაცინი გახდნენ, მათმა რიგებმა შეთხელება იწყო. ადვენტიტები ამას იმით ხსნიდნენ, რომ უფალს უბრალოდ ამით მათი ერთგულების გამოცდა უნდოდა.

მილერის მიერ დასურათხატებული პერსპექტივა უკეთეს სამყაროში მოხვედრისა იმდენად მიმზიდველი იყო, რომ ძნელი იყო მასთან განშორება. ამიტომაც ადვენტიტთა გარკვეულმა ნაწილმა არ მონდომა მასთან განშორება და მწარე გაკვეთილების შემდეგ ერიდებოდნენ კონკრეტული პროგნოზების გაკეთებას. ისინი ამბობდნენ, რომ მეორედ მოსვლა კარზეა მომდგარი, მაგრამ ზუსტი თარიღის განსაზღვრა შეუძლებელიაო.

სულ მალე, სექტის წარუმატებლობა დაეიწყებას მიეცა და მის მიმდევართა რაოდენობა ისევ გაიზარდა. მაგრამ ამჯერად მოხდა განმტოება — ბიბლიური ტექსტების სხვადასხვანაირად გაგებამ სექტა დაყო და წარმოიშვა ადვენტიზმის რამდენიმე მიმართულება: „ადვენტიტი ქრისტიანების ეკლესია“, „ევანგე-

ლისტური ადვენტიტები“, „სიცოცხლისა და მეორედ მოსვლის საზოგადოება“, „მომავალი საუკუნის ადვენტიტები“ და „მეშვიდე დღის ადვენტიტები“. ამ მიმდინარეობათა შორის ყველაზე მსხვილი შტო გახდა „მეშვიდე დღის ადვენტიტების“ სექტა. ასე და ამრიგად, უილიამ მილერის სახელით სრულდება ადვენტიზმის ისტორიის პირველი ეტაპი და იწყება ახალი ეტაპი, რომელსაც ასპარაზზე გამოჰყავს მეორე წინასწარმეტყველი, რომლის მოღვაწეობაც „მეშვიდე დღის ადვენტიტების“ სექტის ჩამოყალიბებასა და განვითარებას ეფუძნება.

მეორე წინასწარმეტყველება და კალვინისტიკაზე აბაპული რეალიზა

დადგა ახალი ეტაპი ადვენტიზმის ისტორიაში. ამ პერიოდში რელიგიური მოძრაობის სათავეში დგება მილერის მიმდევარი ქალბატონი — ელენა უაიტი. ეს ქალი, ადვენტიტების თქმით, უფალმა აირჩია, რათა თავის ხალხს უფლის ნება ამცნოს. ამ ქალ-წინასწარმეტყველს სექტის წევრები დღემდე უწოდებენ „სპეციალურ ბელადს“, ხოლო მის ნაწერებს მიიჩნევენ წმინდა წერილებად და ბიბლიას უთანაბრებენ. სჯერათ, რომ ელენა უაიტს უფალი შთააგონებდა.

ელენა უაიტი დაიბადა 1827 წელს აშშ-ში, ქ. გორხემში, ღარიბი მექედის ოჯახში. ბავშვობაში მიიღო რელიგიური განათლება. 1846 წელს მქადაგებელ ჯეიმს უაიტს გაჰყვა ცოლად და აქედან მოყოლებული იწყება მეუღლეთა აქტიური რელიგიური მოღვაწეობა. სულ მალე ელენა უაიტი ხდება აღიარებული სულიერი ბელადი „მეშვიდე დღის ადვენტიტებს“ შორის.

თავისი ნიგნების წინასიტყვაობაში, რომელიც დიდი ტირაჟებით გამოიცემოდა, ეს ქალბატონი ირწმუნებოდა, რომ არაფერს იგონებდა და მხოლოდ იმ სიტყვებს გადმოსცემდა, რაც ხილვების დროს ესმოდა. სწორედ ელენა უაიტის ხილვები უდევს საფუძვლად „მეშვიდე დღის ადვენტიტების“ სარწმუნოებას, საკულტო რიტუალებსა და თემთა ხელმძღვანელების მითითებებს. სხვა საკითხია, ჰქონდა თუ არა ელენა უაიტს საერთოდ ხილვები? და თუ ჰქონდა, შეიძლება თუ არა ისინი ჩართვალს წინასწარმეტყველებად? იყო თუ არა ის ნიშნები ზემოდან, თუ

ეს იყო რელიგიური ფანატიკოსის ტყუილები, რომელსაც უაიტი იყენებდა ზეგავლენის მოსახდენად მორწმუნეებზე?

ჯერ კიდევ ელენა უაიტის სიცოცხლეში გამოითქმებოდა ეჭვები მისი ხილვების სანდოობაზე. დიდ ინტერესს იწვევდა ფაქტები შეკრებილი დასავლეთ გერმანელი ისტორიკოსის — კ. ჰიუტენის მიერ. ეს ფაქტები სინათლეს ჰფენს ელენა უაიტის ხილვების ხასიათს. ჰიუტენის განმარტებით, წინასწარმეტყველი ქალბატონის პირველი ხილვები, რომელიც მის მრავალჯერ გამოცემულ თხზულებათა წიგნში — „ხილვები და ცდები“ არის აღწერილი, არა ერთხელ არის ზედმინეებით რედაქტირებული, თანაც ყოველ მომდევნო გამოცემაში რამდენიმე ადგილი საერთოდ ამოღებულია.

კ. ჰიუტენის ყველაზე მთავარი საფუძველი, რომელიც უარყოფს ელენა უაიტის ხილვებს, ის არის, რომ იგი ადვენტიისტი ქალის წინასწარმეტყველებას პლაგიატში ადანაშაულებს. ეს ყველაფერი საკმარისი იყო იმისთვის, რომ გაბათილებულიყო ელენა უაიტის წინასწარმეტყველებანი, მაგრამ, მისი მიმდევრები, დღემდე ბრმად მიჰყვებიან მას და მის მიერ დაწერილ ისე იღებენ, როგორც კანონს.

ელენა უაიტმა შეიმუშავა სისტემატიზირებული სწავლება, რომლის საფუძველშიც დევს მეორედ მოსვლის რწმენა. „მეშვიდე დღის ადვენტიისტი“ კი მათ იმიტომ უწოდებს, რომ ელენა უაიტმა დაადგინა, რომ ადვენტიისტებს აუცილებლად უნდა ეზიებოდნენ კვირის მეშვიდე დღე — შაბათი და არა პირველი დღე, კვირა. ესეც ხილვების საფუძველზე, რა თქმა უნდა. უაიტის მიმდევრებმა მიიღეს მითითება და 1847 წელს დაიწყეს მისი აღნიშვნა. რა თქმა უნდა, შაბათის აღნიშვნა არ იყო არც ახალი და არც ორიგინალური. მაგრამ, ადვენტიისტები დღემდე ამტკიცებენ, რომ მათ პირველმა ალადგინეს ეს მცნება. ელენა უაიტი თვლიდა მეოთხე მცნებას ცენტრალურ მცნებად და აქაც ხილვებს დაეყრდნო. ეს არ იყო შემთხვევითი, იმიტომ, რომ ელენა უაიტის სწავლება მნიშვნელოვნად ეყრდნობოდა ძველი აღთქმის ტრადიციებს.

პირვანდელი ქრისტიანობის აღდგენის ლოზუნგით მეშვიდე დღის ადვენტიისტებმა ფართო მოღვაწეობა გაშალეს. მათ ჯერ კიდევ ელენა



უაიტის ხელმძღვანელობით დაიწყეს ე.წ. გამსვლელი მქადაგებლების მომზადება, რომელთაც დედამიწის სხვადასხვა მხარეში უნდა ექადაგათ ადვენტიზმის იდეები.

„მეშვიდე დღის ადვენტიისტების“ მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სანიტარული რეფორმა. ყველა ადვენტიისტს დაევალა, რომ საკუთარ და ახლობელთა ჯანმრთელობაზე ეზრუნათ. „მეშვიდე დღის ადვენტიისტები“ მე-19 საუკუნის 50 წლებამდე არ იყვნენ გაერთიანებული ერთიან ორგანიზაციაში, მხოლოდ 1853 წელს ელენა უაიტის მიერ ადვენტიისტები ოფიციალურად გაფორმდნენ, ანუ დარეგისტრირდნენ როგორც ორგანიზაცია. 1860 წელს გაიმართა ადვენტიისტთა ყრილობა და მასზე პირველად იქნა მიღებული ორგანიზაციის სახელწოდება „მეშვიდე დღის ადვენტიისტები“. დარეგისტრირებიდან ერთი წლის შემდეგ, ადვენტიისტურ გამოცემებში გამოქვეყნდა მომავალი ორგანიზაციის პროექტი. 1861 წელს შეიქმნა ადვენტიისტურ თემთა მიჩიგანის კავშირი. 1863 წლის 20 მაისს ბეტლ-კრიკში გაიხსნა „მეშვიდე დღის ადვენტიისტების“ პირველი გენერალური კონფერენცია, სადაც წარმომადგენლებმა დაადგინეს სექტის წესდება და შეიმუშავეს ორგანიზაციული სტრუქტურა. სექტის ხელმძღვანელობა უნდა ეკისრა მსოფლიო კავშირის საბჭოს. კონფერენციამ მიიღო რწმენის სიმბოლოები, რომელიც ელენა უაიტის მიერ იყო შემუშავებული.

ასხნა მოეძებნა იმ ლაფსუსაც, რაც მოხდა 1844 წელს, როდესაც მეორედ მოსვლა არ მოხდა. ეს ასხნეს შემდეგნაირად, რომ მეორედ მოსვლა სინამდვილეში მოხდა, მაგრამ არა დედამიწაზე, არამედ ცაზე წმინდათაწმინდაში და იქ დაიწყო „გამოძიებათა სასამართლო“, რომელიც გარდაცვლილ და ცოცხალ ადამიანთა ბედს

იკვლევდა. ელენა უაიტის მეთავეობით ადვენტიისტები საშინელ სამსჯავროს ელოდნენ 1912-1913 წლებში. ვინაიდან და რადგანაც, მეორედ მოსვლა არც ამჯერად განხორციელდა, ადვენტიისტებმა განაცხადეს, რომ ზეცაში მიმდინარე „გამოძიებათა სასამართლო“, რომელიც 1843 წელს დაიწყო, სჭირდებოდა 70-100 წელი. ასე რომ, მეორედ მოსვლის თარიღი გადავიდა 1932-33 წლებში. აქ ადვენტიისტები დაემთხვენ თავის გამოანგარიშებაში ებრაელი რაბინების თარიღს, რომლებიც თავისი მესიის მოსვლას სწორედ ამავე წლებში ელოდნენ. ადვენტიისტების ბოლო წინასწარმეტყველება მოვიდა 1995 წელზე, რომელიც ასევე ებრაელი რაბინების წინასწარმეტყველებას დაემთხვა. ამჯერადაც — არაფერი!

ადვენტიისტების მეორე გამოჩენა საქართველოში

სექტა, რომელიც მთელი თავისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე მეორედ მოსვლის თარიღების დადგენითა და შემდეგ მისი გადათქმით არის დაკავებული, რომლის სწავლებაც ფსიქიატრების მიერ არაერთგზის შემონმეული ქალის ჰალუცინაციებს, ე.წ. ხილვებად სახელდება, ეყრდნობა და რომელიც უკვე რამდენიმე მიმდინარეობად არის გახლეჩილი, „ვარდების რეგოლუციის“ შემდეგ საქართველოში დარეგისტრირდა.

2008 წლის 26-30 მაისს თბილისში „მეშვიდე დღის ქრისტიანი ადვენტიისტების ეკლესიის“ მისიაში ჩატარდა რადიოპროგრამების სასწავლო სემინარი. საქართველოში ჩამოვიდნენ პოსტსაბჭოთა სივრცის ექვსი რესპუბლიკის — აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, მოლდოვას, რუსეთისა და უკრაინის წარმომადგენლები. ადვენტიისტების საერთაშორისო რადიოს რეგიონალური ხელმძღვანელი ტიხომირ ზესტიჩი

და პედაგოგი რეი ალანი რაიდოტე-ლეცენტრის „იმედის ხმის“ დირექტორის დერგეი კუზმინის თაოსნობით ატარებდნენ არა მარტო თეორიულ, არამედ პრაქტიკულ მეცადინეობებსაც. სემინარი ხუთი დღის განმავლობაში ტარდებოდა თბილისში, ადვენტისტების საერთაშორისო რადიოს რეგიონალურმა ხელმძღვანელმა ტინომირ ზესტიჩმა წაიკითხა ლექცია იმის შესახებ, რომ თანამედროვე პირობებში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ქვეყანაში არ არის იმის შესაძლებლობა, რომ ხალხს პირდაპირ მიმართო. მაგრამ რადიოტალღებს არ აქვს საზღვრები. იქ, სადაც ვერ მივა დღეს მქადაგებელი ანდა მისიონერი, იქ მივა რადიოტალღა. თავის დროზე ამ მიზნით იქნა ორგანიზებული რადიოსტუდიები, სადაც ადგილობრივი ენაზე მზადდებოდა და გადაიცემოდა გადაცემები. მათში საუბარი იყო ბედნიერ ოჯახურ ურთიერთობებზე, ცხოვრების ჯანმრთელ სტილზე და ა.შ. ტინომირ ზესტიჩის განმარტებით, ამ მხრივ, მოლდავეთში, რუსეთში და უკრაინაში დაგროვილია დიდი გამოცდილება. იქ მოქმედებს დაუსრულებელი ექსტრემი ბიბლიის შემსწავლელი სკოლები. რაც შეეხება ამიერკავკასიის ქვეყნებს, კერძოდ კი საქართველოს, იგი მხოლოდ ახლა იწყებს განვითარებას.

განვითარებაში საქართველოში ჩამოსული ადვენტისტები გულისხმობდნენ შემდეგს: მაგალითად, სემინარის თითოეულ მონაწილეს არა მარტო ის უნდა ესწავლა, როგორ უნდა აიღოს ინტერვიუ, როგორ ჩაატაროს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა და მოამზადოს სხვადასხვა ფორმატის რადიოგადაცემა, არამედ ჰქონდეს შესაძლებლობა, დამოუკიდებლად 20-წუთიანი გადაცემის მომზადებისა თავის მშობლიურ ენაზე უახლესი კომპიუტერული პროგრამების საშუალებით.

2008 წლის მაისში ჩატარებული ეს სემინარი ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი იყო. ადვენტისტებს აგვისტოს ომამაც კი ვერ შეუშალა ხელი და ყველა წინარე სამუშაო ჩაატარეს იმისთვის, რომ 2009 წლის 30 სექტემბერს, „შერატონ მეტეხი პალასში“ სამთავრობო დონეზე გამართულიყო ადვენტისტური ეკლესიის ოფიციალური პრეზენტაცია. იგი ჩატარდა საქართველოს კონფლიქტოლოგიის ცენტრის ინიციატივით, ამ შეხვედარში მონაწილეობდნენ სხვა-

დასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები, მათ შორის უფლებადამცველი ორგანიზაციები, პარლამენტის წევრები, სხვადასხვა კონფისიების წარმომადგენლები, უნივერსიტეტების ლექტორები, სტუდენტები, რელიგიათმცოდნეები, ექსპერტები და ა.შ.

საპრეზენტაციო პროგრამას უძღვებოდა საზოგადოებრივი კავშირებისა და რელიგიური თავისუფლების ტრანსკავკასიური საუნიონო მისიის წარმომადგენელი სერგო ნამორაძე. „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტების ეკლესიის“ პრეზენტაცია რამდენიმე ბლოკს მოიცავდა. თბილისში ჩამოსული ადვენტისტების ეკლესიის პრეზიდენტმა ა. ფ. შვარცმა ადვენტისტური მოძრაობის ჩამოყალიბების ისტორია გააცნო ქართულ საზოგადოებას, ასევე მთელ მსოფლიოში ადვენტისტების თანამედროვე მსახურების შესახებ დეტალებზეც ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ადვენტისტური ეკლესიის წარმომადგენლობა არ არის დიდი, მსოფლიო სტატისტიკა განათლების, მედიცინისა და წეროების კუთხით საკმაოდ შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე იმ ვიდეოჩანაწერმა, რომელშიც აშშ-ის ექს-პრეზიდენტი ჯორჯ ბუში თბილი სიტყვებით მოიხსენიებს ადვენტისტების ეკლესიას. პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდა ნუგზარ პაპუაშვილი, რელიგიათმცოდნეობაზე საქართველოში გამოცემული წიგნების ავტორი. მისი გამოსვლის შემდეგ, კათედრიდან გაყვდურდა ადვენტისტური ეკლესიის 28 დოქტრინა. ამის შემდეგ გამოვიდა ადვენტისტების ეკლესიის პრეზენტაციის ჯანმრთელობის განყოფილების ხელმძღვანელი ლედი ხენანოვა და ისაუბრა, რამდენად ბევრს აკეთებს ადვენტისტური ეკლესია ჯანმრთელი ცხოვრების პოპულარიზაციისთვის, აღნიშნა მათი წვლილი უმსხვილესი სამედიცინო ცენტრების სამეცნიერო მიღწევებში. გამოვიდა ასევე საქართველოს ადვენტისტური ეკლესიის ხელმძღვანელი მუნჯ ჟარგალი და ისაუბრა დენილებისთვის დახმარების აღმოჩენის პროექტზე და განმარტა, რომ სოციალური დახმარების სამსახური ადვენტისტური ეკლესიისთვის პრიორიტეტულია.

საზოგადოებრივი კავშირებისა და რელიგიური თავისუფლების ტრანსკავკასიური საუნიონო მისიის წარ-

მომადგენლის, სერგო ნამორაძის პრეზენტაციამ იმის შესახებ, რომ ადვენტისტური ეკლესია საქართველოში თურმე 100 წელს ითვლის, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აუდიტორიაზე და სერგო ნამორაძე მიიწვიეს რადიოპროგრამის რეგიონალურ ჩანერაზე, რომელიც მთლიანად უნდა მიძღვნოდა ადვენტისტებს.

პროგრამა იყო საკმაოდ დატვირთული. შესვენებებს შორის გამოდიოდა თბილისის ბავშვთა ქორო და საბავშვო კოლექტივები. ხსენებულ საღამოს „შერატონ მეტეხი პალასის“ საკონფერენციო დარბაზში გამოფენილი იყო სასულიერო ლიტერატურა — ბიბლია, წინასწარმეტყველური წიგნები, ჯანმრთელი ცხოვრების წესისა და საოჯახო ეთიკის წიგნები ქართულ ენაზე. მონაწილეთა ინტერესი გამოიწვია ასევე სტენდებმა ფოტოებით თბილისში რეგისტრირებული ადვენტისტური ეკლესიის ცხოვრებიდან და ადვენტისტური თემებიდან საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

პრეზენტაციის საინტერესო მხარე იყო კითხვა-პასუხი, როდესაც ბევრმა ნაცოიონალმა მალაჩჩინოსანმა თბილი სიტყვები არ დაიშურა ადვენტისტური ეკლესიის მისამართით. განსაკუთრებით აღინიშნა მათი როლი 2008 წლის ომის დევნილთა დახმარების საკითხში. გამომსვლელებმა წარმატება უსურვეს ადვენტისტური ეკლესიის მოღვაწეობას საქართველოში, რომ რელიგიური თავისუფლების პირობებში მათ ის სარგებელი მოუტანონ საქართველოს, რაც მოაქვთ იმ ქვეყნებში, სადაც უფრო მასშტაბურად არიან წარმოდგენილი. ფურშეტის დროს, ტრანსკავკასიური საუნიონო მისიის ეკლესიის ხელმძღვანელები და საზოგადოების წარმომადგენლები უფრო თბილ გარემოში შეხვედნენ ერთმანეთს.

პრეზენტაციის დასასრულს ყველა მონაწილეს დაურგდა პაკეტები წიგნებით ქართულ ენაზე ადვენტისტური ეკლესიის მოღვაწეობის შესახებ. საქართველოს პარლამენტის წევრებმა ისიც აღნიშნეს, რომ მსგავსი შეხვედრები კარგი ნიადაგია საზოგადოებისა და ადვენტისტური ეკლესიის თანამშრომლობისთვის.

ფერეიდნელი ქართველების ანდაზაა: „მეგელი რომ საქათმეში ჩონ ბარტყებს დადებს, ეს იმ ჩონ მამლის ბრალიაო!“

თამარ ქვიციანი

ტიმოთე გაგალი (1703-1764)

მწერალი, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, დიპლომატი, კარტოგრაფი და მხატვარი. ათონსა და იერუსალიმში ნახა და აღწერა ქართული კულტურის ძველი კერები და ამით საფუძველი ჩაუყარა უცხოეთში ქართული კერების შესწავლას.

1729 წლამდე დავითგარეჯის მონასტრის ბერი იყო, შემდეგ იმერეთში მთავარეპისკოპოსად აკურთხეს. 1738 წელს ალექსანდრე V-მ ტიმოთე გაგალი მის მიერვე შედგენილი დასავლეთ საქართველოს რუკებითა და წერილით რუსეთში გააგზავნა ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად, მაგრამ ეს დახმარება ვერ მიიღეს. უკან მომავალი ტიმოთე ჩერქეზებმა დაატყვევეს. ექვსი თვის შემდეგ გამოიპარა და იმერეთში დაბრუნდა.

ქართლის მთავარეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ ჩაება ერეკლე II-სა და ანტონ I-ის სახელმწიფო და კულტურულ საქმიანობაში. მათი ხელშეწყობით, საგანგებო პოლიტიკური მისიით, 1755 წელს სამოგზაუროდ წავიდა კონსტანტინოპოლში, ათონსა და იერუსალიმში.

ტიმოთე გაგალიმ თავისი მოგზაურობა აღწერა თხზულებაში "მიმოსვლა წმიდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა". პოლიტიკურის გარდა მის მოგზაურობას შემეცნებითი მიზანიც ჰქონდა. გაგალიმ გადაცურა შავი, მარმარილოს, ეგეოსის ზღვები, მონახულა მცირე აზია, პალესტინა და მრავალი ქალაქი. ათონსა და იერუსალიმში ნახა და აღწერა ქართული კულტურის ძველი კერები და ამით საფუძველი ჩაუყარა უცხოეთში ქართული კერების შესწავლას.

თავისი შრომები გაგალიმ გააერთიანა კრებულში, რომელსაც შემდეგ "ტიმოთიანი" უწოდეს. ამ კრებულში "მიმოსვლის" გარდა შესულია ისტორიულ-პოლიტიკური, დოგმატური და რელიგიური თხზულებები. სამივე თხზულება გამსჭვალულია ანტიმაჰმადიანური სულისკვეთებით.

ოთხი წლის შემდეგ მოგზაურობიდან ქართლში დაბრუნებულს ანტონ I რუსეთში გაძევებული დახვდა. სინოდმა ტიმოთეს საცხოვრებლად ასტრახანი მიუჩინა, იქვე გარდაიცვალა, დაკრძალულია ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში.

ამ ავტორს ფართო მკითხველი საზოგადოება ნაკლებად იცნობს, უფრო სპეციალისტთა (ფილოლოგთა და ისტორიკოსთა) შორის არის ცნობილი. მეტწილად იმასთან დაკავშირებით მოიხსენიება ხოლმე, თითქოს მტრულად ყოფილიყოს განწყობილი რუსთაველის მიმართ. ამ საკითხით დაინტერესებულებს მართებთ, გაცნონ ე. მეტრეველის გამოკვლევას წიგნში: „ტიმოთე გაგალი, მიმოსვლა“, (1956, გვ. 046-062).

მიმოსვლა (ფრაგმენტი)

გამოვიდა ორი თუ სამი თვე. ერთი საკვირველი განსაცდელი მოილო ჩემზედან სოფელმან. ფრანგნი პატრები, რომელნიცა განიყარნენ ბრძანებითა მეფეთათა და კრებითა პატრები, და წარვიდენ ახალციხეს. აქ დაშთომილნი სამწყსონი მათნი თურმე ევედრნენ დედოფალს ანახანუმს და მრავლის მირთმევით დააჯერეს იგი და მისი დაი ანასტასია, რომე:

— საყდარი მოგვეციტ, პატრები მოგვეგვარეთ და ამდენს მოგართმევთო.

იგინი მეფეს შეადგნენ. მეფემ დიდად სამართლიანი სიტყვა ზძანა:

— როგორც კრებით განგვიყრია, კრება იქმნეს, და თუ იტყვიან, მეც ნებას დავრთაო. და ჩემს შვილს მეფეს ერეკლეს მივწერ და შევატყობინებ, ნებას მცემს თუ რაო, მაგრამ არა მგონიაო.

იმავე წამს დაუფინეს:

— წიგნი მისწერე და კრებაც დაიბარეო.

ამის დანერა მიბძანეს. დიდად შევწუხდი, უწყის სახიერმან ღმერ-

თმან, ამისთანაებში გარევა არც მომცროს, არც ალა არ მიინდან, მერწმუნენით!

იმ ლაპარაკებში თურმე ფარდს უკან ათანასი თარხნის ბერი იქდგას. წავიდა, ეს ამბავი ბესარიონს მიუტანა, ბესარიონ გაგალიმ, მოძღვარს ზაქარიას, იმან — კათალიკოსს იოსებს. შეიყარნენ და ბატონს მოახსენეს: — ამ საქმეს თუ ხელს მიჰყოფ, ჩვენ კი გაგვეცლებითო.

მე არა რა უწყი ჭეშმარიტად. აიღეს და ეს ბრალი მე დამადგეს. და მეფის ორგულად აღმიარა დედოფალმან და დიდის წყრომით მიწყებოდა წარწყმედისათვის ბევრეულთა ოქროთა და ვერცხლთა, ვინათგან არლარა მოსცეს ქრთამად.

ისმინეთ, რასა მომატყვევებს უბრალოსა და უაზროსა ჭეშმარიტად. შემასმენს მე მეფესა და ფიცით დაარწმუნებს: თუ მე ძლიერისა ტანჯვითა არა ვიტანჯე, სხვანი მრავალსა ორგულებასა იქმენ და მეფეთა არა უჯობნ ესევეითარისა საქმისა გამოუძიებლობა. არამედ მეფე თეიმურაზ, ვინათგან მშვიდ იყო,

არცა იგი ქმნა, რომე რისხვა მოელო, და გულმძიმედ ბრძანდებოდა. რამდენჯერც შეეფიცე, შორს დაიჭირა.

— მე შენს მეტისათვის არავისთვის მითქვამსო და რომ გითხარ, გენყინაო, და ამით სარწმუნოა, რმო შენ ჰქმენო ესენი, — დედოფალმან ბძანის.

და მეფე არას იტყოდა თვინიერ ამისა, რომე:

— არას მემართლებიანო და ჩემი ხვაშიადი რად გასცესო!

მე მაშინ ეს არ ვიცოდი, თუ ათანასისაგან ქმნილ იყო, და ვფიცედი და არ ჯეროდენ. გამოხდა ერთი მსგეფსი. და დღითიღვე მოველოდი წყრომასა და მუქარა მარადლე მესმოდა.

ერთს დღეს ებძანა დედოფალსა: — სალაროში რახტი იყო, რა იქმნაო?

მე მოვახსენე:

— მანდ არისო.

ებძანა:

— ჩემს რახტს არ ვიკითხავ, ელი-საბედის რახტი სად არისო? — მოვახსენე:



— მუხრანის ბატონის ცხენი რომ მოერთმიათ ბატონისათვის პანანას რახტით შეკაზმული, თქვენ რომ მოახსენეთ — თქვენ როგორ იხმარებთ, პანანა არის, სირცხვილია, და ელისაბედისათვის ყმანვილობაში კარგიაო, — აიღევით და იმავ იარაღით და უნაგრით იმის გამდელს მიაბარეთ, თავისს სანოლში ჰქონდათ, სალაროში როდის შემოვიტანათო. ებძანა:

— მართალიაო, მაგრამ გამდელი ასე ამბობსო: გლახას ვათხოვეო და გლახა ამბობსო — მოვიტანე, სალაროს კარი ღია იყო და იქ შევაგდევო.

მოვახსენე:

— მე ერთი ზანდუკი მებარა, თუ იმაში ან თვალი გაკლია, ან მარგალიტი, ან ოქრო, ან ვერცხლი, ან ფარჩა, ის მე მკითხე, და სალაროს საქმე ვისაც მისი კლიტე აბარია, იმას ჰკითხეო.

ამაზე იასაულები გამოესია:

— სთხოვეთ, თუ მოგცესთ, ის არის, თუ არა, დაიჭირეთო.

მოვიდნენ, მითხრეს:

— ბატონის ტუცალი ხარო.

რას ვიქმოდი, ღმერთს მადლობა მივეც. დაჭერილსავით ვიყავი ერთი საათი. წამიყვანეს, იასაულების სახლში დამსვეს. თუ ვინმე მეგობარი მყვანდნენ, შენუხდნენ და მეუბნებთან:

— რომ გთხოვა, ორს იმდენს მივართმევდი და ამას არ მოვინევედიო.

მე კი ვიცი, რის მიზეზით არის ეს ამბავი და თქმისაგან მეშინიან, მაგრამ ვიტყვი: სიკვდილი გვეგონა დედოფლისა, დიდად ავად იყო. მეფეს მოვახსენე:

— ხვალ და ზევ რომ მკითხოთ საქონელი, არა მახარია რა მაგდენი.

გლახას სახლში შევიდა, ბძანა:

— რა დაგემართათ, ასე ამბობს — არას ვაძლეო. დედაჩემმა ცხრას თავის რძალს ერთს დღეს თავს დახურა თვალით და მარგალიტით საყბურ-სარალუჯიო.

ესეც შეიტყო დედოფალმა ჩემგან მოხსენებულად და რაღა მეშველებოდა!

მერმე კათალიკოსი იოსებ და გაბასშვილი ზაქარია ჩასულიყვნენ, ეთქვათ:

— განა არ ვიცით, რაც მიზეზი არისო.

მოლარეთ ხუცობა წაერთმევიანა და ებძანა:

— გაუშვითო!

წამოველ, მარა რაღა მოგახსენო, წმაცვილი კაცი თავმოწონე და მოთაკილე, ამ საქმეზე შესმენილი! დიდად მოვკვდი, რომ უფროსი აღარ იქნებოდა. და იმ დღიდან მოკიდებული ორმოცი დღე გავიდა, კარში აღარ გამოვსულვარ, მამის ჩემის სახლში ჩამოველ და ვიჯექე.

აიკლეს ჩემი თოფი, ხმალი, ბიჭი წამართვეს კარგი მსახური, ელისაბედ ბატონისშვილს აახლეს, წამახდინეს, გამათავეს. მეფეები პატარძელის ციხეს აკეთებდენ, იქ ბრძანდებოდნენ. მიუვიდათ ამბავი — იეგე ქურდობაზე დაიჭირესო. მეფემ თეიმურაზ შორს დაიჭირა:

— ჩემის თვალთ რომ ვნახო, იმისის გულის ამბავი ვიცი, არ დავიჯერებო.

სხვანი ვინცა ვინ ბრძანდებოდნენ, ჩემნი მეგობარნი, მრავალთ ეტირათ, თვითონ იმ დედოფლის შვილს გლახას ბევრი ეტირა, აგრევე — სხვათ. ამ ამბავში მეფეს ერეკლეს მოენერა:

„ჩემი ოქროს ხანჯალი რომ დამეკარგა შარშანწინ, ისიც მაგას ექნებაო. უნდა მომცეს, უნდა მომცეს და უნდა მომცესო! გამოართვითო!“

მოვიდნენ და თხოვნა დამინყეს. დედოფალმა ანახანუმ რომ შეიტყო, დიდის ფიცით ბძანა:

— მე შეეფიცავ მეფეს ერეკლეს, რომ ამან იმისი არა იცოდეს რაო.

ყოელს ასნაფს ჰკითხეს:

— ოქრო ვის მოგყიდათო იესე-მაო?

დიდება შენდა, ღმერთო, როგორ არ გავსქედი! თხოვნისაგან დასცხრენ, მაგრამ ყადაღა იყო, ქალაქის გარეთ არა და სიონს გარეთ ვერ გავიდოდი. ნახეთ, მკვდარს გულს რა დაემართება! ვიცი, რომ არცა რა პირველ მქონებია დანაშაული, რომლისაც მიზეზით რახტი მომიგონეს, არცა რა რახტისა ვიცი, და ეს, რასაკვირველია, ჩემს ჟამში თვალთ არ მინახავს.

ამ განსაცდელეებში ვარ დ სიკვდილი ათასჯერ მინდა. გავხე ავად, ცხელება და ცივება დამანყებინა, მარა უსაზარლეს რა იქნებოდა! ასე გავხე ერთს თვეს, რომ სიკვდილს არა მიკლდა რა.

ცოლი და შვილი კარდანებს მყვანან, იმათგან უფრო მრცხვენია. მსახური წამართვეს, იარაღი წამართვეს, ტუცალი ვარ, ავად ვარ და დღე ყოელ ნასაღსა და ავად



ჩხარის წმ. გიორგისა და მაცხოვრის ეკლესიის (ფრაგმენტი ჟუთათელ მთავარაპისკოპოსის ტიფოთა გაბაზვილის 1737 წლის იმერეთის რუკიდან)

მოპყრობას მოველი. ყმა თუ რამ მყვანდა, აღარ მომიდგა, ცხენები ნახდენ, გაფუჭდენ. ვგდივარ ერთს სახლში, ვიკითხავ ნიგნებსა და ვმადლობ ღმერთსა.

ამაში ძალი დამატანა ცივებ-ცხელებამ და ქვეშაგებში ჩამაგდო, ველარ ვავტანე. სამი-ოთხი დღე რომ გამოვიდა, და სასიკვდილოდ გარდამდევს, აღსარება მათქმევინეს, მაზიარეს. და გამოვესალმე ყველასა, ერთი ანდერძის ნიგნი დავენერე, მაგრამ რაღა ხელს ვყრი.

ბესარიონ შემოვიდა სანახავად. ისე მკვდარი რომ მნახა, უთხრეს:

— პატრების ნიგნზე გაუწყრენო, ამას დააბრალესო, რომ კათალიკოზისა და შენთვის ამას ეთქვასო.

ბესარიონ მთავარეპისკოპოსმა დაიკვილა:

— თარხნის ბერი გამოვგზავნეთ მოსაკითხავად და ბატონი რომ იესეს ამის დანერას ჩუმათ უბრძანებდა, ფარდას უკან იდგა და ესმოდაო. ირბინა, მე მითხრაო, მე — მოძღვარსა და კათალიკოზსაო. აშოროს ღმერთმან, ეს თვალთ არ გვინახავსო!

ჩემის თავის გამართლება იყო და, ვინ უწყის, არავინ ირწმუნოს! ან კვალად დაგიმტკიცებ:

თუ ან ის რახტი, ან ის ხანჯალი ან მომეპაროს, ან მპარვის ამხანაგი ვიყო, ან ვიცოდე რამე, ღმერთმან იუდასთან დამსაჯოს და ჯოჯობეთის მეტი ნურა მომცეს რა. და თუ მართალი ვიყო და არა ვიცოდე რა, ღმერთმან თავისის მონყალებით კურთხევად და წყალობად შემიცვალოს და ჩემს ამდენს მტანჯველს ამ სოფელს და მერმესა მას კეთილი უქმნას და შეუნდოს ყოელივე.



გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში

დასასრული (დასაწყისი იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №2-5)

იოჰან ანტონ გიულდენშტედტი (1745-1781) ნატურალისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი გახლდათ. 1768 წელს იგი პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიაში მიიწვიეს, რათა მონაწილეობა მიეღო აკადემიის მიერ დაგეგმილ ექსპედიციაში. გიულდენშტედტს წილად ხვდა ჩრდილოეთ კავკასია და საქართველო. უცხოელ მოგზაურთა მიერ დატოვებულ ცნობებს ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიის შესასწავლად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მათში მოცემულია უხვი მასალა ქვეყნის სოციალური მდგომარეობის, პოლიტიკური წყობის, ეკონომიკური მდგომარეობის, გეოგრაფიული პირობების, ბუნებრივი სიმდიდრისა და სხვათა შესახებ. ამჯერად გთავაზობთ ცნობილი მოგზაურის, და არა მარტო მოგზაურის, მიერ შეგროვებულ ცნობებს დასავლეთ საქართველოს ულამაზესი კუთხეების: სამეგრელოს, ლეჩხუმისა და სვანეთის შესახებ.

მოკლედ სამეგრელოს შესახებ

ქართული პროვინცია სამეგრელო და მხარეები ოდიში და ლეჩხუმი საქართველოს მეოთხე სამეფოს ქმნიან და თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი მმართველი ჰყავთ, რომელიც დადიანის ტიტულს ატარებს. ახლანდელი დადიანი მართლმადიდებელი ქრისტიანია ჩიქოვანთა გვარიდან (და არა — სამეფო გვარიდან); მართალია, რუსთა რაზმების გამოჩენისას, 1770 წ. მან, ისევე, როგორც ორივე ქართველმა მეფემ, რუსეთის მომხრედ გამოაცხადა თავი, მაგრამ რამდენჯერმე შემჩნეულ იქნა, რომ მოლაპარაკებას აწარმოებდა თურქებთან, რომლებთანაც ის თუმცა ოდესღაც იმერეთის მეფის ვასალად და ყმად ითვლებოდა, უფრო ახლო ურთიერთობაში იყო, ვიდრე ქართველ მეფეებთან. ასე იქცეოდნენ მისი წინაპრებიც. მოკლედ რომ ვთქვათ, ის არ არის კეთილად განწყობილი რუსეთისადმი და იმერეთის მეფე სოლომონთან სასტიკი მტრობა აქვს; ამასთან, მისი მიწები უფრო უკეთ არ არის უზრუნველყოფილი მეზობელთა ძარცვისა და თავდასხმებისაგან, ვიდრე ორივე ქართველი მეფის ქვეყნები. ეს იყო სამი გარემოება, რომელთა გამო მე იძულებული ვხდებოდი, თავი შემეკავებინა ამ ღირსშესანიშნავი და უცნობი მხარეების მოვლისაგან, მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ დიდი სურვილი მქონდა. ქვეყნის ბატონის გან-

საკუთრებული დაცვისა და ამაღის გარეშე აქ მოგზაურობაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. მე მაინც ვიმოგზაურე ამ ქვეყნის საზღვრებზე იმერეთთან; ნაწილობრივ ამ მოგზაურობისას და სხვა დროსაც, უმთავრესად კი ხონის ბაზრობაზე, რომელსაც მეგრელებიც ესწრებიან, დადიანის ქვეყნის შესახებ შევკრიბე ცნობები, რომელთაგან მე აქ მოვიყვან, ჩემის აზრით, ყველაზე უტყუარსა და მნიშვნელოვანს. კაცია დადიანზე გავიგე ისიც, რომ მისი ცოლი იმერელი თავადის ოჯახიდან იყო, რაჭის ერისთავთან, ხოლო მისი და არის იმერეთის მეფის — სოლომონის ცოლი. დადიანი, მისი თავადები და მთელი მხარე მჭიდრო ურთიერთობაში არიან საქართველოს ორივე მეფესთან. ეს მხარეებიც ისევე დასახლებული ქართველებით, სომხებით, თათრებითა და ებრაელებით. აქაც ისეთივე მორჩილებაა, ისეთივე თვითნებური გადასახადები და კანონები, ისეთივე შინამრეწველობა და მათი მოდუნებული წარმოება, ისეთივე საყოველთაო სიღარიბე, როგორც სხვა ქართულ მხარეებში. დადიანი ფულს არ ქრის; მის ქვეყანაში, ისევე, როგორც იმერეთში, მიმოქცევაშია თურქული და სხვა მონეტები. გაბატონებული სარწმუნოება ქართულ-ბერძნულია. სამეგრელოს, ლეჩხუმსა და ოდიშს ჰყავს ეპისკოპოსი, რომელთა ეპარქიას ეს პროვინციები და მხარეები შეადგენენ.

ისინი ემორჩილებოდნენ იმერეთის კათოლიკოსს ანუ პატრიარქს, რამდენიმე წლის წინათ კი დადიანმა, სოლომონ მეფესთან მტრობის გამო, გაათავისუფლა თავისი ეპისკოპოსები ამ დამოკიდებულებისაგან და პატრიარქად დასვა ბესარიონი — რაჭის ერისთავთა თავადური გვარიდან; ღვთისმსახურება წარმოებს ქართულ ენაზე. შედარების მიზნით, ჩემ მიერ შედგენილმა მეგრული სიტყვების „კონამ“ მიჩვენა, რომ ეს ენა უხეში კილოა ქართულ-გურჯისტანულისა, რომელშიც ბევრი უცხო სიტყვაა შერეული. ის დაახლოებით ისეთსავე მიმართებაშია აღმოსავლურ ქართულთან, როგორც ჰოლანდიური — გერმანულთან. ოდიში ლაპარაკობენ მეგრულად, ლეჩხუმში კი — იმერულ-მეგრულ შერეულ დიალექტზე. სამეგრელო მდებარეობს კავკასიის ალპების სამხრეთით, დაბლობზე, ამ მთებსა და მთისწინეთს შორის. სამხრეთით მას რიონი გურიისგან გამოყოფს, აღმოსავლეთით ცხენისწყალი — იმერეთისგან, სამხრეთ-აღმოსავლეთით კირქვიანი მთები ჰყოფენ მას მეგრული მხარის — ლეჩხუმისგან, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს მეგრული მხარე ოდიში (რომელიც გადაჭიმულია შავი ზღვის ნაპირზე, ქედის დასავლეთი ძირიდან ენგურამდე, რომლითაც ის აფხაზეთისგან არის გამოყოფილი), სვანეთის პირდაპირ. სამეგრელოს ველებზე მიედინება: 1. ცხენისწყალი; 2. ნოღელა — ჩრდილოეთით, ხოლო ცივი — ჩრდილო-დასავლეთით, ორივენი ერთდებიან და ერთიან რიონს; ოდიშზე მიედინება: აღმოსავლეთიდან, მთიდან მომავალი მდინარეები, რიონიდან დაწყებული: 3. აბაშა, რომელიც პატარაა. 4. ჩეური, ძალიან დიდი. 5. ტეხენ, დიდი მდინარე; 6. ოჩხომური; 7. ხობისწყალი; 8. ჭანისწყალი და 9. დიდი მდინარე ენგური. ისინი ამ მიმდევრობით უერთდებიან სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ შავ ზღვას. სამეგრელოსა და დადიანის კუთ-



ვნილი ორივე მხარის თავადური გვა-
რებიდან დამისახელეს შემდეგი: ჩი-
ქოვანი; ჩიჩუა, ფალავა, მხეიძე, მიქა-
ძე, დგებუაძე, აფაქიძე.

მეგრელები სამეგრელოს ეძახიან
ქაცარიას; ქაცარო მეგრულად ნიშ-
ნავს „თხას“.

ღარიბული სახლებით, ცხოვრების
საერთო პირობებით, აგრეთვე, ჩაც-
მულობით მეგრელები დიდად არ
განსხვავდებიან იმერლებისგან.

სამეგრელოს აქვს ორი მხარე: 1.
ვაბაშა და 2. ბანძა.

ჩემმა ცნობების მომწოდებლებმა
ამ მხარეთა სოფლები ზუსტად არ
იცოდნენ, შეძლეს შემდეგი ადგილე-
ბის დასახელება:

1. გორდი, პატარა ციხე ცხენის-
წყალზე; 2. მარტვილი, მონასტერი
და ჭყონდიდელი ეპისკოპოსის ად-
გილსამყოფელი; 3. სუჯუნა, სოფე-
ლი დიდი ეკლესიით, აგრეთვე, ეპის-
კოპოსის კუთვნილი; 4. ხუნნი, პატარა
ციხე; 5. ინგურა. 6. ბარდა, 7.
სკურდი, 8. თამაკონი, ციხე, 9. სუნ-
ჩე, 10. ნაგვაზაო. 11. საჭყონდელი,
დიდი სოფელი 500 ოჯახით; იმის ახ-
ლოს რიონი ერთვის ზღვას; 12. თარ-
გამეული; 13. სააფაქიძო; 14. თეკლა-
თი; 15. ჭალადიდი; 16. ზენი; 17. ქვა-
ლონი; 18. ჩაჩგა; 19. კურზუ; 20. თა-
ვია; 21. კურსენი; 22. ჯგალი; 23.
ჯვარი; 24. ნოლა; 25. ნალენჯიხა; 26.
ობუჯი; 27. კვილი; 28. ისმულეთი; 29.
შეხტი; 30. საპატეი; 31. აფსილი; 32.
ხერდილი; 33. კოკული და, ალბათ,
გაცილებით მეტი იყო სოფლები,
რაც მათ არ შეხვედრიათ.

მთლიანად სამეგრელოში ოდიშ-
თან ერთად 10.000 ოჯახია.

მხარე ოდიში

ის მდებარეობს სამეგრელოს ჩრდ-
ილოეთით და დასავლეთით და შავ
ზღვამდეა გადაჭიმული. ჩრდილოე-
თით მას აფხაზეთი ესაზღვრება. მი-
სი მდინარეები უკვე დასახელებუ-
ლია.

მას სამეგრელოსთან ერთად განა-
გებს ერთი მმართველი — დადიანი,
ჰყავს იგივე მოსახლეობა, აქვს იგივე
სარწმუნოება, ენა, კანონები, ისეთი-
ვე მიწა და წარმოება, როგორც სამეგ-
რელოს.

მე დამისახელეს ოდიშის შემდეგი
სოფლები:

1. სენაკი და 2. ხობი; ორივე პატრი-
არქისაა, უკანასკნელში დიდი ეკლე-
სიაა; 3. ხორგა, 4. ხეთა, დიდი სოფე-
ლი. 5. ჭაქვინჯი, ციხე. 6. ზუგდიდი,
არა ცუგდიდი. 7. ჩაისი, ჩაისელი ეპის-

კოპოსის საჯდომი. 8. ნაქალაქევი,
ძველად განთქმული, ახლა გაუდა-
ბურებული ქალაქი. 9. რუხი, არა ბუ-
კი, ციხე ენგურის მარცხენა ნაპირ-
ზე, იყო თურქთა ხელში, ახლა მიტო-
ვებულია.

მხარე **ლენხუმი** იმთავითვე ეკუთ-
ვნოდა იმერეთს, მაგრამ, დიდხანია,
მას მოსწყვიტეს და სამეგრელოს
მმართველთა ხელში ჩავარდა. მიუ-
ხედავად იმერეთის ახლანდელი
(1772) მმართველის, სოლომონ მე-
ფის ძალაუფლების აღდგენისა, გან-
საკუთრებით რუსული იარაღის დახ-
მარებით, ის უკან ვერ დაიბრუნეს,
დარჩა სამეგრელოს, ე.ი. დადიანის
ხელში.

ის მდებარეობს ოკრიბის დასავ-
ლეთით და ჩრდილოეთით და გამო-
ყოფილია მისგან ჩრდილო-დასავ-
ლეთით მდ. ლეხადარით, რომელიც
სამხრეთის მთის შტოდან გამოდის
და დასავლეთ-სამხრეთ-დასავლეთ-
თის დინებით ქუთაისის ზემოთ მარ-
ცხნიდან ერთვის რიონს.

სამეგრელოს დადიანის ამ მხარეს
ანდა პროვინციას ეკუთვნიან ციხე
დღნორისა ლეხადარზე და სოფლე-
ბი ვონშესეისი და უფრო ზევით ჭაშ-
ლეთი, სადაც არის ცნობილი ეკლე-
სია; ჩორთისა, საჩხუური და დღნო-
რისა, ორივე ციხე ერთმანეთის ახ-
ლოსაა, დერჩი და ვორხი.

ეს სოფლები, არსებითად, ეკუთვ-
ნიან იმერულ მხარეს ოკრიბას, მაგ-
რამ ახლა დადიანმა ისინი დაისა-
კუთრა.

მათ პირდაპირ, რიონის მარჯვენა
ნაპირზე, არის სოფლები ტვიში, ქო-
როშიში, მექვენა და ვანი, რომლე-
ბიც, აგრეთვე, ოკრიბას უნდა ეკუთ-
ვნოდეს, მაგრამ ახლა (1772) დადიან-
ის ხელშია.

ამ მხარის შესახებ დღემდე შემდე-
გი გავიგე:

ის მდებარეობს ფიქალიან და კირ-
ქვიან მთებს შორის, ნაწილობრივ
რიონის იმ მიდამოებში, რომელსაც
მდ. ასკი და ლაჯანური შემოფარგ-
ლავს, ნაწილობრივ — მდინარე ცხე-
ნისწყალზე.

მე დამისახელეს ამ მხარის შემდე-
გი სოფლები:

1. ჭყვიში, არა ეცკისი, ქართული
ციხე რაჭისკენ, ასკის დასავლეთ
მხარეზე, მისი შესართავის ახლოს.
2. ჯოშგა. 3. გენდუში. 4. თაბორი. 5.
ჩკალა. 6. სურმუში. 7. ლაბეჭინა. 8.
საირმე. 9. ლელეში. 10. გაგულეჩი.
11. ლეშკაში, ციხე ლაჯანურზე. 12.
ლაჯანა. 13. ორბელი, ციხე, 14. ნი-

ლამიერი. 15. ლასხანა. 16. დეხვირი,
ციხე და განთქმული ეკლესია. 17.
სპათაგორი. 18. უსახელო. 19. ლა-
ცორია. 20. აჭარა. 21. ალპანა. 22.
ლახეფა. 23. ნაკურალეში, იქვე დი-
დი ეკლესია. 24. ღვირიში. 25. უცხე-
რი. 26. ნასპერი. 27. კენაში. 28. ალ-
ვი. 29. მახაშ. 30. სანორჩი; 31. ჩუტე-
ლი. 32. მური, ციხე. 33. ზუბი, ციხე.
34. მოკრეში; 35. ლაჩეპიდა. 36. ოფი-
ტარა. 37. ცაგერი. მთავარი ეკლესია
და ცაგერელი ეპისკოპოსის საჯდო-
მი; 38. კვესო, ციხე. 39. ზოგიში, ცი-
ხე. 40. ზარაგულა. 41. ლუხვანო. 42.
ნიფერჩი.

ენა, სარწმუნოება და სახლები
ლენხუმში ისეთივეა, როგორც რაჭა-
ში.

ამ პროვინციაში, ანუ მხარეში ით-
ვლება 4000 ოჯახი.

შენობები სამეგრელოში, ოდიშსა
და აფხაზეთში იმერეთის მსგავსია;
მხოლოდ ქვეყანა აქ უფრო გაუდაბუ-
რებულია და უფრო ხშირი ტყითაა
დაფარული.

ქართული პროვინცია სვანეთი

სვანეთი არის ქართული პროვინ-
ცია, რომელიც შემდგომში ჩამოშორ-
და სამეფოს და თვითონ გახდა თა-
ვისუფალი და დამოუკიდებელი.

ახლა ის უმთავრესად სრულიად
თავისუფალია და არ ჰყავს სხვა
მმართველი; მხოლოდ სამეგრელოს
დადიანი ცდილობს, ლენხუმის ახ-
ლოს მდებარე ადგილებზე გაავრცე-
ლოს თავისი ბატონობა.

სოლომონ მეფემ ზოგიერთი სვა-
ნის მეშვეობით მიიღო მადნები, რა-
მაც შესაძლებლობა მომცა, ჩემი ძვე-
ლი ცნობები შემესწორებინა.

მდ. ცხენისწყალი სათავეს იღებს
სვანეთში და ჰქვია იქ ლაშხეთი. მის
სათავესთან არის ტყვიისა და სპი-
ლენძის საბადოები.

სვანეთი მდებარეობს სამეგრე-
ლოს აღმოსავლეთით, უმთავრესად
— მაღალფიქალიან მთებში.

სვანი, მრავლობითში სვანები, ან-
და — სონი, ან სონეთი, ასე უწოდე-
ბენ ქართველები ხალხს, რომელიც
თავის თავს „შნაუ“-ს ეძახის.

ეს პატარა პროვინცია, ჩვეულებ-
რივი ქართული დაბოლოებით, ინო-
დებდა სვანეთად.

სვანები ცხოვრობენ კავკასიის ალ-
პების სამხრეთ კალთებზე, მდ. ცხე-
ნისწყლის (ამას ლაშხურს ეძახიან)
სათავეს ზემოთ, ენგურზე და, ზოგი
ცნობების მიხედვით, — კაბეთზე.



ლაშხურზე მდებარეობენ სოფლები ლაშხეთი, ჩოლური, კალაში და იენტხა, ანუ ქართულად იენტხი.

ენგურზე მდებარეობენ უშკური, კაია, ადიში, მიჯალი, იფარი, ბოგრეში, წვირმი, იელი, მილახი, მესტია, ლენჯარი, ლანტელი, ბეზო, დოლი, იებუტი, ცხუმარი, ენერი და ლახმურა. კონუსისებრი თოვლიანი მთა უნდა ჰყოფდეს მას ბასიანიდან. მის (ფასის მთის) აღმოსავლეთ მხარეში იღებს სათავეს რიონი, ხოლო სამხრეთ მხარეში — ცხენისწყალი და დასავლეთ მხარეში — ენგური. ეს, ალბათ, არის იალბუზი, ანუ შახგორი — დიდი ბაყარდოსი.

სვანები, რომლებიც, ეჭვს გარეშე, არიან გერბერის სონტი, უნდა იყვნენ არა უმეტეს 5000 ოჯახისა.

მათი ენიდან მე მხოლოდ სიტყვების უმნიშვნელო რაოდენობა შევკრიბე, ისიც სხვა კავკასიური ენების შესატყვისი სიტყვები, და ვნახე, რომ ძველისაგან ძლიერ განსხვავდება; მაინც ნათლად ჩანს, რომ ქართული არის მისი დედა-ფუძე.

სვანები ძველად უშუალოდ საქართველოს ეკუთვნოდნენ და იყვნენ ბერძენი ქრისტიანები. ამჟამადაც ყველგან არის ქვიციკრის კარგი ეკლესიები და ისინი, ვინც ცხენისწყალზე ცხოვრობენ, ახლაც ქრისტიანები არიან და ჰყავთ მღვდლები ლეჩხუმის ეპისკოპოსის ანდა ცაგერელი ეპისკოპოსისაგან. ესენი ახლაც დადიანს ჰყავს მორჩილებაში.

ენგურზე მცხოვრებნი თავისუფლები არიან და ქრისტიანული სარწმუნოება დაჰკარგეს, თუმცა არავითარი სხვა არ მიუღიათ.

მათი ჩაცმა მთლად ისეთივეა, როგორც იმერლებისა, სახელდობრ, მათ აქვთ პატარა ქუდები, გრძელი თმები, მოპარსული წვერი, მხოლოდ ნიკაპზე იტოვებენ წვერს; აცვიათ თქობებთან ნაოჭებიანი, მოკლე ჩოხები, რომლებიც მუხლებამდეც კი არ სწვდებათ, წვივებზე შემოხვეული აქვთ სახვევი, წელზე არტყიათ ბრტყელი ქამარი და ა.შ.

ისინი ხშირად ამზადებენ ტლანქი მაუდის ჩოხებს და მიაქვთ იმერეთში (ლაშხეთიდან სარდმელამდე არის ერთ დღეზე ნაკლები სავალი გზა, რომელიც ამ ხალხმა გაიყვანა სვანეთიდან რაჭისკენ).

მათ (სვანებს) აქვთ ტყვიისა და სპილენძის საბადოები და იციან ორივეს დნობა, აგრეთვე, შეუძლიათ თოფის წამლის დამზადება. მაგრამ არ იციან რკინის დნობა.

მარილი შემოაქვთ ბასიანიდან; ეს არის, რა თქმა უნდა, რუსული.

მათ ჰყავთ თავიანთი საკუთარი თავადები, რომლებიც მათზე ბატონობენ.

რამდენადაც უშიშრად ვგრძნობდით თავს სტეფანწმინდაში, იმდენად გაგვიჭირდა ერთი თვე ყოფნა ასეთ მაღალ ადგილას, სადაც ბარომეტრი აღზევების ძირას ანდა თერგის დაბლობზე, ჩვეულებრივ უჩვენებს 22 დუიმს და 9 ხაზს პარიზული ერთეულით; გაგვიჭირდა ნაწილობრივ სურსათ-სანოვავის სიძვირის გამო, რაც მთელი ჩემი რაზმისთვის ექსპედიციის სალაროდან აუცილებლად ხდოდა დამატებითი თანხის გაღებას. გაგვიჭირდა ნაწილობრივ თბილი ოთახებისა და საჯინბოების ნაკლებობის გამო. ყოველივე ამის გარდა, არა ნაკლებ გაგვანვალა კატარა-ლურმა ციებამ.

ბოლოს, მივიღეთ სასიხარულო ცნობა, რომ, თუმცა კომენდანტებს არ შეეძლოთ დამცველი რაზმის მოცემა, მაგრამ ბატონმა გენერალ-მაიორმა მედემმა, რომელიც თავიდანვე დიდ დახმარებას უწევდა ჩემდამი მონდობლ ექსპედიციას, ჩემს გამოსაყვანად გამოგზავნა ბატონი მაიორი კრიუდნერი 600 მსუბუქად შეიარაღებული კაცი და 2 ზარბაზნით. რაზმი დაბანაკდა ოსურ სოფელ ჭიმთან, თერგზე, აღზევების ჩრდილო მხარეზე და მხოლოდ 200 კაცი გადმოვიდა ქედზე და წამოვიდა სტეფანწმინდისკენ.

2 ნოემბერს ამ მცველი რაზმის თანხლებით დავტოვე ჩემი შემანუხველი ბანაკი. ოსები, რომლებსაც მხოლოდ ჩემთან ჰქონდათ დიდი გული, მაშინვე სასწრაფოდ გაიფანტნენ, როცა გაიგეს რაზმების მოსვლის შესახებ და გაგვითავისუფლეს ხიდეები.

1/4 საათში გავიარეთ თერგის პირველი ხიდი და შემდეგ სოფელი წდო; აქედან 1 საათში მივედით სოფელ ცახდონში და დაახლოებით 1 ვერსის მოშორებით გავიარეთ მეორე ხიდი, ხოლო კვლავ 2 ვერსზე, დარიალთან — მესამე ხიდი.

3 ნოემბერი. დარიალიდან 1/4 საათში გავედით მე-4 და კვლავ 3/4 საათში მე-5 ხიდზე. 1 1/2 საათში ვიყავით მდ. ცალტონზე, 1/4 საათში გავიარეთ ლარსი და კიდევ 1 საათში — ჭიმი.

4 ნოემბერი. ჭიმიდან თემირ-სულთანამდე მოვუწინდით 2 საათს, აქედან

კი ბანაკამდე მხოლოდ 1/4 საათი დაგვჭირდა.

სანამ რაზმი ჩვენ დაგვეწვოდა, ბატონმა (მაიორმა) კრიუდნერმა ოსებს მძევლები ჩამოართვა ყიზლარში გარდაცვლილთა ნაცვლად და ჩვენც იმ დღესვე განვაგრძეთ გზა სოფელ საურამდე, სადაც 1 1/2 საათში მივედით.

5 ნოემბერს 4 საათი მივყვებოდით თერგს ქვევით, შემდეგ 1 საათში მივედით მდ. კუნბელურზე, რომლის მარჯვენა ნაპირსაც დავეყვით 1/2 საათის განმავლობაში. იქ იდგა 2 საყენი სიმაღლის, 2 ფუტი სიგანისა და 1 მტკაველი სისქის ქვიშაქვის ბოძი.

6 ნოემბერი. აქედან მთისწინეთამდე მოვუწინდით 3 1/4 საათს; ტიტველ ბორცვებს შორის მივდიოდით 1/2 საათი, მის ტყიან მწვერვალებზე 1 1/2 საათი და 1/4 საათში კი მივედით კურგონიკაში.

7 ნოემბერი. აქედან 1 1/2 საათში მივალწინეთ მეორე მთისწინეთს; მის გადასვლას მოვანდომეთ 1 1/2 საათი და თერგისკენ დაშვებას 2 1/4 საათი. თერგზე იყო პატარა ჭალა; 1/4 საათში, ღვთის წყალობით, უვნებლად მივალწინეთ მოზდოკს.

აქ 8 ნოემბერს შევხვეხა მოვანყე.

9 ნოემბერს კი გავეშურე ყიზლარისკენ თერგის მარცხენა ნაპირის გაყოლებით. 5 საათში, გუსტერეს გავლით, მივედი გალუგოში. აქ ესახლა დონის კაზაკების 30 ოჯახი.

10 ნოემბერს იფორას გავლით 5 3/4 საათში მივედი ნაურამდე.

11 ნოემბერი. გავიარეთ კასი პერე-ვოზი და ჩერვლენოვი.

12 ნოემბერს იქ მოვანყე შესვენება.

14 ნოემბერს მივედი ნოვოგლად-კაში.

15 ნოემბერს — სარაფანიკოვაში (აქ არის სომეხი ჰასტატოვის აბრეშუმის საწარმო), სადაც მე შევისვენე და მხოლოდ 18 ნოემბერს წავედი ყიზლარისკენ.

დიდი რუსეთის საზღვრებს რომ მივალწინე და რომ ვიგონებდი ყველა იმ დიდ საფრთხეს, რომლებიც გამოვიარე, და რადგან ვფიქროდი, რომ, გამჩენის წყალობით, ჩემი მიზანი — ამ ნაკლებად ცნობილი მხარეების ბუნებისა და ხალხების შესწავლისა — ერთგვარად მიღწეული იყო დედოფლის დიდებისათვის, აკადემიის სასარგებლოდ და მეცნიერებათა წარმატებისათვის — ჩემი გული აივსო მადლობის უსაზღვრო გრძნობით განგებისადმი.

მოამზადა
დარეჟან ანდრიაკემ

დიდი გომარეთი,
შუაპერიანთ უბანის
სტილეზი, V-VI სს.



ეპარსის „ნა. ნიკოლოზი“,
ღმანის რაიონი

